ლიტერატურული საქართველო

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

14 ივნისი, 2013 წ. | №48 (3658) | გამოცემის 77-ე წელი | ფასი 1 ლარი



საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის განცხადება

ძვირფასო თანამემამულენო!

ამა წლის 22 მაისს, საქართველოს მწერალთა სასახლეში ქართველ მწერალთა ფორუმი შეიკრიბა, რომელსაც, სულ ცოტა, 700 მწერალი მაინც ესწრებოდა!

აქედან ბევრი დღევანდელი მწერალთა კავშირის წევრი გახლდათ. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც წინა ხელისუფლების დროს პროტესტის ნიშნად დატოვეს ეს სამწერლო ორგანიზაცია!

ახლა კი, როცა მთავრობა შეიცვალა და სხვა ხალხი მოვიდა ხელისუფლებაში, ჩავთვალეთ, რომ ჩვენი პროტესტი დასრულებული იყო და ჩვენსავე სამწერლო ვახტებს ნებაყოფლობით დავუბრუნდით!

რა არის ახლა ამ ჩვენს საქციელში ან მიუღებელი, ან უკანონო?

რაკი ხელისუფლება არ მოგვწონდა, კავშირი დავტოვეთ, ახლა, როცა ხელისუფლება შეიცვალა, კავშირში დავბრუნდით!

ამის მიუხედავად, მწერალთა მოქმედი წევრების გარდა, არც ერთ გარეშე მწერალს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია!

ფორუმის ოქმში ზუსტად არის მითითებული, რომ ამ შეკრების 709 მწერლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი გახლდათ 306 კაცი, ე. ი. კავშირის წევრთა რაოდენობის ნახევარზე გაცილებით მეტი!

ასე რომ, ფორუმს სრული უფლება ჰქონდა, ემოქმედა მწერალთა კავშირის წესდების ფარგლებში!

როცა მწერალთა დღევანდელი ხელმძღვანელობის კრიტიკასა და კრიმინალებთან გაიგივებას საშველი არ დაადგა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ საკმაოდ კორექტულად და ლეგიტიმურად დასვა საკითხი: კენჭი ეყარათ მწერალთა კავშირის ახლანდელი ხელმძღვანელობის თანამდებობიდან გადაყენებისთვის!

დარბაზი ერთბაშად გამოცოცხლდა და დაიძაბა!

კრებას აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ბატონი გენო კალანდია უძღვებოდა და მანაც საჭიროდ ჩათვალა, ანგარიში გაეწია დარბაზის მოთხოვნისთვის და, ეს კენჭისყრაც შედგა!

საოქმო ჩანაწერების მიხედვით, მწერალთა კავშირის იმ 306 წევრიდან, რომლებიც ამ შეკრებას ესწრებოდნენ, ყველამ ისე ერთსულოვნად გამოხატა თავისი უკმაყოფილება დღევანდელი ხელმძღვანელობის მიმართ, რომ თავი ერთსაც არ შეუკავებია!

საერთო კრების მონაწილეებმა ასევე კატეგორიულად მოითხოვეს ახალი თავმჯდომარის არჩევა!

მე დიდად მადლობელი ვარ დარბაზში მყოფი მწერალთა კავშირის იმ 306 წევრისა, რომელთაგან არც ერთი ჩემი კანდიდატურის წინააღმდეგ არ წასულა და, მეტიც, თავიც არავის შეუკავებია!

აი, დაახლოებით, იმ გახმაურებული დღის ამბები, ძვირფასო თანამემამულენო!

ამის მიუხედავად, სხვადასხვა ტელევიზიით გამოსვლისას, მე არც ერთ არხზე არ მითქვამს, რომ ამ კენჭისყრით ყველაფერი გადაწყდა!

პირიქით, მე თვითონ გამოვაცხადე, რომ ახლა დასხდებიან მწერალთა კავშირისა და მწერალთა აკადემიასთან არსებული იურისტების ჯგუფი და ისინი გაარკვევენ, თუ რამდენად არის ეს არჩევნები კანონთან შესაბამისობაში!

* * *

თუმცა იურისტებს ვინღა დააცალა, ქალბატონ მაყვალას ერთ წუთში ყველაფრისთვის ნათელი მოუფენია!

„ერთადერთი, რამაც გამაოცა, ბატონ თამაზ წივწივაძის ტელეგანცხადება იყო. მე მარტო აკადემიის პრეზიდენტად კი არა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარედაც ამირჩიესო“.

მერედა, რა არის აქ, ქალბატონო მაყვალა, ან გასაკვირი, ან გასაოცარი?!

მწერალთა კავშირის 306-მა წევრმა მხარი დაუჭირა დღევანდელი ხელმძღვანელობის თანამდებობიდან გადაყენებას, ხოლო ზუსტად ამდენივე მწერალმა მე არამარტო მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად, არამედ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედაც ამირჩია!..

მინდა, კიდევ ერთხელ დავაზუსტო: მწერალთა კავშირის დღევანდელი ხელმძღვანელების თანამდებობიდან გადაყენების საკითხი სხდომათა დარბაზში ნამდვილად დასვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, აკადემიკოსმა, ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ!

ხოლო ამ საკითხს კენჭი უყარა სხდომის წამყვანმა, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, ბატონმა გენო კალანდიამ!

ახლა მე გეკითხებით თქვენ, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელო დიდო სამეულო! —

დარბაზში მყოფი მწერალთა კავშირის 306 წევრიდან, ერთიც რომ არ აღმოჩნდება თქვენი მხარდამჭერი, ერთი მითხარით — რა ჯანდაბად გინდათ იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა?!

რატომ იხდით თავს ქვეყნის სასაცილოდ?!

ქალბატონო მაყვალა! ჯერ თქვენ მიერ ჩატარებულ ყრილობაზე იცინოდა ხალხი, გულიანად, და ახლა, ესეც მიამატეთ?

არადა, სასაცილო ნამდვილად იყო — ქალი მწერალთა კავშირის მდივნობაზე იყრიდით კენჭს და, თავმჯდომარეობა როგორ გამოჩხრიკეთ?!

ეს, მართლაც, საოცრებაა!

არადა, რა მოხერხებულიც არ უნდა იყოს ქალი, რომელიც მდივნობაზე კენჭს იყრის, შეიძლება, მისგან პასუხისმგებელი მდივანიც გამოვიდეს, შეიძლება გენერალური მდივანიც გამოვიდეს, მაგრამ მდივნობიდან პირდაპირ თავმჯდომარე გამოვიდეს, ეს, დაახლოებით, ისეა, ერთ მოსულელო მხატვარს რომ დასცინოდნენ: „ვაჟა-ფშაველას ხატავდა, გამოიდა არსენაო“!

დაიმახსოვრეთ, ქალბატონო მაყვალა, არჩევნები ის თემა არაა, შენ რომ მასზე ხშირ-ხშირად იცინო!

მით უმეტეს, ჩემთან დაკავშირებით!

თქვენ ბრძანეთ: „ერთადერთი, რამაც გამაოცა, ბატონ თამაზ წივწივაძის ტელეგანცხადება იყო. მე მარტო აკადემიის პრეზიდენტად კი არა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარედაც ამირჩიესო!“

მერედა, მაყვალა, როცა გაიკითხ-გამოიკითხეთ, არ გამოდგა ეს სწორი?

შენ, ქალო, ბუტკაში შეუსვლელად, 306-მა მწერალმა გადაგისვა ხაზი!

მე კიდევ, ზუსტად ამდენივე მწერალმა ერთსულოვნად ამირჩია!..

ახლა მკითხველს ვკითხოთ: რომელს უფრო გვქონია სასაცილოდ საქმე?!

რომ ამბობ: „რა კარგი და იოლი რამ არის ეს არჩევნები... მეც მოვიწვევ რამდენიმე გულშემატკივარს და გავხდები ინგლისის დედოფალი!..“

არა, ქალბატონო მაყვალა, შენი წარმოშობის ქალი, შეიძლება, სოფელ თოხლიაურის, ან, დიდი-დიდი, ყარაბახის დედოფალი გახდეს, თორემ ინგლისისა — არასოდეს!..

თუმცა, რაღაც იღბალი შენც გქონია, ჯერ ის, რომ ჩემთან მოგიყვანეს და მე მდივნად დაგნიშნე, მერე კიდევ ის, რომ რეზო ჭეიშვილის მაგიერ (ყრილობის სწორად ჩატარების შემთხვევაში, თავმჯდომარე ის უნდა ყოფილიყო!), აგერ მეათე წელიწადია, მწერალთა კავშირი შენი სამართავი გამხდარა!..

მით უმეტეს, შენი პრეზიდენტივით, ერთი წელი შენც მოგიპარავს და ახლა, იმ დღეების ჩამოთავებას კალენდრის ფურცლებიდან ელოდები!..

სამწუხაროდ, ამ ცრუპენტელობას მაინც არ იშლი, ნეტა, ან ეს რამ გათქმევინა: „ახალი წლის წინა დღეებში საკუთარი ბეჭდები ჩავაბარე ლომბარდში, რამდენიმე მწერლისთვის წამლის ფული რომ მიმეცა, არ მითქვამს, ჩემი თანხა რომ იყო, შეურაცხყოფილად რომ არ ეგრძნოთ თავი“.

მეტს არ გეტყვი! მთელმა მწერალთა კავშირმა იცის, არ ხარ შენ მაგის გამკეთებელი ქალი!..

* * *

ძვირფასო მკითხველო!

ახლა ნება მომეცით, ერთი-ორი სიტყვით, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელთა დიდი სამეულიდან რიგით მეორე

წევრს, ბატონ რეზო მიშველაძეს ვუპასუხო!

იგი, როგორც ყოველთვის, ჩემს მიმართ ახლაც გულღიაა!

„თამაზ, რამ გათქმევინა, სააკაშვილის ბატონობის პერიოდში მწერალთა კავშირი დუმდაო... განა ჩვენ არ გამოვდიოდით სააკაშვილის საპროტესტო მიტინგებზე (სხვათა შორის, მიტინგებზე შენთვის არ მომიკრავს თვალი)“.

აბა, რა გითხრა, რეზო! მიტინგების დროს მე ყოველთვის მოედნის ცენტრში ვდგავარ – ბევრი ხალხი მიცნობს და უხარიათ, მათ გვერდით ერთი გამოჩენილი პიროვნება მაინც რომ დგას!..

შენზე მეუბნებიან, ხალხის განაპირას უყვარს დგომა და, შეიძლება, იმიტომ, ზონდერებს რომ მოკრავს თვალს, იმ წუთას, „პლეტი იყიდოსო!..“

რასაკვირველია, ამას მტრები გიგონებენ, თორემ ვინც შენ გიცნობს, იციან – მამალი მგლისაც რომ არ გეშინია!..

ჩემდამი მოძღვნილ შენ შემდეგ სტრიქონებსაც, სითბო დაკრავს – შენი მომხიბლავი თავმდაბლობა აქაც იგრძნობა:

მეუბნები, „კარგად მომისმინე – შენთან ხელახლა პოლემიკის წამოწყებას არ ვაპირებ“. რატომ, ბატონო რეზო? პირველი პოლემიკით, ალბათ, კმაყოფილი არა ხარ, არა?!

იქნებ, კიდევ გეცადათ?

არ გინდა და, ნუ გინდა, კი, ბატონო!

თუმცა, შენც კარგი ხარ, რეზო! მუდამ სულგრძელობას რომ იჩენ: „ამ ერთხელ მიპატიებია შენი „უნებლიე აჩქარება“. მე ფრთებს ნუ დამატოლებ, არ მოგიხდება“.

არა, ძვირფასო რეზო, შენ უკვე რამდენჯერმე მაპატიე და აღარ ვაპირებ, კვლავაც შეგაწუხო! ან მაგდენს როგორ გავბედავ, ფრთები რომ დაგატოლო – შუაზე რომ გამბრდღვნა, ღირსი არ ვიქნები?!

ოღონდ, ბატონო რეზო, ერთს კი მორიდებით შეგახსენებთ – პარლამენტის სხდომათა დარბაზში იატაკზე რომ გაადინეთ ზღართანი და თან ხმამაღლა გაჰკიოდით: „გააჩერეთ, წივწივაძე, მომკლა კაციო“. ნუთუ ასე მალე დაგავიწყდათ?!

არა ხარ ახლა იმის ღირსი, იმ იატაკზე ხელახლა რომ გაგადენინოს კაცმა ბრახვანი?!

ანდა, შე კაი კაცო, ასე მოკლე ხანში, ასე დახვეწილ „დამსმენად“ როგორ ჩამოყალიბდი?

„რაკი „თანამებრძოლები“ ნინო ბურჯანაძესთან არიან ჩახუტებულები, გაფრთხილდი, შენი აკადემია ერთ დღეს ბიძინა ივანიშვილის და მისი საპრეზიდენტო კანდიდატის წინააღმდეგი არ აღმოჩნდეს“.

ნუ შიშობ, რეზო, ბიძინა ივანიშვილმა მარტო სხვადასხვა ქვეყნის ფულის კუპიურების ამოცნობა კი არ იცის უტყუარად, არამედ ის ასევე ზუსტად ცნობს ფუყე და ფუღუროიანი გულის კაცს და არაფრით შეიძლება ის ნაღდსა და ჭეშმარიტში აერიოს!..

ჭკუის დარიგება კი მართლაც კარგი გცოდნია, ჩემო ბატონო!

საინტერესო რჩევას მაძლევ!

„დაწერე განცხადება, აღგადგენთ მწერალთა კავშირის წევრად და როცა ყრილობა გვექნება (არა უადრეს 2014 წლის 15 ივნისისა), იყარე კენჭი თავმჯდომარეობაზე.

ვინ იცის, მაშინ რა ხასიათზე ვიქნები, იქნებ მხარიც კი დაგიჭირო!“

კარგია, რეზო, ხუმრობას არასდროს რომ არ იშლი!

მე კიდევ, ამას მთელი სერიოზულობით გეუბნები: ამ ათიოდე წლის წინ, შენ და ბაბაჯაიანი (გვარი კარგად არ მახსოვს!) პირველად რომ გაგრიცხეთ მწერალთა კავშირიდან, იმ საწყალი ბაბაჯაიანის აღდგენა მახსოვს, შენი – არა!

არადა, თუ აღდგენილი მყავხარ, არ გეწყინოს და, ამ დღეებში მაინც ხელახლა მეყოლები გასარიცხი – მწერალთა კავშირის იმ 306-მა წევრმა, ამასწინათ რომ შეიკრიბა მწერალთა სასახლეში, მარტო მაყვალა გონაშვილი კი არ გადაყენა თანამდებობიდან, არამედ შენც და ბაღათერ არაბულიც ზედ მიგაყოლათ!

აწ უკვე ისიც სათუო გახდა, რჩებით თუ არა მწერალთა კავშირის წევრებად!

ალბათ, იმასაც გაიგებდით, იმავე კავშირის 306-მა წევრმა, ჩემი დიდი უარის მიუხედავად, ისევ მე დამიჭირა მხარი და ახლა, არა მარტო მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად, არამედ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედაც მე ამირჩიეს!

ეს ორსათაურიანი თანამდებობა მაინც რაღად მინდოდა, რეზო, მით უმეტეს, შენ რომ არც ერთი არ დაგრჩა!

ამიტომ, რაკი სიტუაცია ისევ შეიცვალა, ახლა განცხადებები შენ, ბაღათერ არაბულმა და მაყვალა გონაშვილმა უნდა დაწეროთ და მე, თუნდაც იმიტომ, რომ მუდამ კარგ განწყობაზე ვარ, შეიძლება, სამივენიც კი დაგტოვოთ კავშირის წევრებად!

ასე რომ, ჩემო რეზო, მწერალთა კავშირის რიგებიდან ვინ ვართ გარიცხული და ვინ არა, ამის თქმა ჯერ კიდევ ნაადრევია!

ყოველ შემთხვევაში, ამის საშიშროება მე, ორსათაურიანი თანამდებობის კაცს, ნამდვილად არ მემუქრება!..

თქვენ კიდევ, თუ რამე გაგიჭირდებათ, აგერ ვარ და მე მოგეხმარებით!..

თქვენგან ერთ-ერთი, რომელსაც ნაკლები გადაცდომა აღმოგაჩნდებათ, შეიძლება, კავშირის წევრადაც შეგინარჩუნოთ!

* * *

მცირე ჩართვა:

ძვირფასო მკითხველო, რაკი მურმან ჯგუბურია მწერალთა კავშირის მდივანი არ არის, წესით, მას აქ არ უნდა შევხებოდი, მაგრამ რეზო მიშველაძის დარად, ერთი საინტერესო დაკვირვება მასაც აღმოაჩნდა!

აი, ნახეთ?

„რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“, – ასე გვეუბნება პოეტი და გენერალი. ამას მოყვება ის ერთი კარგი დაკვირვება: „ენას ინახავს მწერალი. მწერალს ვინ ინახავს? – მკითხველი!..“

ძმაო, მურმან! ვინც დაგამადლოს, დაექცეს ოჯახი! მაგრამ, რამდენჯერაც ფული დაგჭირდება, ყოველთვის ჩემთან რომ გამორბიხარ, ერთი მითხარი, ჩემ გარდა არც ერთი მკითხველი არ გყავს?!

კი, ბატონო, თუ ასეა დადგენილი, თითო მკითხველმა თითო მწერალი უნდა შეინახოს, მე მადლობელი ვარ უფლის, შენისთანა კარგი მწერლის მოვლა-პატრონობა რომ მანდო!..

ახლა ისევ მწერალთა კავშირის მდივნებზე საუბარი განვაგრძოთ!

* * *

„ეს არის ანომალია“, – აცხადებს ხმამაღლა ბაღათერ არაბული, – ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, რადგან პიროვნება, ვინც არ უნდა იყოს, თუ არ არის ამა თუ იმ ორგანიზაციის წევრი, მან მოისურვოს ან გამოაცხადოს თავი ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად ან თავმჯდომარედ, ვერ გახდება!

არა ხარ მართალი, ბაღათერ! უფრო დიდი ანომალია რა არის, იცი? როცა სხდომათა დარბაზში მყოფ 700-მდე მწერალს ეკითხებიან (არა აქვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა, ის კავშირის წევრია თუ არა!), კმაყოფილი ხართ თუ არა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელების მუშაობითო და ამ 700 კაციდან არც ერთი მათგანი თანხმობის ნიშნად ხელს არ აწევს – აი, ჩემო ბაღათერ, ეს არის ნამდვილი ანომალია!

თორემ, ჯერჯერობით, მწერალთა აკადემიის არც ერთ წევრს არ უთქვამს, მწერალთა კავშირს ვტოვებ და აკადემიის წევრად ვრჩებიო!..

ისინი მხოლოდ იმას ამბობენ ერთხმად, რომ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები საშინლად მუშაობენო!..

ასე რომ, დარბაზში მყოფი კავშირის 306 წევრი, ჯერჯერობით, ამ ორგანიზაციის წევრად კი თვლის თავს, მაგრამ არც ერთს ის არ უნდა, ჩემო ბაღათერ, რომ კვლავ თქვენი სამეული ხელმძღვანელობდეს საქართველოს მწერალთა კავშირს!..

აი, ეს კი ნამდვილი ანომალიაა! მაყვალა ჩემო, რეზო ჩემო და ბაღათერ ჩემო!..

არც იმას არა აქვს მნიშვნელობა: ამ სახელდახელოდ ჩატარებულ შეკრებას საერთო კრებას დაარქმევ, მწერალთა ფორუმს თუ პირდაპირ ყრილობას, ეს კი არ არის, ბატონებო, მთავარი და არც ის, ამ 700 მწერლიდან დღეს ყველა კავშირის წევრია თუ სხვადასხვა მიზეზით დატოვეს კავშირის რიგები – კიდევ ვიმეორებ, მთავარი ისაა, რომ არც ერთ მათგანს თქვენ ხელმძღვანელად აღარ უნდიხართ!..

რა ვქნათ ახლა, ქალბატონო მაყვალა, ბატონო რეზო და ბატონო ბაღათერ? კიდევ იმას დაველოდოთ, როდის ჩამოგითავდებათ თქვენი პრეზიდენტივით მოპარული ეს ბოლო ერთი წელი, თუ ისე მოიქცევით, როგორც წესია: ორი თვის განმავლობაში ჩავატაროთ საქართველოს მწერალთა კავშირის საგანგებო ყრილობა და ბოლომდე გავერკვეთ – რა ხდება მწერალთა კავშირში?

რასაკვირველია, არჩევნებში საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიაც მიიღებს მონაწილეობას!

თუ მწერლებს ისევ თქვენ მოსწონხართ და მხარს დაგიჭერენ, ხომ კარგი – ისევ თქვენ დარჩებით ხელმძღვანელებად!

თუ არადა, მართლა ნაციონალები ხართ, თავს რომ არ გვანებებთ? ადექით და წადით სახლში!..

მით უმეტეს, სააკაშვილის ხელისუფლების ხელში მოხვედით და ახლაც მასთან ერთად წახვალთ!..

პატივისცემით,

თამაზ წივწივაძე

მილოცვა

მოგესალმებით,
ბატონო თამაზ!

გილოცავთ გაზეთის აღდგენას. ერთი თხოვნა მექნება თქვენთან: იქნებ შეძლოთ და გამოიყენოთ სოციალური ქსელის, ფეისბუქის „სიკეთე“ და იქაც გახსნათ თქვენი გვერდი და ატვირთოთ საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის მიმართვა ბატონი პრემიერისადმი. დღეს საინტერნეტო სივრცე ათასობით მკითხველსა და მწერალს აერთიანებს და, ალბათ, მათი აზრის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია.

ძალიან ბევრ საკითხზე აღიძრა ინტერესი იმ მწერალთა მხრიდანაც, რომლებიც არ არიან თქვენი წევრები, მაგრამ არიან აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით დაკავებული და აინტერესებთ და სურთ, ქართულმა მწერლობამ აღიდგინოს ღირსება და ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე აკეთოს.

ვიმედოვნებ, აკადემიისთვისაც საინტერესო იქნება, რას ფიქრობს ის ე. წ. მესამე თავისუფალი ფრთა მწერლებისა, რომლებიც არც მწერალთა კავშირის წევრები არიან და არც აკადემიისა. გამიხარდება, თუ აკადემია შეძლებს მწერლობაში თანამედროვეობისა და წარსულის ჰარმონიაში მოყვანას და შემოქმედ ძალათა შორის ისეთი ბალანსის შექმნას, რომელსაც ექნება ქართული კულტურისა და სულიერების ჯანსაღი რეგენერაციის უნარი. ასევე გამიხარდება, თუ სოციალური პრობლემები მოუგვარდებათ მწერლებს, რომელთა შრომა და საქმიანობა რატომღაც არავის ადარდებს ქვეყანაში. ადრე თუ ხანდაზმულებს უჭირდათ, ახლა უამრავი ახალგაზრდა მწერალია უმწვავესი სოციალური პრობლემების წინაშე.

ბატონო თამაზ, გისურვებთ ქვეყნისა და კულტურისათვის სასიკეთო საქმის კეთებას.

პატივისცემით, ***მარიამ წიკლაური***

რეპლიკა

გავეცანი „მწერლის გაზეთის“ 1-30 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებას, რომლის ხელმომწერთა სიაში, ჩემდა გასაოცრად, ჩემი სახელიც იყო მოხსენიებული. ეს განცხადება ჩემთვის წინასწარ არ ყოფილა ცნობილი, არც ხელმოწერაზე შემთანხმებია ვინმე. შეურაცხყოფილად ვთვლი თავს, რამეთუ მთელი ცხოვრება ვცდილობ მართლის თქმის პრინციპით ვიცხოვრო და ვერც ახლა ვიცრუებ. სხვა რომ არაფერი, ჩვენი მართლმადიდებული სარწმუნოება არ გვაძლევს ამის საფუძველს. ათი მცნებიდან ერთ-ერთია — „არა ცილი-სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა“.

უპირველესად, ვერ დავეთანხმები აღნიშნული განცხადების შინაარსს, თითქოს არც მე და არც სხვა ხელისმომწერლებმა არ ვიცოდით, სად მივდიოდით. მე კარგად ვიცოდი, რომ ეს იყო მწერალთა ეროვნული აკადემიის თავყრილობა. სხვათა შორის, ინფორმაცია მწერალთა აკადემიის დაფუძნებისა და შეკრების რიცხვის შესახებ მწერალთა კავშირისგან მივიღე. იმასაც ვიტყვი, რომ ეს ინფორმაცია საკმაოდ კეთილგანწყობილი ტონით მომანოდეს (შემდეგ განწყობილება შეიცვალა).

მწერალთა ეროვნული აკადემიის თავყრილობას ბევრი ცნობილი, აღიარებული, ღირსეული მწერალი ესწრებოდა (მწერალთა კავშირის წევრები).

ვერც იმას დავეთანხმები, თითქოს ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა მწერალთა კავშირის დაშლას — საუბარი იყო პოსტსაბჭოური სისტემის და არა მწერალთა რომელიმე გაერთიანების დაშლაზე. იყო საუბარი იმაზე, რომ ყველა ერთად უნდა ვემსახუროთ იმ დიდ საქმეს, რასაც მრავალსაუკუნოვნი ქართული მწერლობა ჰქვია.

არავინ იფიქროს, ვინმეს ვუპირისპირდებოდე, პირიქით, ჩემდა უნებურად აღმოვჩნდი დაპირისპირებაში, რაც ასე მიუღებელია ჩემთვის. მინდა ყველას ვთხოვო, ჩემთან შეუთანხმებლად ნურავინ გამოიყენებს ჩემს გვარ-სახელს.

ძალიან მაწუხებს ის, რომ მაინც მოხდა მწერალთა შორის დაპირისპირება. ერთ მხარესაც ბევრი ღირსეული მწერალია და მეორე მხარესაც.

ვერ დავეთანხმები ახალგაზრდა პოეტი გოგონას მოსაზრებას, მწერალთა კავშირში უწიგნურები არიანო (თუმცა, გამონაკლისი ყველგანაა). მოდით, ნუ გავაღვივებთ დაპირისპირებას. ჩვენ, ქართველმა მწერალმა ქალებმა, გამოვიყენოთ ჩვენი ტრადიციული მანდილი (თუნდაც სიმბოლური) სიმშვიდის, ურთიერთპატივისცემის დასამკვიდრებლად.

დღეს, როდესაც ასე უჭირს სულიერად საქართველოს, დიდია მწერლობის როლი, უპირველესად გამოცოცხლება და აქტიურად ჩაბმაა საჭირო იმ ლიტერატურულ პროცესებში, რომელიც ასე სისხლხორცეულია ქართული მწერლობისთვის. მაღალმხატვრულმა ნაწარმოებებმა უნდა მიახედოს მკითხველი წიგნისაკენ. მწერლობისაგან ხმალამოწვდილი ბრძოლაა საჭირო იმისათვის, რომ ძველებურად ფუნქციონირებდეს გაუქმებული ბიბლიოთეკები, წიგნის პალატა და მთელი რიგი დაწესებულებები. თუ არა მწერლის ძალისხმევა, ვინ მოახედებს წიგნისაკენ ახალგაზრდობას?! წიგნიერი საქართველოს აღორძინება ქართული მწერლობის ვალია.

უნდა აღდგეს მწერლობის უძველესი ტრადიცია, ის, რომ ეკლესია და მწერლობა (საერთოდ — ხელოვნება) იდგა ყოველთვის ერის სულიერების სათავესთან.

სუფთა და ანკარა უნდა იყოს ეს სათავე!

ლინა ბარათაშვილი

P.S. დაველოდოთ მწერალთა კავშირის კარზე მომდგარ ყრილობას. მთავარია არ შევცდეთ და ღირსეული წინამძღოლი ავირჩიოთ: პატრიოტი, მორალური, უანგარო, ქვეყნის, მწერლობისა და მწერლის ბედზე დაფიქრებული...

დათა თუთაშხია:

– რას შვრებით ხალხო, რას ჰგავხართ... ვინ ხართ, თქვე უბედურებო, რა ჯიშის ხართ, თუ ხედავთ ამას, რა გიყოთ და რას დაგამსგავსათ, კედელზე აყუდებულ კუბოებში შეტენვით, ამ მამაძაღლმა სააკაშვილმა!..

რედაქტორის მინაწერი:

ძვირფასო თბილისელებო!

მე რომ სააკაშვილის სიგიჟე დამემტკიცებინა, ამას ჩემი სიცოცხლის ნახევარი შევალიე, არადა, ნახეთ, თვითონ რა იოლად მოუხერხებია ეს!

ახლა მე გეკითხებით: დღევანდელ გაჭირვებულ საქართველოში, რუსთაველის პროსპექტზე, საკუთარი სამინისტროს წინ მავზოლეუმის გახსნას, ტანსაცმლიანად გიჟის მეტი, ხომ ვერავინ მოიფიქრებდა?

რასაკვირველია, ქვეყანა ერთ შეურაცხადს აიტანს, მაგრამ ამ მაგალითს სხვა უწყებებმაც რომ მიბაძონ, მთელი თბილისიც ხომ ამ ძვირფასი კუბოებით მოირთვება?

ბატონებო! კიდევ მეტი რა სისულელე უნდა ჩაიდინოს კაცმა, შესაბამისმა სამსახურებმა გიჟის პერანგი თავზე რომ ჩამოაცვან?!

ალბათ ის, რომ ორი ამ სიმბოლური მცველი-მანეკენიდან, ერთის ადგილს თავად სააკაშვილი თუ დაიკავებს, მეორე კი, დროდადრო, წესისამებრ შეიცვლება!

ხოლო თუ ამ სანახაობას ფასიანსაც გავხდით, ჩვენს ბედს ძაღლიც აღარ დაჰყეფს – ამის შემდეგ ქვეყნის ბიუჯეტი კი არა, ტანზე შარვლებიც არ გაგვერღვევა!

აი, სწორედ ეს იქნება ერთადერთი წარმატებული რეფორმა ქვეყანაში, მიხეილ სააკაშვილის სახელს რომ დაუკავშირდება!..

პატივისცემით,

თამაზ წივწივაძე

P.S.

ძვირფასო მკითხველო!

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული შენიშვნების გამო, ბატონ სააკაშვილს პოლიციელთათვის განკუთვნილი სამავზოლეუმო პოსტი მთლიანად გაუუქმებია!

და, რაც მთავარია, პოსტისთვის ჯაჭვების ეს მსუბუქი კონსტრუქციაც ზედ მიუყოლებია, მაგრამ, სამწუხაროდ არავინ იცის – ეს ჯაჭვები შეინახა თუ გადაყარა!

არადა, ამის ცოდნა აუცილებელია და, მით უფრო მაშინ, გურიაში სტუმრად ჩასული ერთი ლოთი კაცის გახმაურებულ ამბავს თუ გავიხსენებთ!

როგორც ამბობენ, იმ კაცს მაგარი სასმელები საკუთარ დედმამიშვილებზე ნაკლებად არ ჰყვარებია. განსაკუთრებით კი, ბოთლის ყელში ჯაჭვმოყენებული არაყი!

გურულებს სანთლის (ბუზის) არაყი რომ მიუწოდებიათ, ამ ჩვენი ცოდვით სავსეს, დაუწუნებია — ჯაჭვი რატომ არა აქვს, სუსტი იქნებაო!

მასპინძელს დაუმშვიდებია – ჯაჭვი დალევის შემდეგ დაგჭირდებაო!

ძვირფასო მკითხველო, აი სწორედ მეც ამიტომ მაინტერესებს, სააკაშვილმა ეს ჯაჭვები ხომ არ გადაყარა?

არადა, ამ ბოლო დროს მისი საქმე ისე მიდის, შეიძლება, ეს ჯაჭვები დასაბმელად კი გამოდგომოდა!..

დოდო ხიმშიაშვილი - 90

ყოველი ბიოგრაფია თავისებური წიგნია, თავისი პროლოგით, ფაბულით და ეპილოგით. იგი ვერ შეიქმნება გარეშეთაგან და ამად, კაცი თავად უნდა იყოს საკუთარი ბიოგრაფიის შემქმნელი, საკუთარი საფლავის ქვის გამომკვეთი და საკუთარი ეპიტაფიის დამწერიც. ამგვარ ეპიტაფიებს ვერც ქარაგოზა ამოსჭამს და ვერც ქარ-წვიმა დაშლის. ამიტომ ყოველი ცისმარი დღე ისე უნდა ვიაროთ, თითქოს, ღვთის სახლისკენ მივდიოდეთ. ღვთის სახლისკენ მავალმა კი ფეხს არ უნდა აუჩქარო, დახანდე უნდა, გაიაზრო: რა მიგაქვს საზოვერელთან და როგორ მიგაქვს იგი...

ქალბატონი დოდო არაგვის ერისთავთა შთამომავლის, ალექსანდრე ხიმშიაშვილის ოჯახში დაბადებულა. „ვინ იცოდა, რომ ცნობილი პოეტი, ძიგნაკორელი, რომელიც ცხოვრობდა „შოთას უწინარეს“ და იყო „ფრიად მეცნიერი და რიტორი, საგურამოს მახლობელი კუთხიდან ყოფილა, გვარად — ხიმშიაშვილი. ეს გვარეულობა „ბოლო ხანამდე ფლობდა მამულებს არაგვის პირად, სწორედ სოფელ ძიგნაკის მიდამოებში“ (გაზეთი „სვეტიცხოველი“ 1884 წელი, ივნისი. გვ. 7. „სვეტიცხოველის მემატიანე“ — წერილი გიორგი ნატროშვილისა). უფრო უახლოეს წარსულში ამ დიდებული გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს ნათესავებთან კონფლიქტი მოსვლია და აჭარაში გადასახლებულა.

როცა პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ბრესტის ზავით ბათუმი და აჭარა თურქეთს გადასცა, იქ მცხოვრებ ქრისტიანთ გამაჰმადიანება დამუქრებიათ. ამის გამო ხიმშიაშვილთა ერთი ჯგუფი იქიდანაც აყრილა და თავიანთ მოძღვართან ერთად ქუთაისში გადმოსულა. სწორედ ხიმშიაშვილთა ამ შტოში, 1923 წლის ივნისის 15-ს ქვეყანას პატარა ქალბატონი — დოდო მოვლენია...

პატარა დოდოს დედა — თამარ მამულაიშვილი, ბაგრატიონ-დავითიშვილთა შთამომავალი, წერეთლის გვარიდან გახლდათ და დიდ აკაკის სისხლის ნათესავადაც ერგებოდა. დოდოს უფროსი ძმაც ჰყავდა, შემდგომში ცნობილი პროზაიკოსი და უგანათლებულესი პიროვნება, ბატონი კოტე ხიმშიაშვილი.

ხიმშიაშვილთა საგვარეულო გერბს შუაში წმინდა გიორგი ჰქონია გამოსახული. ქვეყნად კი არაფერია შემთხვევითი. ქრისტიანული სამყაროს დიდი წმიდანის ხატება უბრალო ჰერალდიკური ნიშანი როდი იყო ამ ოჯახისათვის — კაბადოკიელი გმირისა და წამებულის სახე ხიმშიაშვილთა ცხოვრების სიმბოლოდ იქცა, კრედოდ პატარა და-ძმის მთელი სიცოცხლისა, ჯერაც გაუცნობიერებელ სმენას მამის შეგონებად და დედის ლოცვად დალექილი. თავისუფლებას ნუ წაართმევ ნურც ერთ სულიერს დედამიწაზე, — შთააგონებდა მამა. ცილისწამებისაგან, ყოველგვარ ჭორისგან, უსამართლობისაგან დაიცავიო შვილები, — დედა ღვთისას ავედრებდა შვილებს თამარი...

ცხოვრებისეული სინამდვილე კი სხვანაირი გამოდგა — ქვეყანამ და-ძმა ჭორის, ჭირისა და უსამართლობისთვის გაწირა. ის ღვთაებრივი თავისუფლება კი, რომელზედაც მამის შეგონებებში იყო საუბარი, ბოროტების იმპერიის დილეგებში ღაფავდა სულს. სწორედ, ამ თავისუფლების თავისუფლებისთვის იბრძოდა პატარა დოდოს დიდი ძმა; სწორედ, უფლის ბოძებული ამ თავისუფლების მოპოვებას და სამშობლოს დამოუკიდებლობას შეეწირა სრულიად ახალგაზრდა კოტე ხიმშიაშვილი. იგი, 1942 წლის 17 ოქტომბერს, როგორც შეთქმულთა მეთაური, დახვრიტეს...

როცა ეცნობი ამგვარ ბიოგრაფიას, როცა კითხულობ „ბარაბასა“ თუ „ხორხოშელას“, „ყოჩივარდებსა“ თუ „ჩაკეტილ პურს“ ტკივილთან და ცრემლებთან ერთად, გამაოგნებელი განცვიფრება გეუფლება ადამიანს: ყოველივე ამის შემდეგ, როგორ იწერება „ბროლის ციგა“, „ერთი ბიჭის გადარჩენილი ქვეყანა“, „ფურისულას სურნელი“, „მამის შეგონება“ თუ „დედის ლოცვა“. ალბათ, ესეც პათოლოგიური გადახრაა, მაცხოვრის ათი მცნებით შთაგონებული, ქართული სულით, ქართული მენტალიტეტით, ქართული გონიერებით გათანგული სიმღერის — „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია-ო“, თორემ სხვანაირად, ვითარ ახსნიდით იმ დიდ სიყვარულს, რომელიც ამ დიდებულ ქალბატონს ასე მომადლებია ამდენი სტრესის, ამდენი ბოროტების, კოშმარებისა და დევნის შემდეგ; და ყველაფერი ეს მან შეძლო, შეძლო ქრისტესმიერი მცნებით, დიდი ილიასი და დიდი აკუტაგავას სიბრძნით, რომ შეუძლებელი იყო მწერალს მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრებით ეცოცხლა. და მაინც როდის იგრძნო ქალბატონმა დოდომ, რომ იგი მწერლის, შემოქმედის ტრაგიკული და მშფოთვარე ცხოვრებით იყო დაღდასმული?! იქნებ მას და მის ძმას ეს ღვთაებრივი ნიჭი, პოეტური ბუნების დედისგან, გენეტიკურად ჰქონდათ მიღებული?..

ბედმა და ბედისწერამ ხიმშიაშვილები მრავალგზის აჰყარა მშობლიური კერიიდან. პილიგრიმებივით მოხეტიალე მათ სულებს მუდამ სდევდა მიტოვებულ ადგილთა და მარად სხვაგან, მარად ახალ ჭერქვეშ გადათენების ტკივილები.

პატარა დოდოსთვის ყოველთვის ტრაგედია იყო სკოლის გამოცვლა, მაგრამ ეს არასოდეს ნიშნავდა მეგობრების გამოცვლას. მართალია, ახალ-ახალ მეგობრებს იძენდა, მაგრამ, არც ძველებს ივიწყებდა. საბოლოოდ, იგი თბილისის საშუალო სკოლას 1941 წლის ივნისში — მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ ამთავრებს და ირიცხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტზე. ეს კურსი მალევე დახურეს და სტუდენტი გოგონა საქართველოს ისტორიის შემსწავლელ ჯგუფში აღმოჩნდა.

ქალბატონ დოდოს ძმა ბევრს კითხულობდა და წერდა. დოდოს ძალიან უნდოდა ძმისთვის წერაშიც მიებაძა, მაგრამ პირველ ხანებში ვერ ბედავდა. მერე, როცა შემოქმედებაში საკუთარი ძალები მოსინჯა, კარგა ხანი არ გაუმხელია არავისთვის. ძმა, რომელიც მთელი მისი ცხოვრების ორიენტირი და მისი სულიერი მოძღვარი გახლდათ, უკვე დახვრეტილი იყო. მხოლოდ 1950 წელს გაბედა და თავისი მოთხრობები ნათესავს, ცნობილ მწერალსა და მეცნიერს, დიდებულ ადამიანს, ბატონ ლევან ასათიანს მიუტანა. ბატონ ლევანს მოთხრობები მოსწონებია, თუმცა კეთილი რჩევაც მიუცია: „ბევრი შრომა დაგჭირდება. ამან არ შეგაშინოს. ამ პატარა მოთხრობებსა და ნოველებში იმდენი მადლია, არ უნდა დაიკარგოს... თან, შენს გვარსაც ნუ გამხელ(!), ქმრის გვარით გამოჩნდი“-ო. მერე ბატონ გიორგი შატბერაშვილთან გაუგზავნია, თანაც პატარა სარეკომენდაციო ბარათიც გაუტანებია. გიორგი შატბერაშვილი დოდოს ძმის უახლოესი მეგობარი იყო. შატბერაშვილს ქ-ნი დოდო მხოლოდ პატარაობისას ენახა და, ბუნებრივია, ვერ უცვნია. დამწყებ მწერალს მისთვისაც არ გაუმხელია ვინაობა. გარკვეული დროის შემდეგ ბატონი გიორგი ბატონ ლევანს შეხვედრია და უთქვამს: „ძალიან კარგად წერს ეს ახალგაზრდა ქალი“-ო. ლევან ასათიანს ამის შემდეგ გაუნდვია შატბერაშვილისთვის ქალბატონ დოდოს ვინაობა. „გოგის ენა ჩაუვარდა“-ო, უთქვამს, თურმე, შემდეგ ლევანს, დოდო გულში ჩაუკრავს და ორივენი მწარედ ატირებულან.

ამ ამბებიდან მოკლე ხანში „ლიტერატურის გაზეთში„ დაიბეჭდა ნოველა „ჭრელი ხელთათმანები“. ნოველა რუსულადაც უთარგმნიათ და „Молодой Сталинец“-ში დაუბეჭდავთ, რადიოშიც წაუკითხავთ ქართულად და რუსულადაც, მაგრამ ავტორად მოხსენიებული ყოფილა არა დოდო ხიმშიაშვილი, არამედ დოდო ვადაჭკორია.

ამავე პერიოდში გამართულ ახალგაზრდა მწერალთა II ყრილობაზე აღნიშნული მოთხრობა განუხილავთ და დიდი მოწონებაც დაუმსახურებია. ყრილობას ერთი ვაი-პოეტიც ესწრებოდა თურმე. მას დოდო თავისი ძმისთვის, კოტესთვის მიუმსგავსებია და ხმამაღლა დაუსმენია: „ეს ვადაჭკორია კი არა, ხიმშიაშვილია“-ო. ეს განაცხადი საკმარისი აღმოჩნდა, რათა წისქვილის ქვა უკულმა დატრიალებულიყო. თვით ბატონი დემნა შენგელაიაც კი, რომელიც მუდამ დაატარებდა ქ-ონ დოდოს და მწერლებს ნაწყვეტებს უკითხავდა მის ნაწარმოებთაგან, უკუდგა და ყრილობის დახურვის დღეს გაკეთებულ მოხსენებაში მისი სახელიც კი არ უხსენებია. იმ დღიდან, თითქოს, ტაბუ დაედო ახალბედა მწერლის შემოქმედებას. გულგატეხილი მწერალი განდგა, არც მწერალთა სასახლეს გაჰკარებია და არც რედაქციებს. მხოლოდ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში დადიოდა. ეს მისი სამსახურებრივი მოვალეობა იყო და სხვა გზა არც ჰქონდა. საათობით იჯდა საქართველოს ისტორიის კაბინეტში და თავისი ცხოვრების ტკივილიან გზას ცრემლმორეული გაჰყურებდა, გზას — ცივსა და გათოშილს, მოჭირხლულს და თოვლიანს, რომელსაც მისი პატარა გმირების ნაფეხურებთან ერთად საკუთარი ეული ნაფეხურებიც აჩნდა...

დოდო რუს და ქართველ მეგობრებთან საბავშვო ლიტერატურის პლენუმის შემდეგ (წავკისი)

სწორედ, ამ სასახლეში შეხვდა იგი მაშინდელი „დილის„ რედაქტორს ბატონ რეზო მარგიანს (ბატონი რეზო კოტეს უნივერსიტეტელი მეგობარი გახლდათ). გაცებულ პოეტს უკითხავს: „სად ხარ, რატომ არაფერს ბეჭდავ„-ო. დოდოს თავს გადამხდარი ამბები შეუხსენებია. „აბა, საყმაწვილო მოთხრობების წერა სცადე... უსათუოდ დაგბეჭდავ„-ო. უთქვამს რეზოს. სულგანათლებული პოეტის და მისი მოადგილის ქ-ონ მაყვალა მრევლიშვილის წყალობით, დოდო ხელახლა შემოვიდა დიდ საყმაწვილო ლიტერატურაში.

მართლაც, რომ საოცარია ამ დიდებული მწერლის ცხოვრებაც და შემოქმედებაც. მიუხედავად ეგოდენი ტკივილებისა, გაუტანლობისა და დამცრობისა, ღალატისა და გაცემისა, მისი სიცოცხლე არასოდეს ქცეულა ბოღმად და შურისგებად. პირიქით, ყოველი ტკივილი — სითბოდ, ყოველი სიძულვილი — სიყვარულად, სიკეთედ ქცეულა და ჩაღვრილა საყვარელ შვილებსა და შვილიშვილებში, მთელს საქართველოში, მის მარადიულ მომავალში.

მისი ცხოვრება და შემოქმედება მხოლოდ ერთით იყო ნამსჭვალი, ერთი ფიქრით, ერთი ზრუნვით, ერთი ოცნებით გათანგული: ეცხოვრა ისე, როგორც შეეფერებოდა ჭეშმარიტ მწერალსა და შემოქმედს.

პირველი მოთხრობა პირველ სიყვარულს ჰგავსო, — ხშირად უთქვამს მხცოვან მწერალს და ეს პირველი სიყვარული შემდეგ ერთ დიდ, განუყრელ

კოტე და დოდო ხიმშიაშვილები

სიყვარულად უქცევია მრავალი თაობისთვისაც და თვით ამ თაობათა საყვარელი, ძვირფასი გამოცემებისთვისაც. მრავალი წლის მანძილზე დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია იყო ჟურნალ „პიონერის“ სარედაქციო კოლეგიის და „ნორჩი ლენინელის“ სარედაქციო საბჭოს წევრი. მას შემდგ კი, რაც საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი გახდა, იგი მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის ბიუროში და პარალელურად სსრკ-ის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის საბჭოს შემადგენლობაშიცაა.

ყოველი მისი ნაწარმოები ცალკეულ ცხოვრებისეულ მომენტთანაა დაკავშირებული, მის ტკივილთან თუ სევდიან სიხარულთან, სითბოსთან თუ ჭირხლთან, იმედთან თუ გულგატეხილობასთან. მისი სამყარო შორეული ბავშვობიდან მოდის და მარადიულ ბავშვობაში მიემართება — ზრუნვით, სიყვარულით, სითბოთი და კეთილი მოძღვრის ღვთიური მოვალეობით.

წელს ამ დიდებულ, სულიერად ჭეშმარიტ არისტოკრატს 90 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ მას ამ ლამაზ დღეს და ვუსურვებთ კიდევ დიდხანს, დიდხანს გაეხარებინოს საქართველოს მომავალი თაობები.

ალეკო გაბელაია

შაბათს, 15 ივნისს, 15 საათზე მწერალთა სახლში გაიმართება ქ-ნ ***დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორიას*** საიუბილეო საღამო.

გოეთე, „ფაუსტი“

მეორე ნაწილი ნაწყვეტი ნიღბების დღესასწაულიდან

თამაზ, მომილოცავს გაზეთის აღდგენა, გისურვებ დიდ წარმატებებს. გიგზავნი ერთ მონაკვეთს „ფაუსტის“ მეორე ნაწილიდან. საუკეთესო სურვილებით **დათო წერედიანი**

ჰეროლდი

დღეს გერმანული გართობანი აქ არ მოგველის, — მკვდარნი, ავსულნი, უჯმაჯურნი მცეკველ-მროკველი,
მხოლოდ თვალსასურს ვნახავთ სანახავს.
იმ ნათელ მხარეს მივაშურებთ ფერთა მზიერთა,
რომელიც ჩვენმა მბრძანებელმა შემოგვიერთა,
ალპები ძლევით რომ გადალახა.
იქ წმინდა ფერხნი რა ამბორყო და კეისრული
ძალა-უფლება რა მიირქვა მთელი სისრულით,
გვირგვინის გარდა, იმ გზობასვე, ქუდი რამ ერთი
წამოიტანა, მხიარულმან, საკუთრივ ჩვენთვის.
სახე გვიცვალა მაგ ერთი ძღვენით,
თავიდან ვიშვით, ვიგრძენით შვება.
იყავ, თუ გინდა, ათასგზის ბრძენი,
ვინც დაიფხატავს, იქცევა შლეგად.
თუმცა ნაქსოვი ჩაჩია ძველა,
ყურებიანად შიგ ძვრება ყველა.
დღესაც მოზღვავდნენ, დახტიან ცხვირწინ,
გიჟობენ ცალ-ცალ, გიჟობენ წყვილ-წყვილ,
ვერ გავერიდე, საითაც ვდექი.
მაგრამ ყველაზე შლეგად მოარი
თავად და თავად საწუთრო არი,
ეს სოფელია შლეგთაგან შლეგი.

მებაღე ქალები, მღერიან მანდოლინების თანხლებით

ტაშისათვის მოვალთ, მივალთ,
კალათებით კოხტა-კოხტით.
ფლორენციის ასულნი ვართ,
ალემანთა კარად მოვხვდით.

შავი თმა და, ფერი ფერზე,
ყვავილები თმაში წნული,
აბრეშუმის სიხავერდე
ყაისნაღით ამოსხმული.

შორი გზები დაგვივლია,
არ გვიჭკნება გზაში ვარდი,
მონათარგი ყვავილია,
განა ბაღში განაზარდი.

შევახამეთ ღერო-ღეროდ
უჩინოსთან საჩინარი,
ფერი როცა ფერსა ჰფერობს,
სილამაზე მაშინ არი.

შევმოსილვართ მისი სხივით
მწყაზრები და ფეროვნები.
ქალის ეშხი ბუნებრივი
ნაქსოვია ხელოვნებით.

ჰეროლდი

ძირს ჩამოდგით თქვენი ტვირთი,
კალათები ჭრელა-ჭრელი,
დაგვანახეთ, რასაც ყიდით,
გადმოშალეთ თქვენი ხელით.
მიმოამკეთ ბაღჩა-ბაღად
გასასვლელთა კუთხე-კიდე.
ასე ტოლსწორს ძნელად ვნახავთ
გამყიდველს და გასაყიდველს.

მებაღე ქალები

ნუ ინებებს ოღონდ ნურვინ,
გვევაჭროს და გაგვიხვეწდეს,
მოკლე სიტყვით, ჭკვიანურით,
ის აიღოს, რასაც შესწვდეს.

ზეთისხილის მსხმოიარე ტოტი

ყვავილების არა მშურს და
სხვებთან დავა არა მსურს და
მშვიდად ვცხოვრობ ჩემი წესით.
ჟამსა აქეთ კიდობნისა
ნიშანი ვარ მშვიდობისა,
ყველა ხილზე უკეთესი.
დღეს ვინ ხდება ჩემი ღირსი?
შეიმკობა შუბლი ვისი?

პურის თავთავები,
ოქროსფერ გვირგვინად შეკრული

მხოლოდ ძნა ვარ, ჭირნახული,
ცერერასგან შემოძღვნილი,
მაინც მომაქვს სავსე გულით
სილამაზე ჩემი წილი.

ნახელოვნარი ყვავილგვირგვინი

ყვავილები, ბალბის მსგავსი,
მოგებულა მწვანე ხავსით.
ჩვეულებრივს არად არ ჰგავს,
ბოლო მოდას მოუქარგავს.

ნახელოვნარი თაიგული

სახელს ჩემსას იტყვის ვინა,
თეოფრასტე იყოს გინა!
ვისამ-ვისამ თუ მოვწონდე,
მეტისთვისაც არა ვღონდე.
სურთ, დამშალონ რამდენ-რამდენ,
ოღონდ თმაში ჩამიწნავდენენ.
ერთიც იყოს, თან მიახლოს,
მიმიხუტოს გულთან ახლოს.

ვარდის კოკრები

წუთისათვის შენათხზენი,
მოდისათვის შენაძღვენი,
ბუნებისგან არა ქმნილან,
ქარგა-ქარგა გამოჭრილან.
მხოლოდ სირმა, მხოლოდ ფოჩი,
ქალის თმაზე მისაკოჭი!
ჩვენ კი დრომდე უჩინო ვართ,
გაზაფხულის ბოლოს მოვალთ.
რა რომ სრულად განვისახოთ,
მაშინ გვნახოთ, ვინცა გვნახოთ!
ერთად პოვოთ შენასკული
შენაპირი — შენასრული.
გადაიყრით გულის დარდებს,
სიყვარულის დარი დარდეს!

(მწვანე თალარის ქვეშ მეყვავილე ქალები თავიანთ გასაყიდლებს შლიან.)

მებაღე, სიმღერა თეორბების თანხლებით

თვალს ახარებს ვარდ-ყვავილი,
გვირგვინობს და დიადემობს!
რაც არ ტყუის, მწიფე ხილი,
ჩამოკრეფ და ნახავ გემოს.

ატამიც მაქვს, ალუბალიც,
ქლიავიც და, იტყვით რასაც,
არ იამებს მხოლოდ თვალი,
დაგიტკბებათ ენაც, სასაც.

ტოლს არ იდებს ჩვენი ძღვენი,
არ გეგონოთ დაქადნება.
ვარდი ვარდად სტრიქონს შვენის,
ვაშლი პირში ჩაგადნება.

ყმაწვილქალნო, ხელსავსენო,
დავუწყვილოთ ხილი ყვავილს,
სადაც თქვენი ბაღი შენობს,
ნაყოფისაც დადგეს ხვავი.

შევაჯეროთ ფერი ფერთან,
ქება გვითხრას, ვინცა გვნახოს,
შეჰხაროდეს თვალი ერთბამ
ფოთოლს, ყვავილს, ნასკვს და ნაყოფს.

(ორივე გუნდი, გიტარებისა და თეორბების ხმაზე, სიმღერამონაცვლეობით, განაგრძობს თავ-თავიანთი გასაყიდლების მაღლა საფეხურ-საფეხურებად დაწყობას.)

დედა და ქალიშვილი.

დედა

შვილო, ისე კარგი გაჩნდი,
შევქმენ მიეთ-მოეთი,
მიწას ჯერეთ არც კი აჩნდი,
უკვე იმედს მოვედი,
სულ მდიდრებზე ფიქრი მქონდა,
გული იმას რიკრიკობდა,
კარგად გაგათხოვებდი.

მაგრამ წლებმა ჩაიარეს,
გახდი დასაწუნები,
მივაცილებ მზეს და მთვარეს
წახდენილი გუნებით,
ზოგთან იყო, როკაობდი,
ზოგთან იყო, ტროკაობდი,
იდაყვს უბაგუნებდი.

აღარა ჭრის რეტის რეტი
ყოველ ჯერზე ცხრაჯერი
ფანტები და „ვინც ზედმეტი“,
ცოტა კალთა გაჯერი,
ერთხანს აქაც ვივაგლახოთ,
ეგებ ვინმე შტერი ვნახოთ,
შენი გამოსაჭერი.

(შემორბიან ლამაზ-ლამაზი დობილები, გარს შემოეხვევიან, გულითადი საუბარი თანდათან მკაფიოდ ისმის. მალე მეთევზეები და მეჩიტბადეები, შემოუერთდებიან, ხელში თავ-თავიანთი ბადე-საჭერებით.. იწყება კეკლუცობანი, დაჭერა-გასხლტომანი, მიყვავილება-მილაქარდებანი.)

გერმანულიდან თარგმნა ***დავით წერედიანმა***

გაგრძელება შემდეგ ნომერში



გოგი ხარაბაძე

ჩუნასად, ჩასოდ, ჩუნასად!

დიდ მსახიობებსა და სპორტსმენებს ტყუილად არ უწოდებენ ვარსკვლავებს.

ისინი არ ქრებიან; ანათებენ მაშინაც, როდესაც აღარ არიან.

დათო ყიფიანი – ეს მარტო სახელი არ არის. არც მარტო ისტორიაა. ეს არის ემბლემა, რომელიც თავის თავში აერთიანებს სამივე დროს და, რაც მთავარია, არ კარგავს სინათლის ძალას, არ ხურდება, არ ძველდება. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო ივსება შუქით და რაღაც გამოუცნობით, მისტიკური შინაარსით, რომელიც კულტის თაყვანისცემის ნიშნებს შეიცავს, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის და ჩემი თაობის გულშემატკივრებისთვის.

დიახ, მე ვწერ საკულტო ფიგურაზე, პროფესიონალ შემსრულებელზე, რომელმაც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მწვანე მინდორზე ითამაშა გამორჩეული როლი, რითაც დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი საზოგადოების თვითშეგნების გამოღვიძებისა და გააქტიურების საქმეში.

ამ საქმეს ის ემსახურებოდა ცხებულის სიმტკიცით, არისტოკრატიის სიდინჯითა და ქართული პატიოსნებით.

მას ჰქონდა სიმაღლე, ვარსკვლავის სიმაღლე.

დავაი, დატო, ნაჩინაი...



ტანში მზარავს, როდესაც ვიხსენებ ჩვენი – მე ჩვენებს ვეძახი ყველა საბჭოთა ფეხბურთელს: ქართველს, რუსს, უკრაინელს – ფეხბურთელების ტრაგიზმით სავსე ცხოვრებას... იაშინი, სტრელცოვი, ვორონინი, მეტრეველი... და, რა ვიცი, კიდევ რამდენი...

გენიალური ფეხბურთელი მიშა მესხი ბოლო წლებში ახალგაზრდულ გუნდს წვრთნიდა და თბილისის გარეუბანში, საწვრთნელი მოედნის გვერდით, ვაგონში ცხოვრობდა. ბიჭებმა გავუარეთ. გვინდოდა პატივი გვეცა, სადმე დაგვეპატიჟა...

ვერ წამოგვყვა, ფეხები ისე ჰქონდა შეშუპებული, ფეხსაცმელებს ვეღარ იცვამდა... მერე... გარდაიცვალა.

ერთხელ იურა როსტს ვხვდებოდი თბილისის აეროპორტში. ნოდარ ახალკაცი დაინახა. აღელდა. მითხრა: „ვიცი, არ უყვარს ინტერვიუების მიცემა, მაგრამ იქნებ დაიყოლიოო...“ მივედი. „მე მაგ კაცს კარგად ვიცნობ, ბევრი რამ მაქვს მისი წაკითხული, ვენდობი, ხვალვე მობრძანდესო.“

სიტყვაძუნწი ნოდარი და იურა ორი დღე იყვნენ ჩაკეტილები, დიღმის ბაზაზე და საუბრობდნენ.

მერე ნოდარიც უდროოდ დაგვემშვიდობა... როცა დათო ყიფიანმა ფეხბურთს თავი დაანება, იურა სპეციალურად ჩამოფრინდა თბილისში. შეხვდა დათოს. ისაუბრეს. მერე გვთხოვა, სტადიონზე წავიდეთ, იქ მინდა ფოტო გადავუღოო. ნანახი გექნებათ ის ფოტო, „კიპიანი უხოდიტ“. მრავალი გამოფენა და ჟურნალ-გაზეთი მოიარა მერე. მახსოვს, დათომ თავისი პატარა ბიჭები ლევანი და ნიკუშა წამოიყვანა. სტადიონის დირექტორი მაშინ ქართული ფეხბურთის ლეგენდა ბორის პაიჭაძე გახლდათ. დიდი პატივით დაგვხვდა. ნაღველიც ჩაუდგა თვალებში დათოს დანახვაზე.

ბავშვები ტრიბუნაზე თამაშობდნენ. ბატონი ბორისი და მე მწვრთნელებისა და ფეხბურთელების ადგილზე დავსხედით გადაღების მოლოდინში.

როსტმა, შემაღლება მოითხოვა, მინდა კადრი ზემოდან გადავიღოო... აწრიალდა ბატონი ბორისი. სტადიონის შემოსასვლელში დიდი სარწყავი მანქანა იდგა. მძღოლის საძებნელად გაიქცა, ეს მხცოვანი კაცი. ორ წამში მანქანაც მოაყენეს სარბენ ბილიკზე.

– დათო, თუ შეიძლება, შუა მოედნისკენ წადი, იარე ტრიბუნისკენო, – სთხოვა იურამ და თან მანქანის სახურავზე დაიწყო ასვლა. როგორც იყო, აბობღდა.

– დავაი, დატო! – დაიძახა და კამერა მოიმარჯვა.

დათო დგას. არ იძვრის.

დავაი, დატო, ნაჩინაი, – არ ეშვება იურა. დათო ისევ თავჩაღუნული დგას...

უხერხული პაუზა ჩამოვარდა...

უცებ, აუჩქარებლად მომიბრუნდა და ქართულად მეუბნება:

– რაც ფეხბურთს თავი დავანებე, მოედანზე არ გავსულვარ, ბიჭო, მიჭირს, ფეხები მიკანკალებს, ადგილიდან ვერ ვიძვრიო. თითქოს ტანითაც დაპატარავებულიყო... მწვრთნელის სკამს დავადნი.

როსტი რაღაცას მიხვდა და გაყუჩდა. სიჩუმე ჩამოწვა. ამ დროს ბატონი ბორისიც მოგვიახლოვდა. მზრუნველად იკითხა: კიდევ ხომ არაფერი გჭირდებათ, რას უცდითო?

– არა, არაფერი... უბრალოდ ფეხსაცმლით არასოდეს შევსულვარ მინდორზე, მერიდება თქვენ ნებართვას ვუცდიდი... – უპასუხა დათომ.

მიდი, მიდი, შვილო, შენ ოღონდ მოედანზე შედი და, თუ გინდა, ჩექმები ჩაიცვი... ყიფიანი დაიძრა...

აი, ის ფოტოსურათიც.....

ყიფიანი ფანტასტიკო!

მისმა დაღუპვამ, დიდ ტკივილთან ერთად, რამდენი სასიამოვნო მოგონება ამიშალა...

მოგონება მის შემოქმედებასთან, თამაშთან, მის მიერ ნაჩუქარ საოცარ წუთებთან დაკავშირებული....

თავადაც ჰქონდა სიამოვნებაც და ტკივილიც. სიამოვნება – ისევ თამაშით, ტაშით, გულშემატკივართა აღფრთოვანებითა და სიყვარულით გამოწვეული;

ტკივილი?

სასტიკია, ბედი უამინდოთა...

ადამიანები, რომლებიც სხვებს ჩუქნიან ბედნიერებას, უმეტესად ტრაგიკული ბედისანი არიან თვითონ. ამიტომ, შესაძლებელია, კანონზომიერიც კი იყო ყიფიანის ასეთი აღსასრული, ორმოცდაათი წლის ასაკში.

1981 წლის 13 მაისი. თბილისის „დინამო“ დიუსელდორფში!

მაშინ, რუსთაველის თეატრი რომში იყო გასტროლებზე. ჩვენი სპექტაკლისა და მატჩის დრო ერთმანეთს ემთხვეოდა, ამიტომ წინა დღეს, რომ არაფერი გამოგვრჩენოდა, თეატრის ფოიეში საგანგებოდ შევიტანეთ ტელევიზორი.

მაგრამ ტრაგიკული შემთხვევის გამო საღამოს ყველა ტელეგადაცემა მოიხსნა, მათ შორის – ფეხბურთიც.

ამ შემთხვევის მოწმე, ათასობით ადამიანთან ერთად, მეც გავხდი.

13 მაისს წმინდა პეტრეს ტაძარში პაპს ელოდნენ. საოცარი მზადება იყო. გაოგნებული ვუყურებდი ამ დიდებულ და ამაღლებულ სანახაობას.

ნაშუადღევს ყველაზე დიდმა კათოლიკემ, უზარმაზარი ამალითურთ, ჩემს თვალწინ ჩაიარა. ოციოდე ნაბიჯი არ ჰქონდა გავლილი, რომ ვიღაც მამაკაცმა იარაღი ამოიღო და რამდენჯერმე ესროლა.

როგორ განვითარდა მოვლენები ამის შემდეგ, ვერ გეტყვით, რადგან საბჭოთა მენტალიტეტმა და დაჭერის შიშმა იმუშავა და სულ მოკლე ხანში ისევ სასტუმროში აღმოვჩნდი. მომხდარის გამო შესაძლებლობა არ მოგვეცა თამაშისთვის გვეყურებინა, სპექტაკლი ისე მთავრდებოდა, ჩვენი ბიჭების შესახებ არაფერი ვიცოდით.

ფინალისკენ სცენაზე შემოვარდა აქოშინებული გია ფერაძე და დაიყვირა: ჩვენებმა 2:1 მოიგესო.

გიას ხუმრობა უყვარდა და არავინ დაუჯერა, სანამ გვიან ღამით, სასტუმროს ბარში, ჭერში გამოკიდებულ ტელევიზორში სპორტულ მიმოხილვას არ ვუყურეთ. აჩვენებდნენ, როგორ ჟონგლიორობდა ყიფიანი მეორე ტაიმის ბოლოს და როგორ ყვიროდა ხმაჩახლეჩილი იტალიელი კომენტატორი: „ყიფიანი ფანტასტიკო, ფანტასტიკო, ბრავო“...

ჩავიკეცე. მართლა ჩავიკეცე – სიხარულისაგან, სიამაყისაგან.

მისი დაღუპვის ამბავი რომ გავიგე, მაშინაც ჩავიკეცე, მართლა, ჩავიკეცე....

„საქართველო ლაბორატორიად აქციეს“

რატომ ვერ ჩაითვლება ოპოზიციად „ნაციონალური მოძრაობა“, ვინ უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი და რა სახის კოჰაბიტაცია არის მისაღები ქართველი საზოგადოებისათვის, უნდა ჰქონდეს თუ არა საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთთან?

ამ და სხვა საინტერესო თემებზე საუბრობს ცნობილი მოჭიდავე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი ***გურამ სალარაძე:***

— ბატონო გურამ, ამჟამად სად მოღვაწეობთ?

— ამჟამად ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ სპორტული დირექტორი გახლავართ. ახლა ამ კლუბის რეორგანიზაცია მიმდინარეობს, მას 90-წლიანი ისტორია აქვს, ქართული სპორტის ფლაგმანია და აუცილებელია ძველი დიდება დაიბრუნოს. კლუბის თავმჯდომარე ნიკოლოზ ივანიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი ნოდარ სირბილაშვილი; ახლა სწორედ ამ საქმითა ვართ დაკავებული და გვსურს, საქართველოს ბევრი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი გავუზარდოთ.

— „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციად მიგაჩნიათ?

— რა ოპოზიცია! ისინი მხოლოდ ძალაუფლების დასაბრუნებლად იბრძვიან. ჩემთვის დღემდე გაუგებარია, საქართველოში, ტრადიციების ქვეყანაში, ასეთი მახინჯი მსოფლმხედველობის ადამიანები როგორ შეიკრიბნენ... თუმცა, ყველამ იცის, რომ მათ ზურგს უკან დგას ძალა, რომელმაც ისინი ძალაუფლებით უზრუნველყო. ნაციონალებს არც ღმერთი სწამთ, არც სამშობლო უყვართ, ადამიანიც ეზიზღებათ. ესენი არ არიან ჩვენები! ესენი არ არიან იმათი მემკვიდრენი, ვინც სამშობლო დღემდე მოგვიტანა. ამათ რაღაც დოქტრინები და დავალებები შეასრულეს, ქართველი ხალხის დათრგუნვის ხარჯზე, ალენ დალესისა და ბზეჟინსკის თეორიების შესასწავლად, საქართველო ლაბორატორიად აქციეს. ნაცმოძრაობა ტრანსფორმირებული „მოქალაქეთა კავშირია“. „გიხაროდენ“-ით და ვარდებით მოვიდა და ცოცხებით დაამთავრა მოღვაწეობა!

— მაშ ოპოზიციური ნიშა ჯერ კიდევ ცარიელი ყოფილა. ვინ უნდა იყოს ოპოზიციაში, ვინ გეგულებათ ასეთ ძალად?

— ძალიან მარტივად ვუყურებ ამ საკითხს: ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც ის ხალხი უნდა იყოს, ვისაც ღმერთი, სამშობლო და ადამიანი უყვარს. შეუცდომელი ხელისუფლება არ არსებობს, მაგრამ თუ ოპოზიციაში ისეთი ადამიანები იქნებიან, რომლებიც ხელისუფლებას მოყვრულად მიანიშნებენ შეცდომებზე, მოდუნების საშუალებას არ მისცემენ, მრავალ ზიანს აარიდებენ ქვეყანას. ასეთი ოპოზიცია დიახაც უნდა იყოს და ხელისუფლებას კიდეც უნდა ედავოს. სიმპათიით ვარ განწყობილი რამდენიმე ოპოზიციური პარტიის მიმართ, იქ ბევრი პატივსაცემი ადამიანი მეგულება, თუმცა, შეცდომები მათაც აქვთ დაშვებული. 26 მაისის მიტინგის სისხლიანი დარბევის საშუალება არ უნდა მიეცათ ხელისუფლებისთვის... ბატონმა ბიძინამ კი გასული წლის 1 ოქტომბერს ბრძოლის მოგება სრულიად უსისხლოდ მოახერხა. უნდა შევახსენო მკითხველს წმინდანად შერაცხილი გაბრიელ ბერის სიტყვები: „ისეთი გონიერი უნდა იყო, რომ ეშმაკს ზურგზე შეაჯდე და აქეთ-იქეთ ატარო“, ჩვენ კი მათ იმ საშინელი დარბევის საშუალება მივეცით!

— როგორ აფასებთ ხელისუფლების მიერ დეკლარირებული კოჰაბიტაციის პროცესს. რა უმჯობესია ქვეყნისათვის, მიუტევოთ ძველი რეჟიმის მესვეურებს თუ პასუხი ვაგებინოთ?

— კოჰაბიტაციას მე პრინციპულად არ ვეთანხმები. როგორ შეიძლება მივუტევოთ ქვეყნის მტრებს, ვინც ფიზიკურად გვჟლიტა, ტრადიციები გვინადგურა, ინტელიგენცია დააჩაჩანაკა, სოფელი დააცია, მიწები გაყიდა... ნურავის ჰგონია, რომ ძველი რეჟიმი უკვე დასრულდა, გარდამავალი პერიოდი ძალიან მძიმედ მიდის. პასუხი ყველამ უნდა აგოს! პატიება და შერიგება იმასთან არის შესაძლებელი, ვინც დანაშაულს გრძნობს და ინანიებს. სავლე უფალს მტრობდა, თუმცა მოინანია და პავლედ იქცა, უფალმა ის მიიღო. ასეთ კოჰაბიტაციას მივესალმები. როგორ მივესალმო იმათთან შერიგებას, ვინც ამდენი საშინელების შემოქმედია? ჩემი მეგობარი გურამ შარაძე ქუჩაში დახვრიტეს, გირგვლიანის ბაბუასთან ვმეგობრობდი, რობაქიძის ბაბუა ჩემი მეგობარია, ვაზაგაშვილის, კიდევ სხვათა სიკვდილი როგორ მოვინელო. მე ვთვლი პრეზიდენტყოფილისა და მისი გუნდის 9-წლიანი პერიოდი დაკავშირებულია მსხვერპლშეწირვის რიტუალთან, რომელიც დასრულდა ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვით.

— პირადობის მოწმობაში ეროვნების გრაფა უნდა დაბრუნდეს?

— ადრე ერის გადაგვარებას გვარების გადაკეთებით უწყობდნენ ხელს, ახლა გაამარტივეს და ეროვნება საერთოდ ამოიღეს პირადობის მოწმობიდან, მამის სახელიც მიაყოლეს... ეროვნების აღქმასთან ბრძოლის ტენდენცია მთელ მსოფლიოში შეიმჩნევა. ეს ბრძოლა განსაკუთრებით მცირე ერებს აზიანებს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ დაუყოვნებლივ უნდა აიკრძალოს უცხოელებზე ქართული მიწის გაყიდვა. ძალიან მომწონს კოლექტიური მეურნეობის სისტემა, ხალხი მიწაზე შრომობდა, დოვლათი გროვდებოდა... სხვათა შორის ისრაელის ერთ-ერთ ოლქში ეს სისტემა მართალია ექსპერიმენტის სახით, მაგრამ კარგად მუშაობს.

— კიდევ რაზე გაქვთ ნოსტალგია საბჭოთა დროიდან?

— ბევრ რამეზე... ტარდებოდა სპარტაკიადები, იყო ერებს შორის სითბო და სიყვარული, პირდაპირ გეტყვით: რუსეთი უზარმაზარი მართლმადიდებლური ქვეყანაა, ქართველი გლეხისთვის კი ის ბაზარი, რომლის გათვალისწინებითაც მის შრომას აზრი ჰქონდა, ამიტომ უნდა აღდგეს უვიზო რეჟიმი, რაზეც შესაძლოა მნიშვნელოვნად იყოს დამოკიდებული ქართველთა სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა...

— ნატო-სკენ სწრაფვაზე რას იტყვით?

— მიმაჩნია რომ ყველა კარდინალური საკითხი რეფერენდუმზე უნდა გადაწყდეს, ნურავის ჰგონია, რომ ნატო-სკენ სწრაფვა ძველი ხელისუფლების გულწრფელი პოზიცია იყო. ეს ლოზუნგი მათ გავლენისა და კაპიტალის დასაგროვებლად გამოიყენეს. რაში გვჭირდება პატარა ქვეყანას სხვისი სტრატეგიული ინტერესისთვის თავგანწირვა? მე მჯერა, რომ საქართველო გაბრწყინდება. გახდება მონარქიული ქვეყანა და მეფე ეყოლება. ბატონ ბიძინას დიდი მადლობა ღვაწლისთვის, თუმცა მას დიდი მისია აქვს შესასრულებელი და ვთხოვ, ვიდრე საქართველო არ დალაგდება, ნუ იტყვის, მცირე ხნის შემდეგ წასვლას ვაპირებო...

— ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნები გველის, ვინ წარმოგიდგენიათ პრეზიდენტის პოსტზე?

— ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილისადმი მხარდაჭერით მკაფიოდ გამოხატა თავისი ნება ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, ამიტომ ჩემთვის, ისევე როგორც მოსახლეობის უმრავლესობისთვის, მისაღებია ის კანდიდატურა ვისაც ბიძინა ივანიშვილი ენდობა. დროა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზეც დაფიქრდეს ხელისუფლება. რადგან „ნაციონალურ მოძრაობას“ რეალურად ხმების 40% არ მიუღია, ახლა თუ ჩატარდება არჩევნები, შეიძლება პარლამენტში საერთოდ ვერ მოხვდნენ.

— რომელ ლიტერატურულ პერსონაჟს გაგონებთ სააკაშვილი?

— ერიკ რასპეს ბარონ მიუნჰაუზენს! მასავით ცრუპენტელაა.

— კიდევ ხომ არაფრის თქმა გსურთ?

— არ შემიძლია არ მოვიხსენიო ავღანეთში გმირულად დაღუპული ჩვენი ქართველი ვაჟკაცები; მინდა ღრმა მწუხარება გამოვთქვა მათი დაღუპვის გამო და ფ.ს.კ.. „დინამო“-სა და ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის სახელით სამძიმარი გამოვუცხადო მათ ოჯახებსა და სრულიად საქართველოს.

ესაუბრა

დურმიშხან ზარნაძე

ბიჭი ივანიშვილი

საქართველოში

მხოლოდ საქართველოში,
კლავენ უცხოს გულისთვის.
მხოლოდ საქართველოში,
ძმები მტრობენ ფულისთვის.
მხოლოდ საქართველოში,
განძს ეძებენ ნაგავში.
მხოლოდ საქართველოში,
ცუდს ვინ ხედავს ამაში?
მხოლოდ საქართველოში,
ცრემლი მარტო მოდაა.
მხოლოდ საქართველოში,
ხალხი შეუძლოდაა.
მხოლოდ საქართველოში,
კარგს არჩევენ ფასით.
მხოლოდ საქართველოში,
ნარდს აგებენ „მარსით“.
მხოლოდ საქართველოში,
მაშინ იხდი ბოდიშს,
როცა შენ მანქანასთან,
მათხოვარი მოდის.
მხოლოდ საქართველოში,
ნახავ აბრას სადაც,
ჩვენ ენაზე აწერია, მაგრამ
ქართულს არ ჰგავს...
ყველგან მთელ მსოფლიოში,
რასაც გინდა იმას ნახავ...
მხოლოდ საქართველოშია:
„რაც გინახავს ვეღარ ნახავ“.

ბარემ

აღარ ვახსოვარ ღრუბელს,
სულ დამივიწყა მთვარემ,
თუ ვერ ავიტან უღელს,
ხომ არ წავიდე ბარემ?!
სიმჟავე დაჰკრავს „ბეზეს“,
ტკბილი შეცვალა მწარემ.
სანამ დავიწყებ ზედმეტს,
ხომ არ წავიდე ბარემ?!
ვერ ვმართავ სტრიქონს თითოს,
დაღი დამასვა ღამემ
და სანამ ზეცა მითხოვს,
ხომ არ წავიდე ბარემ?!
თოვლი მთის წვერზე დნება,
ზნე შეიცვალა მხარემ,
სანამ სოფელი „ცვდება“,
სჯობს რომ წავიდე ბარემ...

მაინც გავიტან ჩემსას

მაინც გავიტან ჩემსას,
მაინც მივაღწევ მიზანს.
ლექსის დავიწყებ კემსვას,
გაჩუქებ დილას მზიანს.
ზღაპარს დავუწერ ბავშვებს,
სიზმრებს მოვუქსოვ დედას...
უხ| ეს თავხედი ფიქრი,
ხანდახან რამდენს ბედავს...

აბა?

აბა ჩემი ნატვრისთვალი?
აბა ოქროს თევზი?
აბა ვისი მკოცნის ქალი?
აბა ვის ქმარს ვებრძვი?
აბა ჩემი მარწყვის ტორტი?
აბა ღვინის თასი?
აბა ჰანგის სავსე ნოტი?
აბა ვარდი ასი?
აბა ცოლი?
აბა შვილი?
აბა სიყრმის მეგობარი?
აბა დედა თმაგაშლილი,
სკოლის კართან ჩუმად მდგარი...
აბა დარდი?
აბა ლხინი?
აბა ჩემი მეობა?
აბა კარგის მოლოდინი?
აბა ღვთის შემწეობა?
აბა ჩემი ერთგულება?
აბა ზღვაში გემი?
იქნებ ვინმე გეგულებათ...
სიყვარული ჩემი.

მწერალთა კავშირის ყრილობა – სახელმწიფო სახელმწიფოში თუ სიყალბის აღლუმი?!

დიდი მითქმა-მოთქმის, საიდუმლო სამზადისსა თუ მყვირალა ანტირეკლამის ორომტრიალში მწერალთა კავშირის ოცდამესამე ყრილობამ პოლიტიკით გულშეღონებულ საზოგადოებას თავი შეახსენა. ჩამორთმეული შენობისა თუ გასხვისებული დაწესებულებების ფონზე მწერლობის გადაუჭრელ პრობლემებზე სჯა-ბაასი მავანს ეგებ უადგილოდ მოეჩვენოს; მით უფრო, როცა ყრილობის ჩატარების თარიღი გაეროში საგანგებოდ გამართულ სხდომას დაემთხვა. სიმართლე რომ ითქვას, მწერლები კონკრეტული სატკივარის თაობაზე საჯარო, საფუძვლიან საუბარს გეგმაზომიერად გადააჩვიეს. მხოლოდ შინაურ წრეში აზრთა გაცვლა-გამოცვლა კი ადამიანურ ურთიერთობებს ამრუდებს, საბოლოოდ ველარ გაარკვევ, დღევანდელი მოკეთე მოსისხლე მტრად როდის იქცა ან ყბადაღებულ პროვოკატორთა ურდოს პრაგმატული მოსაზრებით ვინ ასდევნებია და ვინ იდეური შეუთავსებლობის საბაბით უჭერს მხარს. საერთო დაძაბულობის განმუხტვას სწორედ ეს სირთულე აფერხებს. ყველა ჩვენთაგანს ნაგვიანევი ეჭვი თუ სინანული მოურჩენლად ღრღნის. რატომ ვერ ხერხდება ერთხელ და სამუდამოდ რომელიმე სფეროში შესაბამისი სისტემა შეიქმნას, რომლის ხელმძღვანელიც უპირველესად, საქმის სიყვარულით იხელმძღვანელებს და შესაფერისი კადრის განმტკიცებას უზრუნველყოფს?

დღეს ვინ მოგვისაჯა მოძველებულ ბოლშევიკურ სიყალბეს ვეთაყვანოთ? იაფფასიან დემაგოგიასა და მედროვეთა გუნდრუკის კმევას რატომ ვერ ველევით? როდის მოგვბეზრდება ჩვენი და სხვისი ცოდვები განურჩევლად ვიღაცას გადავაბრალოთ? ხელისუფლების მსგავსად ფასადური დემოკრატია საშვილიშვილოდ შევიტკბოთ და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მუდამ მესამე ძალას ველოდოთ, რომლის გამოჩენასაც აღარ დაადგა საშველი. რადგან თავად გვსურს დღენიადაგ ვიღაცამ გაგვაცუროს, გაგვაბიაბრუოს, წინასწარ დაწერილი ცინიკური სცენარის უხარისხო პერსონაჟად ჩამოგვაქვეითოს. უსაგნო ლაქლაქის შადრევნებში ჩაყურყუმალავებულ არსებას საღი განსჯის უნარი აღარ შესწევს, დროც აღარ რჩება კარგი ავისგან განასხვაოს, უსამართლობას სამართლიანობის სახელით აფრიალებული დროშა წინ არ წაუმძღვაროს, შინაგან პატიოსნებას თანამდებობის გამო ზურგი არ აქციოს. ყველამ ხელზე დაიხვია, რომ ქართველს პირადი გამორჩენის მიზნით აღარაფერი ეთაკილება. ამიტომ, რა ხანია, ნამდვილ ავტორიტეტს (ვინმე თუ შემოგვრჩა?!) გავლენიანი ფიგურები ჩაუნაცვლეს. საზოგადოებრივი უმოქმედობა სწორედ აქ არის საძიებელი. პირადული საქმის გარეშე ადგილიდან ვეღარავის დაძრავ. მეც ზოგად მსჯელობას რომ არ გამოვედევნო, ყრილობაზე განვითარებულ მოვლენებს მივყვები.

მწერალთა კავშირის 428 წევრიდან ყრილობას 247 დელეგატი ესწრებოდა. ამ გარემოებამ ყრილობის თავმჯდომარედ დასახელებულ გურამ გოგიაშვილს ათქმევინა, რომ ყრილობის მუშაობა კანონზომიერ რიტმს მიჰყვებოდა და მთავარი იყო, კრება მშვიდობიანად ჩატარებულიყო. საიდუმლო როდია, რომ საქართველოში ნანატრი მშვიდობა აღარავის შეარჩინეს, თუმცა კრების თავმჯდომარის რეპლიკას საფუძვლად დაედო ე. წ. „ოპორტუნისტთა“ ფრთის გააქტიურება. განსხვავებულად მოაზროვნე მწერლები ერთ ჯგუფში გაერთიანდნენ და თავიანთი შეხედულებები გაზეთში გამოაქვეყნეს. წლობით მიჩქმალულ-დამახინჯებულ სიმართლეს გასაქანი მისცეს. იმ თემას ღიად შეეხნენ, რაზეც სხვები კულისებში ჩურჩულით საუბრობდნენ.

ამ დაპირისპირების თავი და თავი კვლავ მწერალთა კავშირის შიგნით ჩასატარებელი რეფორმა გახლავთ. ამ გამოუსადეგარი, საბჭოური სტრუქტურის ძირეული შეცვლა, რომლის უვარგისობაც მტერმაც და კეთილისმსურველმაც თვალნათლივ შენიშნა, თუმცა სიტყვიერი შეხლა-შემოხლა დღეს უშედეგოდ გრძელდება. სამწუხაროდ, განხეთქილებას ბოლო არ უჩანს, ზედიზედ გამოქვეყნებული მწვავე სტატიების მიუხედავად საქმე სასურველი შედეგით არ დაგვირგვინდა. მწერალთა კავშირის ქონების განკარგვის საკითხი ყველას დამოკლეს მახვილით კისერზე ჰკიდია, ქმედითი ძვრა კი არსაიდან ჩანს. უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა კავშირის წევრებს აღიზიანებთ, ყურმოკრული ამბების თვითნებური შეჯერება არსებულ მდგომარეობას უარესად ამწვავებს. იოლი ასატანი როდია, როცა უმრავლესობამ არ იცის მათი სახელით რას წყვეტენ ან როგორ საქმეებს აგვარებენ.

თქვენი მონა-მორჩილი ამ ყბადაღებული რეფორმის აუცილებლობაზე 2000 წლიდან წერდა. დაინტერესებულ საზოგადოებას გადაუჭრელ საკითხთა მოკლე ფორმულირებებიც შევთავაზე, მაგრამ ვისაც კონკრეტული ცვლილებების განხორციელების უფლებამოსილება აკისრია, ის სიტყვას ბანზე აგდებს და მახვილი ხელოვნურ პრობლემებზე გადააქვს. სინამდვილეში, უმნიშვნელო ცვლილებებზე ოცნება იმდენად უნიადაგოა, საქმეში ჩაუხედავი ადამიანიც მწარედ აღიარებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ჭკუათამყოფელი კაცი დონ-კიხოტობას არტისტულობიდან გამომდინარეც აღარ დაიბრალებს. მართლაც, რეფორმის აუცილებლობაზე თავის გამოდება სიგიჟის ტოლფასია. იქ, სადაც პრემიები მხოლოდ თანამდებობის პირების უპირობო პრივილეგიაა, გეგმური წიგნის გამოცემა მხოლოდ ვიწრო კლანის აღზევებას ემსახურება და მწერლობის გამარჯვებადაა შემოსაღებული. თურმე ნობელის პრემიაზე რომელიმე ავტორის წარდგენაც მათი დღესასწაულია.

„– კი მაგრამ მწერალთა კავშირი აქ რა შუაშია?! –“ ეს სიტყვები მე და შარლოტა კვანტალიანს – „კალმასობის“ რედაქტორს ერთდროულად აღმოგვხდა.

მართლაც, მწერლის ინდივიდუალური წინსვლა, რომელიც კავშირის ფარგლებს გარეთ და მის დაუხმარებლად ხორციელდება, ვის მიეწერება? ამგვარ მიდგომას როდის გამოვეთხოვებით? სადაური წესია წარმატებულ ხელოვანად მხოლოდ შენი მხარდამჭერი გამოაცხადო, ვინც უშუალოდ შენს ფინანსურ მოწყალებაზეა დამოკიდებული და ამჟამად ამბობს, რომ რადგან მისი წიგნი გამოიცა, კავშირში ნაყოფიერი მუშაობაა გაჩაღებული. ყველაფერი რიგზეა, ქონება აღდგენილია, ყველა წევრი თანაბარი უფლებით სარგებლობს და ა.შ.

მხოლოდ საკუთარი წიგნის თვალსაწიერიდან მზირალო ხელოვანებო, ხელი როდის წაგიცდებათ და კოლეგების შემოქმედებას როდის გაეცნობით, მათ წიგნებს როდის გადაფურცლავთ? ღმერთმა უწყის მათ დონემდე „ვარდნას“ როდის იკადრებთ! თქვენ ხომ წიგნის შინაარსის აღსაქმელად არ გცალიათ, ხარისხს სუპერყდითა და გამომცემლობის ნიშნით ზომავთ. სად გცალიათ არარეკლამირებული ავტორების „ნაჯღაბნები“ იკითხოთ! წასაკითხად რომ მოცდეთ, ათასი ხეირიანი ჭორის გავრცელება შეგიგვიანდებათ! უკმაყოფილო მწერალთა რიცხვის ზრდას კავშირის შიგნით მოუშლელი უსამართლობა განაპირობებს. მწერლის ნიჭიერებას აქ გამოცემული წიგნების რაოდენობა, გავლენიანი ხალხის კეთილგანწყობა და თანადგომა განსაზღვრავს. სხვაგვარ ნიჭს არ ცნობენ და თუ აცნობიერებენ, სდევნიან.

კიდევ ერთი გაუგონარი „სიკეთე“ სჭირს კავშირს. ქართული მწერლობის ავ-კარგზე კომპოზიტორები, მხატვრები და მსახიობები მსჯელობენ. სამომავლო გეგმების შემუშავებისას მათი დასკვნაა გადამწყვეტი. როგორც ჩანს, მოსალოდნელი რეფორმების შესახებ მეზობელი თუ მომიჯნავე სფეროების (თუ დარგის) წარმომადგენლებმა უკეთ უწყიან ქართულ მწერლობას რა უჭირს ან რა ულხინს. ამგვარი დამოკიდებულება თვალშისაცემია და აქაც ალბათ ვინმე „სხვა“ მოისუსტებს. ყრილობის მსვლელობისას გამიმართლა. ჩემ გვერდით შემთხვევით ლეგენდარული ზურაბ ქაფიანიძე აღმოჩნდა. გასაუბრებისას გაირკვა, რომ მას ოდნავი წარმოდგენაც არ ქონდა იმ შიგთავსზე, რასაც მწერალთა კავშირის ორგანიზმი ეწოდება. სწორედ ამის დასტური გახლდათ, რომ ხელმძღვანელობის მიერ წარმართული ღონისძიება, სადაც განსხვავებულად მოაზროვნე მწერალს სიტყვის მოსაპოვებლად დიდგორის ომის გადახდაც ვერ შველოდა, ბატონმა ზურაბმა ხმამაღალი შეძახილებით ენერგიულად გააპროტესტა.

სამაგიეროდ, პერიფერიებიდან გამოძახებულ დელეგატებს საზეიმო, ბრეჟნევური პათოსით განყობილ ტექსტებს შეუფერხებლად აკითხებდნენ და, წუთიანი რეგლამენტის ნაცვლად განუსაზღვრელ დროს ჩუქნიდნენ. დარბაზს რომ არ ემარჯვა, ამ გაუგებარი, აბსურდული მილოცვების ღვარცოფი არასდროს შეწყდებოდა.

მონაწილეებს ყურს ვუგდებდი და გული მტკიოდა. უცხო პლანეტიდან ჩამოცვენილ თანამოკალმეებს მხოლოდ მაშინ არ ეზეიმებოდათ, როდესაც „ოპორტუნისტთა“ კონკრეტულ, საფუძვლიან კითხვას ნაცადი მეთოდით იგერიებდნენ. დაბომბილი სამშობლო მაინცდამაინც მაშინ ახსენდებოდათ და არარსებულ ერთსულოვნებაზე ცრუქადაგებას დემაგოგიური წიაღსვლებით აკოწიწებდნენ. განსხვავებულად მოაზროვნეები რა თქმა უნდა, მთავრობის აგენტებად მოინათლნენ.

ჩემეული დასკვნა გნებავთ? გამოდის, ჩვენში არჩევნები ტაბუდადებულია. ის, ვინც, ერთხელ სავარძელში მოკალათდა, სიკვდილამდე ოლიმპოს ხელშეუხებელი პირმშოა და ვაი მას ვინც რეფორმაზე და თავისუფალ არჩევნებზე ალაპარაკდება. კაცმა არ იცის ვის ჯაშუშობას დააბრალებენ. ამიტომ ოპოზიციური ფრთის ენერგიული გაბრძოლების მიუხედავად, ყრილობამ ყოველგვარი არჩევნები უგულებელყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფარულ კენჭისყრას ვინღა დაეძებდა, ღია კენჭისყრაც ჩაიშალა. დარბაზმაც ისინდისა და ხელმძღვანელობის დაკრულზე ბევრმა ხელი არ ასწია, მაგრამ არაფრად ჩაგდების პოლიტიკას იმდენად დავეუფლეთ, აშლილ, აყაყანებულ დარბაზში ვინ აირჩიეს, აღარავის აინტერესებდა. მწერლები ხელის ჩაქნევით ტოვებდნენ იქაურობას. კამათის ხალისიც აღარავის შერჩენოდა, რადგან ჩვენი ფეხბურთელებისა არ იყოს, გულის სიღრმეში ყველა შეგუებულია, რაც ხდება მიხვდნენ, რომ მუდამ ის ძალა იმარჯვებს, რომელიც სამართლიანობის ნიღბით უთანასწორობასა და სიცრუეს ამკვიდრებს.

ცნობიერებაში როდის ჩავიბეჭდეთ, რომ სიმართლის აღსადგენად ხელის გამოღება არ ღირს?! კავშირის ხელმძღვანელობიდან ყველა სათავისოდ იწევს, მხოლოდ პირადი კეთილდღეობის მიზნით ირჯება. საერთო საქმე კი უმიწაწყლო სამშობლოსავით ხელში შემოგვდნობია: ნერვებდაწყვეტილ მწერლებს კავშირში ოდნავაც არ უწევენ ანგარიშს და მთავრობას რა პირით სთხოვენ დააფასოს, მათ ნიჭს ხელი შეუწყოს, ეროვნული საქმიანობის გასაჩაღებლად წაახალისოს.

კავშირი სახელმწიფოა სახელმწიფოში და ზუსტად იმ მოდელს იყენებს წევრების დასაჩაგრად, რასაც მთავრობა მთელი მასშტაბით ახორციელებს.

რომელ ნდობასა და პატივისცემაზეა საუბარი, როცა რეპრესირებული პოეტების საღამოზე ჯოჯოხეთგამოვლილ, ნაკატორღალ მგოსანს ხმის ამოღების უფლება არ მისცეს და მის ჭირ-ვარამზე პათეტიკური, ყურმოკრული ტექსტით ქულები სათავისოდ დაიწერეს! ქართული ტრადიციების „ერთგულებით“ გამორჩეული ხელმძღვანელობა მისამძიმრებითაც მხოლოდ იმ წევრებს „აბედნიერებს“ და მსუყე ნეკროლოგს მხოლოდ მათთვის აქვეყნებს, ვინც სამარცხვინო არჩევნებზე ხმაამოუღებლად ზის და წარბ□ს გაუტოკებლად აკვირდება სიყალბის აღლუმს. გულში ზეიმობს, რომ მათმა მწყალობელმა ამჯერადაც იყოჩაღა და სანუკვარი თანამდებობა ღირსების ფეხქვეშ გათელვით დაინარჩუნა. კიბეზე ცნობილი მკვლევარი და კრიტიკოსი შემომხვდა და მისალმებისთანავე სინანულით აღიარა, რომ თურმე თავის დროზე ცამდე მართალი ვყოფილვარ და თვითონ დააშავა, როცა ჩემი წერილი არ დაბეჭდა, თავი შ□იკავა, კოლეგის ზეწოლით სიტყვა გადათქვა, იმან, ვისაც გაუჩუმდა, შავი დღე აყარა და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ მწერლები ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ. თქვენი არ ვიცი და ამ განუკითხაობის ჟამს ეს ამბავი იქნებ ჭკუის სასწავლებლად გამოგვადგეს. ე. ი. ამაოდ არ გვიბრძოლია.

პირადად მე იმ კავშირის მომავლის არ მწამს, სადაც სიყალბის აღლუმზე პრემიებისა და თანამდებობების დასანარჩუნებლად მწერლები ერთმანეთის ლანძღვა-გინებასა და დასმენას არ ერიდებიან!

იკა ქადაგიძე

ქართული მწერლობის ისტორიული როლის თაობაზე

ქართული ლიტერატურა ოდითგანვე განსაკუთრებულ ისტორიულ როლს ასრულებდა. სამართლიანად შენიშნავდა ა. ბაქრაძე: „ქართველმა ხალხმა სიტყვაკაზმულ მწერლობას განსაკუთრებული მისია დააკისრა. იგი ერის წინამძღოლად აღიარა. ეს განაპირობა ქართველი ხალხის ისტორიულმა ცხოვრებამ. ჩვენს ერს ხშირად და დიდხანს უხდებოდა ცხოვრება ნაციონალური ხელისუფლების თვინიერ, დამპყრობლის უღელქვეშ. ასეთ პირობებში ორად ორი ძალა იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას – ქრისტიანული რელიგია და მწერლობა“.

ლიტერატურა საზოგადოებრივ ინტერესებს რომ უნდა ემსახურებოდეს, ეს აზრი ისევე ძველია, როგორც თავად ლიტერატურა. ქართულ მწერლობას კი, ამ მხრივ, მაინც გამორჩეული მისია ჰქონდა. ლიტერატურის ეროვნული, საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხი მთელი სისავსით XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა მხატვრულსა თუ პუბლიცისტურ შემოქმედებაში დამუშავდა. როგორც ვაჟა-ფშაველა წერდა: „მწერლობა ძალაა, ერთი უმთავრესი იარაღთაგანია ერის წინსვლისა, მისი გონების და ცხოვრების გაუკეთესებისა... მწერლობა მაშინ ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, როცა უკეთესად ემსახურება ქვეყანას. უკეთესი ქვეყნის სამსახური მწერლობისა კიდევ იმაში გამოიხატება, რომ ყოველი წვლილი, ავი თუ კარგი თავის ქვეყნისა ესმოდეს... ყველა ავადობას, ყველა წყლულს წამალი დასდვას და, მაშასადამე, კარგი მწერალიც ის არის, ვისაც უკეთ შეუგნია ეს საჭიროება და უკეთესად ემსახურება ამ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეს“.

ქართული მწერლობის ისტორიული როლი ამგვარადაა გაგებული XX საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედებაშიც. ვითარება იცვლება XXI საუკუნეში. ახალი დრო ახალ მოთხოვნებს აყენებს. ჩვენი ახალი ლიბერალების მიერ მწერლობის ტრადიციული დანიშნულება კომუნისტურ გადმონაშთად ცხადდება. მართალია, მათ შესანიშნავად იციან, რომ კომუნისტები აქ არაფერ შუაში არიან, მაგრამ სახეზეა ნეოლიბერალური პოლემიკის ერთ-ერთი უმთავრესი მეთოდი: იმ თვალსაზრისს, რომელიც მათ არ მოსწონთ, გამოაცხადებენ კომუნისტურად და შემდეგ ამ საბაბით იწყებენ მის წინააღმდეგ ბრძოლას.

ის შეხედულება, რომ მწერალი თავისი ერის უმაღლესი კულტურული ღირებულებების მატარებელი უნდა იყოს, ჯანსაღ საზოგადოებაში დავის საგანი არასოდეს ხდება. მწერალი თავისი ერის, თავისი კულტურის სახეა. სწორედ ამიტომ განაცხადა ამერიკაში, ემიგრაციაში მყოფმა თომას მანმა: „სადაც ვარ მე, იქ არის გერმანული კულტურა!“

თანამედროვე ქართველ მწერალს კი ასეთი სიტყვების თქმის არც მორალური უფლება აქვს და, რაც უფრო გულდასაწყვეტია, არც არავითარი სურვილი.

მწერლის საზოგადოებრივი როლის დაკნინება შესანიშნავად ჩანს თავად მხატვრულ ტექსტებში. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით მწერლის მხატვრულ სახეს (იხ. მაგ.: ა. მორჩილაძის „ეკოტერინოს ნაჩუქარი ვითომ სულის შემძვრელი თავგადასავალი“, ლ. ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესი“, ბ. ხვედელიძის „უზარმაზარი ბაზარი“, ბ. ქურხულის „დაბოლილები და გამქრალები“ და სხვ).. ამ ნაწარმოებებში დახატული მწერალი თავისი არსით საშუალო სტატისტიკური მასობრივი ადამიანია, მწერლობა კი გამოცხადებულია პროფესიად, რომლის დაუფლებისთვისაც სრულიად არ არის საჭირო განსაკუთრებული სულიერ-ინტელექტუალური მონაცემები. მას ნებისმიერი იდიოტი შეიძლება მისდევდეს; მთავარია, ჰქონდეს ამის სურვილი.

თანამედროვე ლიტერატურაში აღწერილი მწერალი უთუოდ მსუბუქი ყოფაქცევისაა და აღმერთებს ბოჰემას, მას იშვიათად თუ ნახავთ ფხიზელს. ზოგჯერ გულის გადაყოლება მართლაც აუცილებელია შემოქმედისათვის, რადგანაც როგორც მეფსალმუნე ბრძანებს: „ღვინო ახარებს გულსა კაცისასა“ (ფს. 103, 15), მაგრამ თანამედროვე მწერალთა ლოგიკით ისეთი დასკვნა გამომდინარეობს, რომ თუ ღვინის სმით თავ-პირი არ დაისია, ისე კარგ ლექსს ვერ დაწერ.

არცთუ უსაფუძვლოდ წუხდა ო. ჭილაძე: „...ორსაუკუნოვან ომში დაღუპულ (შეშლილ, დახვრეტილ, ნაწამებ, თვითმკვლელ) მწერლების შთამომავალმა განთავისუფლებისთანავე... უარი თქვა მწერლობის ტრადიციულ დანიშნულებაზე, ანუ, ჩვენი ისტორიული პრობლემა გადაწყვეტილად მიიჩნია და უცხოელი ექსპერიმენტალისტების მიბაძვით, უაღრესად „თანამედროვე“ და „აქტუალური“ თემებით დაინტერესდა, როგორიცაა, თუნდაც, ჰომოსექსუალიზმი, კოსმოპოლიტიზმი თუ გლობალიზაცია, ანუ მშობლიური ისტორიის კრიტიკა და მშობლიური კულტურის უარყოფა. ქართული მწერლობა მონობაშია შექმნილი, ოღონდ, თავისუფალი ადამიანისათვის. დღეს კი, მეტ-ნაკლებად თავისუფალ საქართველოში მონებისათვის განკუთვნილი ლიტერატურა იწერება... ამგვარი ლიტერატურა, რა თქმა უნდა, ზნეშეცვლილ ოჯახთან და კორუმპირებულ საზოგადოებასთან ერთად, ხელს უწყობს ახალი ყაიდის, მე ვიტყოდი, ანტიქართული აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც მხოლოდ და მხოლოდ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.“

თანამედროვე მწერლობაში ეროვნულ საკითხზე, პატრიოტიზმზე საუბარი უკვე ჩამორჩენილობად აღიქმება. თავისი გონებამახვილობით გამორჩეული თეოლოგი, კულტუროლოგი და მუსიკოლოგი ნოდარ ლადარია გვთავაზობს „პროვინციალი“, „მოპატრიოტო პოეტის“ კრებით სახელს: „მუხრან ხარხელაური“, რომელიც ასე იშიფრება: მუხრან მაჭავარიანი + ტარიელ ხარხელაური (ცდუნებას ვერ ვუძლებთ, რომ არ შევქმნათ თანამედროვე ქართველი „თეოლოგის“ კრებითი სახელი: „ზელიმხან ლადარია“). ნეოლიბერალები აცხადებენ, რომ პატრიოტულ თემაზე წერა ერთგვარ კლიშედ გადაიქცა და ხშირ შემთხვევაში სახეზეა ავტორის ემოციის სიყალბე. ამ ლოგიკით პატრიოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უგუნურებაა. დაკვირვებული მკითხველისათვის სირთულეს სრულიადაც არ წარმოადგენს განასხვაოს ერთმანეთისაგან ყალბი პათეტიკა და ნამდვილი გრძნობა. პატრიოტიზმი არც იმას გულისხმობს აუცილებლად, რომ პოეტი მიასკდეს მშობლიურ მთებს და ველებს და საგალობელი აღუვლინოს მათ. პატრიოტიზმი, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ნაკლის, ყოფითი სიმახინჯის მხილებას ნიშნავს. ოღონდაც, ამ საქმეს სიყვარული უნდა ედოს საფუძვლად. თანამედროვე ქართველი მწერლების „მხილებითი“ მოღვაწეობა კი ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიური ზიზღით არის გაჯერებული.

როგორც ო. ჭილაძე წერდა: „პატრიოტიზმი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, მართლაც სისხლხორცეულად აუცილებელია მწერლობისათვის. ამ მარად მფეთქავი, მარად ფხიზელი ნერვის გარეშე, ნებისმიერი ტექსტი, პოეტურიც და პროზაულიც, შეიძლება გარეგნულ მომხიბვლელობას არ კარგავს, მაგრამ აშკარად კარგავს შინაგან მუხტსა და დაძაბულობას“.

მართლაც, პატრიოტული პათოსი ერთ-ერთი უმძლავრესია (თუ არა ყველაზე მძლავრი) სხვადასხვა სახის პათოსთა შორის, მას მკითხველზე განუმეორებელი ესთეტიკური ზემოქმედების ძალა აქვს.

საყოველთაოდაა აღიარებული ლიტერატურის უდიდესი როლი ადამიანის პატრიოტული აღზრდის პროცესში. მოზარდი ამ ღვთაებრივ გრძნობას უპირველესად სწორედ ლიტერატურული შედევრების საშუალებით ეზიარება. ეს გარემოება შესანიშნავად იციან ახალმა ლიბერალებმაც. ქვემოთ მოვიტანთ დოკუმენტს, რომელიც არაერთხელ გამოქვეყნდა ქართულ პრესაში. იგი წარმოადგენს თბილისის ყოფილი მერისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ზ. ჭიაბერაშვილის საგრანტო პროექტს: „წინ, ტრადიციისაკენ“ (სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება):

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ გადამწყვეტ დაბრკოლებად წარმოგვიდგება ე. წ. ეროვნული იდეოლოგიის შესახებ გავრცელებული შეხედულება და ტერმინ „ტრადიციის“ მცდარი გაგება. ამ თვალსაზრისთა ძირითადი გამავრცელებელი მექანიზმია საშუალო სკოლა, ხოლო მიმწოდებლები – ისტორიისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. ამ საგნების სწავლებისას ჯერ კიდევ განსაკუთრებით შეინიშნება ეროვნულ სახელმწიფოზე, პატრიოტიზმზე, საზოგადოების რელიგიურ მოწყობაზე ვადაგასული წარმოდგენების გაბატონება.

პროექტი „წინ ტრადიციისაკენ!“ თავისი ძირითადი საქმიანობის კონცენტრირებას ახდენს იმ სოციალურ ჯგუფზე, რომლის გავლენა მომავალი თაობის სოციალიზაციაზე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია: სახელმწიფო უნივერსიტეტების ფილოლოგიური და ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტები, რომელთა შორის ლიბერალურ ღირებულებათა დამკვიდრებას ერთგვარად შეიძლება აბრკოლებდეს ოჯახსა და უმაღლეს სასწავლებელში დამკვიდრებული ატმოსფერო“.

აღმასრულებელი დირექტორი: ზ. ჭიაბერაშვილი. (გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2004, № 36, გვ. 5.).

სრულიად ნათლადაა გამოკვეთილი ნეოლიბერალთა შეტევის ობიექტი: უნივერსიტეტის ფილოლოგიური და ისტორიული ფაკულტეტები. ეროვნული თვითცნობიერების საფუძვლებს სწორედ ეროვნული მეცნიერებები, უმთავრესად კი ისტორია და ფილოლოგია აყალიბებს. ამიტომაც იმყოფება მეცნიერების ეს ორი სფერო უდიდესი წნეხის ქვეშ.

ახლა აღარ არის გასაკვირი, თუ რატომ ამოიღეს სასწავლო პროგრამიდან პატრიოტული ეპიკის ბრწყინვალე ნიმუშები: გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“ , აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“, „ბაშიაჩუკი“ და რატომ შეიტანეს მათ მაგიერ ზერელე ტექსტები; ამით სწორედ მოზარდების მენტალურ სიჯანსაღეს უფრთხილდებიან, რათა „იზოლაციონისტი“, „ფუნდამენტალისტი“ პატრიოტები კი არ გაიზარდონ, არამედ ღია საზოგადოების ღირსეული წევრები, სიკეთისა და ბოროტების მიღმა მდგომი, დედამიწის ღირსეული მოქალაქეები – „დედამიწელები“.

ქართული მწერლობის ისტორიულ როლზე საუბარს კი იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით დავასრულებთ: „ჩვენს ახლანდელს მდგომარეობაში, როდესაც კავკასიის ერთა შორის გაცხარებული ბრძოლა არსებობისათვის ემუქრება ქართველობას საბოლოოდ დაცემას, მიწასთან გასწორებას, სრულიად უგულო ეგოისტი უნდა იყოს ქართველი მწერალი, რომ მისდევდეს პრინციპსა: კაცია და გუნებაო, ხელოვნება ხელოვნებისთვისაო. ამ პრინციპს ადგილი შეიძლება მიეცეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მშვიდობით გავაღწევთ აწინდელს, მეტად საშიშარს ხანას ჩვენის ცხოვრებისას. იქამდინ კი ყოველი პოეტი და ლიტერატორი უნდა სწერდეს მას, რაც ქართველს გონებას უნათლებს და უმდიდრებს ცხოველი ცოდნით, სულს უმაგრებს, უსპეტაკებს, უმხნევებს და... ჰხდის კარგად შეიარაღებულ და მარჯვე მეომრად სასტიკ საარსებო ბრძოლაში“.

ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ბრძოლა არსებობისა და ეროვნული ვინაობის შენარჩუნებისათვის ქართველთა მარადიული საზრუნავია, შესაბამისად იგივე საკითხი არის და იქნება ქართული მწერლობის მთავარი პრობლემაც.

„დღეს დამუკიდებლები ვართ, – იტყვის ზერელედ მოაზროვნე ნეოლიბერალი, – ასე, რომ საზოგადოებრივ პრობლემებს დემოკრატიული ინსტიტუტები მოაგვარებენ, ხოლო მწერლობას შეუძლია წმინდა ესთეტიკის სფეროში დარჩეს“.

ჯერ ერთი, ბატონის გამოცვლა დამოუკიდებლობას სრულიადაც არ ნიშნავს; მეორეც, იქნებ საქართველოს ისტორიაში ჩვენი ქვეყანა არასოდეს მდგარა ისეთი დიდი საფრთხის წინაშე, როგორც დღეს. თუ ადრე მტერი ხილულად იბრძოდა და მისი მოქმედების მიზანდასახულობაც სრულიად ნათელი იყო, დღეს ეროვნული გადაგვარების პროცესი უაღრესად ფაქიზი და დახვეწილი ტექნოლოგიებით მიმდინარეობს.

ამიტომაც, საღად მოაზროვნე ქართველმა მწერლებმა საკუთარ შემოქმედებაში მთელი სიმწვავით უნდა დააყენონ ეროვნული პრობლემატიკა, თანამედროვე ავტორებმა კი თავად გადაწყვიტონ, თუ ვის გაჰყვებიან მწერლობის არსის განსაზღვრისას: ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილისა და ვაჟა-ფშაველას გზას, თუ ნოდარ ლადარიასა და ემზარ ჯგერენაიას ბილიკს.

ლევან ბებურიშვილი

ზინა სოლომნიშვილი

●

როგორც
ორი წლის
ბალღი
აკვანში,
ველარ ეტევა
ფუჩეჩში ტარო.
ქარმა აიშვა
თავი ხარივით,
მინდორს
სხეულზე
აშლია ტაო.
– რად მომპარეთო
ახალგაზრდობა?! –
მოხუცი
წლებთან
ბობოქრობს,
დავობს...

●

მორჩა, ველარ იტანს
გული ალვირს,
გრძნობები ჰგვანან
ცხენებს გასახედნებს;
მე ძლივს ვიგერიებ
მგლების ალყას,
შენ კი, უგუნურო,
რას აკეთებ?!
ვაიმე, ურჯულომ არ მიყიდოს,
თვალი ქართული ცის
გაჰყვა ლივლივს...
საბას გამოჩენას
ველოდები,
სტამბოლის ბაზარზე გაყვანილი.

სურათი

მწყემსი ცხვრის ტალღებს მიდენის სტვენით,
წამოუნთიათ ატმები შუკებს...
ნეტავი, რალა დრო არის წყენის,
როცა ალერსით სავსე ვარ უკვე.
დღე მიდის, მიდის ხვალით დევნილი,
მზის წარლვნა წასკდა ცის კალთა-უბეს,
კავკასიონი ხარირემივით
ქორბუდა რქებზე იფხრეწავს ღრუბლებს.

ღრუბელი

– წყალი თუ მწყურია,
როგორ ვერ დავლიო, –
თქვა მთვარემ და ზღვაში შეცურდა ტივივით...
მთამ: – თეთრი მერანი ვარ!
მუხამ: – მხედარიო!
– მე რაღას წარმოვადგენ? –
ქრის ქარი კივილით...
– ცამ მზე დაიკიდა როგორც მედალიო, –
ცაშია ხეების
თვალები ირიბი...
– რატომ ვარ ასეთი შეუხედავიო?! –
თავი მოიკლა ღრუბელმა ტირილით...

წიქარა

ჩემი ფიქრები
ზამბახებივით
ზეცამ თავ-პირზე
გადაიყარა,
ვაიმე,
იქნებ,
მგლებმა შეგჭამეს,
რომ აღარ მოხველ,
ჩემო წიქარავ!
გეძებ
გეძებ და
უკან მომყვება,
ჩემივ ცრემლებით
დანამული გზა,
თუ ცოცხალი ხარ,
ნუთუ არ გესმის
წიოკი ჩემი სალამურისა?..

●

მზით ბურთაობენ
მთაში მუხები,
მინდორზე ცეკვავს
ერთი მათგანი...
– ძუძუ ვის უნდაააა?!
ბღავიან ცხვრები.
– მეეე! – პასუხობს
ყველა ბატკანი.
მწყემსის ჟინიან
ბაგეებს, თვალებს
გადმოშხაპუნობს
ტრფობა მართალი...
მირბის გოგონა
და მის უბეში
უმანკო მტრედებს
გააქვთ ფართხალი...

●

მარილებიო?
შვილის კუბო
მადგია ზურგზე...
სიცოცხლე?
არა, ამას ჰქვია
საცოდავობა.
ღმერთო, გვიშველე,
შემოგბღავი
ოთხად მოხრილი...
შენ დაიფარე
განწირული
ჩემი თაობა...

●

თვალებით სჭამენ
ალვები მინდორს,
როგორც ეულ ქალს –
მრუში კაცები...
ვილაც ვაჟრულად
მიმზერდეს ვითომ,
ისე ვღელავ და
მეწვის ღაწვები...
მზემ გადაიძრო
ნისლის პირბადე,
დასკდნენ ღრუბლები,
როგორც ბოთლები...
ო, მაპატიე,
არ გამიბრაზდე,
თუ შენი ნატვრით
დღესაც ვლოთდები...
გემივით მიაქვს
სხეული ფიქრებს,
ქარი მაწყნარებს
უცრემლოდ მტირალს;
ეჭვების კვამლში
ვაგდივარ პირქვე,
და ყველა სახის
ნიღაბი მტკივა...

●

მხარზე ხელს
მირტყამს უბედურება,
არვინ მძმაკაცობს
უკვე მის გარდა;
ჩემს სისხლს ვსვამ
ღვინოდ, გულგანგმირული
მისგან, ვინც ჩემზე
ძლიერ მიყვარდა...
გაყიდული ვარ
იმ მეგობრისგან,
ვისაც ჩემს თავზე
მეტად მივენდე...
ქუჩის კახპაა
ახლა ის გოგო,
მე რომ საკოცნად
ვერ გავიმეტე.

●

თვალთა უპეებზე მტრედის კვალი,
შუბლი დამჭკნარი და დაზოლილი;
სახე შერუჟღული ოხვრის კვამლით,
ტუჩებზე – ღრუბელი გაწოლილი...
ცეცხლის ბურთს უჩივის ყელი ცალკე,
გული გასკდა, როგორც ლამპის მინა...
ცივად დაიკივლა წრფელმა სარკემ,
– ეს რა დაგმართნია, ჩემო ზინა!

●

ვერვინ ხედავდა
ო, ველარ
ვუძლებ
გულს, გაჩრილს
ყელში...
ცრემლი კუნწულობს,
ნაღველი
ღრუბლობს...
ცოცხალი იყო –
ვერვინ ხედავდა,
მოკვდა და
თავებს
ახლიან
კუბოს.

●

რძისფერ მხრებით
პეპლები და ენძელები მომყავს...
ჩემს მზეჭაბუკს მოგიხდება
მწვანე,
მწვანე ჩოხა;
გაგახარებ, სიყვარულო,
მოწყენილი რომ ხარ,
ვარდები გსურს?
აჰა, ორი ალეწილი ლოყა...
რძისფერ მხრებით
მტრედები და
ბეღურები მომყავს...

თორნიკე ჭელიძე

●

„თოკოს,
მამიკოსაგან
12.2001 წ.”

შემდეგ გვერდებს აღარ გადავშლი.
ახლა საწოლში ისე ვწევარ,
როგორც მანქანით გატანილი ძაღლი
ავტოსტრადაზე.
მე დამეჯახა შენი სიკვდილი,
მე შენს სიცოცხლეს შევყმუვლე და
ძვლები ამტკივდა.
რა ვუთხრათ ერთმანეთს ამაზე მეტი?!.
ჩვენ ამ ნაწერში ვცხოვრობთ, ვსუნთქავთ,
შუქი ავანთეთ
და ყველა სიტყვას, ყველა გრძნობას
თითით მოვყვები...
კითხვას კი არა, შენს წაკითხვას ვსწავლობ
თანდათან.

●

ოჯახში, სადაც ახლა ვცხოვრობ,
მასპინძლის შვილმა
ღამე სახლში დაიგვიანა.
მშობლებმა ცუდი უთხრეს მრავალი,
ბევრსაც დაპირდნენ.
დღემდე მიკვირს, როგორ იყო,
ვერცერთმა იგრძნო,
იმის ისევ მიწიან ხელებს, დასვრილ მაისურს
ჯერ კიდევ რომ შემორჩენოდა
მთის ყვავილების მძაფრი სურნელი.

●

მუჭანახევარი ლექსი;
არეული, მივიწყებული...
თითქოს ვისთვისაც მიგქონდა, გზაში
ის შეგხვდა და პეშვი გაშალე,
გადაეხვიე,
დაგავიწყდა, რაც ხელში გქონდა.

●

შემოდგომაზე თავდახრილმა უნდა იცხოვრო.
ხმელი ფოთლები შენამდე მაინც
ჩამოვლენ და დაცვივდებიან.
მთავარია, ცას არ ახედო,
ძალიან დიდი ცდუნება არის
გადამფრენი ჩიტების ნახვა.

●

რამდენჯერ უნდა მოკვდე,
რომ ერთხელ ვინმემ დაგიჯეროს?!
წაგიღოს და დაგმარხოს მშვიდად;
მიწას კი არა,
საკუთარ თავს მიგაბაროს.

ჩამოგაშორებს სიბნელისგან,
როგორც ფარვანას,
და შენ კი უნდა მოითმინო მისი ნათელი -
დროებითი ბრწყინვალე შუქი.

რაღა არის ასე სიცოცხლე?!.
ან ფრთები დაგწვას,
ან ჩაქრეს თვითონ.

●

ალბათ შენ თუ ხარ დამნაშავე,
- ვერ შეესწარი.
ცრემლივით ვერ ჩაუდექი თვალებში,
სისხლივით ვეღარ შეადედდი,
თავი ვეღარ აფიქრებინე,

მაშინ, როდესაც ჩიტებიც კი ერთად მიდიან,
მცირე ნიავით, იზიდავენ ტოტები ტოტებს
და პლანეტები უსასრულო, ღია კოსმოსში
მოძრაობენ ერთმანეთისკენ,
როცა ბალახიც ერთად ამოდის.

შენ სიზმრებშიც არავინ გნახავს,
მაგრამ ეს რა სამწუხაროა?!. -

ხომ შეიძლება სულ მარტო იყო,
მარტოს გიყვარდეს?!.

●

ვინც ჩემთან იყვნენ ამ ცხოვრებაში
და ძალიან ადრე გამშორდნენ
ისე, თითქოს სიჩუმეც კი ვერ მოვიბეზრეთ,
საუბარი – ვერ მოვასწარით
და ვიდექით, როგორც ხეები,
ერთმანეთისკენ მოსახრელად,
მოველოდით იშვიათ ქარებს, –
ვიქნებოდი მათი სიცოცხლე
და დიდხანს არ მივატოვებდი.

ჩემი სამწუხარო მეგობრები

„იმიტომ კი არა, რომ შეყვარებული ხარ,
იმიტომ რომ გული გაგიცივდა,
შემოაბრუნე ბუნებისკენ, ხალხისკენ პირი“.
ბესიკ ხარანაული

1

ცხოვრება მაშინ კარგად მოხდა;
სოფლის ბინასთან და ტყესთან ახლოს,
ლიანდაგები, რომლებზეც უკვე
არ ჩაივლიდა მატარებელი,
ბალახს უცდიდნენ.

მე ვიწექი ამომშრალ ტბორში,
ვუყურებდი ლურჯ კოსმოსს, სადღაც
მოძრაობდა შორი პლანეტა
და სივრცეში იკარგებოდა.

ვინც აღარაფერს გრძნობენ სხვებისას,
აღარც საკუთარს,
ასე ხედავენ დაშვებულ ქვებს და ბელტებს მიწის.

2

როცა რძესავით აიჭრება ყველა ტკივილი,
დრო კი წაიღებს აწმყოს, თითქოს
ცრემლს ჩაიბრუნებს,
რა იქნება აუტანელი;
ცოცხლების თუ მკვდრების დუმილი?!.

3

საოცარია, როგორ ხდება, ტემპერატურით
სინათლით და ტენით თანაბარ
ოთახში გრძნობენ ყვავილები:
შემოდგომაა...
დაუშვებენ ფოთლებს, ჭკნებიან.
გეგონება, ქუჩაში იდგნენ
და ზაფხულის მრუმე სიცხის საღამოებში
მათ ფესვებთანაც ვაქცევდით თბილ ლუდს,
ან როგორაა, რომ ეს უფორმო,
ვერარსებული სიყვარული
მონატრებაა?!.
როგორც კოსმოსი ვერ ივიწყებს თავის
პლანეტებს,
რაც არ იყო, ის ისევ მახსოვს;
თითქოს ოდესღაც ხალხთან ერთად ვცხოვრობდი
დიდხანს,
თითქოს დღემდე ასე გრძელდება,
მარტოობა კი საიდანღაც გამოვიგონე.

4

რაც დანარჩენთან დაგაკავშირებს: ტექნიკის,
ან ხუთივე გრძნობის,
მისწრაფებების, იმედების, სიხარულის
და ცრემლის გარეშე,
როდესაც ცხოვრობ მარტოკაცად სოფლის ბინაში,
სულ ყველაფრისგან გამიზნულად დაშორებული,
რატომ ხდება, რომ ვიღაც გადის შენი ტანიდან
და მაინც უხმობს ადამიანებს?!.

●

ღია კოსმოსში
უშორესი პლანეტებიც კი,
ადრე თუ გვიან,
შეხვდებიან ხოლმე სივრცეში
და იციან, თუ ახლა არა,
გასცდებიან შემდეგ ერთმანეთს.
იმტვრევიან ამიტომ მუდამ,
ისე, თითქოს მონატრება, კვდომა და დარდი
ამოძრავებდეთ.

დღეს ვნახე ძველი მეგობარი
და, ვიდრე ზუსტად
მოვიფიქრებდით შემდეგ ნაბიჯებს,
ალბათ, ორივეს გაგვახსენდა, იმ დროს საერთო,
კარგად ჩავლილი ცხოვრებიდან -
სულ ყველაფერი,
რაც გამოდგა იმდენად მცირე,
რომ მხოლოდ თვალის არიდებას,
ზურგის შექცევას
და ჩვენ-ჩვენი გზით წასვლას ეყო.

●

მე ვიხსენებ იმას, რაც იყო
და ის, რაც იყო, ველარაფრით მცნობს,
რადგან ყველგან გავლით ვიყავი.
ვერც რამეს შევრჩი
და არც რამემ შემომინახა.

რა ხდება, იცი?!.
ბოლო დროს ვცდილობ, მოვიგონო,
არა ის, თუ სად მინახავს,
ან მისი ხმა თუ მისმენია,
უბრალოდ, ხომ არის ხოლმე,
რომ შეხედავ და გაგეფიქრება:
- თითქოს, სადღაც მიყვარდა.

წრის პოეზია

”ჩემ წინ ისეთი აღმართია, რომ შეიძლება
სულ ბოლომდე წამოიმართოს
და ჩამეხვიოს ქუჩისპირა ხეების ჩრდილით”. -
ველარ მოვეშვი უსარგებლო ლექსების წერას,
უსარგებლო - აქამდე, თორემ
მომტანია რაღაც ხიფათის,
ტკივილის, განცდის
და მე, როგორც ბავშვი - ჯემის ქილაში,
ჩემს ტკბილ წარსულში ხელს ვაფათურებ.

მიკვირს ოჯახიც და სიყვარულიც,
რადგან მხოლოდ სიცოცხლე მაქვს გენეტიკურად.
დანარჩენი კი მივიღე, ან დავიმსახურე,
როგორც ჯილდო, როგორც სასჯელი,
მივიღე, ან დავიმსახურე
და ამ ყოფაში
შენ ხარ სიბნელე,
ყველა შუქზე თავისთავადი.



მაახარებელი

ზურაბ თორია

მოთხრობაში განვითარებული მოვლენები რეალობიდანაა ალებული

პალატის ფანჯრიდან მანქანებით ჩახერგილი ეზო მოჩანდა. რკინის მაღალი ღობის გასწვრივ ჩარიგებული დაგვალული ხეები ბუტაფორიას უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე წიწვოვან ნარგავებს. ეზოს დაუპატიჟებელი სტუმრებივით ოთხსართულიანი, ბათქაშშემოძარცული ნაცრისფერი კორპუსები მოსდგომოდნენ, მათ უკან სამანქანო გზა მიიზლაზნებოდა, მერე შიშველი გორაკები, უფრო შორს კი ფერდობებს შეფენილი სასაფლაო განმარტოებულიყო.

ფანჯრიდან თვალის საამებელს ისეთს ვერაფერს შეამჩნევდი, თუმცა ყავარჯნებიანი, ძვალტყავა, ოცდასამიოდე წლის თმაგადახოტრილი ახალგაზრდა ამ ერთფეროვანსა და უღიმღამო სურათს ღიმილმოფენილი სახით გაჰყურებდა და ისე ხატოვნად აღწერდა, თვეობით ლოგინს მიჯაჭვული სნეული კი არა, შესაძლოა, ერთი საათის წინ ფანჯარასთან მდგომიც კი შეცდომაში შეეყვანა.

– ნიკა, ი გოგო ხო არ გამოჩენილა? – მოუთმენლად გააწყვეტინა პალატის მარჯვენა კუთხის საწოლში პირაღმა მწოლმა, ფანჯარასთან ატუზულზე ალბათ, ხუთი წლით უფროსმა, წვერ-ულვაშმოშვებულმა, შავტუხა ნუგომ.

– დღეს რაღაც არ ჩანს, მაგრამ სად წაგვივა, აივანზე გასაშრობად გაფენილი სარეცხი მაინც ხომ უნდა...

– იქნება სულაც დედამისმა ან სხვა ვინმემ ჩამოხსნას! – შეაწყვეტინა ნუგომ და სახე კედლისკენ მიაბრუნა.

ნიკა ერთხანად გატრუნული იდგა, შემდეგ რაფას იდაყვით დაეყრდნო და საავდროდ მოქუფრულ ცას ახედა. „დახე, წვიმა პირში უჭირავს, ამ შლეგი მარტისგან აბა, სხვას რას უნდა ელოდო... კაცი მოწმენდილი ცის ცქერით მაინც დაასვენებდა თვალს!“ – გაიფიქრა სევდიანად.

ხელისგულისოდენა მოჭყვიტინე ტრანზისტორიდანაც სახარბიელო არაფერი ისმოდა. დიქტორები ერთიმეორეზე უარეს ამბებს ისეთი თანმიმდევრულობითა და რიხით გადმოსცემდნენ, საძაგელ გუნებაზე დაგაყენებდა. როგორც კი ამ ინფორმაციებს გადმოაფრქვევდნენ, მხიარულ მელოდიებს მოაყოლებდნენ, თითქოს ქვეყნად არც სადარდებელი და არც რამე სავაგლახო არსებულიყო.

წინა თვეში გულისგამხეთქი ამბების შემდეგ, ზღვარსგადაცილებულმა კაკაფონიამ ნუგო მოთმინებიდან ისე გამოიყვანა, ტრანზისტორი კედელს მიანარცხა. სეირი ის იყო, ტრანზისტორი დაიშალა, მაგრამ ჭყვიტინს მაინც განაგრძობდა. ნიკა სიცილით ლამის ჩაბჟირდა, მაგრამ ნუგო ამ მოჭყვიტინე მოჩვენებას ნირშეუცვლელად დაჰყურებდა. ეგ ზუსტად შენი ჭკუის არისო, გაკენწლა ნიკა, შემდეგ მისი ნაწილების აკრეფა სთხოვა, ტკივილებისდა მიუხედავად გულმოდგინედ შეაკოწიწა, შეაწება და ტუმბოზე ხელმისაწვდენ ადგილზე დადო, თუმცა იმ დღიდან მხოლოდ ამინდის ცნობებს და სპორტულ მიმოხილვებსღა სჯერდებოდა, დანარჩენ დროს ტრანზისტორი დუმდა, ხოლო ნუგო ერთთავად წიგნებსა და გაზეთებში იყო თავჩარგული ან ჭერს აჰყურებდა.

ნიკამ კარგა ხანს ითმინა, ამასწინათ კი, დერეფანში გავიტან და იქ ჩავრთავო, სთხოვა. სასიკეთოს მაინც ვერაფერს შეიტყობ, გირჩევნია, რამე წაიკითხოო, ურჩია ნუგომ. ასე გამოყრუებულები როდემდე ვიყოთ, იქნება ქვეყანა აშენდა, ჩვენ კიდევ, ბაიბურში არა ვართო, თავი დაიძვრინა ნიკამ. მისმა პასუხმა ლამის გადარია ნუგო, მაგრამ თავს მოერია და ტრანზისტორი უსიტყვოდ გაუწოდა.

რამდენიმე ხანში ნუგოს ყურთასმენას დერეფნიდან აღმოსავლური გაბმული მელოდია და ახალგაზრდების მხიარული ხმები მისწვდა...

აქ ყოველი დილა ერთი და იგივე თანმიმდევრობით იწყება: სავალდებულო პროცედურებს საუზმე მოსდევს, საუზმეს ექიმების შემოვლა და ამ რიტუალის აუცილებელ ატრიბუტად გადაქცეული დამაიმედებელი ფრაზები... და ახლობლების ლოდინი, რომლებსაც ჰოსპიტალში სიარული მობეზრებოდათ ან ხელცარიელად მოსვლის ერიდებოდათ.

ნუგოს თავშესაფარი წიგნები და ფიქრებია. ფიქრები მისივე თქმით ორთქლის საქვაბეში, ანუ მის გონებაში გაუთავებლად თუხთუხებენ. როგორც კი მედგრად შემოუტევენ და კრიტიკულ ზღვარს მიაღწევენ, ხუფს ოდნავ მოუშვებს, ანუ სიტყვებს უჩუმრად გასაქანს მისცემს, საქვაბე ორთქლისგან დაიცლება და ნუგოც შვებას იგრძნობს, რაც თითქმის აღსარებასავითაა, იმ განსხვავებით, რომ მიმტევებელი და მაზიარებელი არავინა ჰყავს...

ეს საფიქრალი მისი სამშობლო ანუ კუთხე, ანუ „შინაა“. ამ „შინაში“ ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს: წინაპართა ხსოვნას, მშობლებს, მეგობრებს, მტერსაც და მოყვარესაც, მაგრამ განსაკუთრებულად მაინც, აქედან შორს მყოფ ერთ ქალს, რომელსაც სიზმარში თუ ცხადში მისკენ მომავალს ხედავს, მაგრამ ეს გზა არადა არ ილევა. სანამ ამ პალატაში იქნება, გული უგრძნობს, გზას დასასრული არც ექნება, თუმცა იგი ამხნევებს, ხშირად შორიდან ეძახის კიდეც.

„ნუგოო!.. ნუგოო!..“ – ჩაესმა ახლაც.

„აჰ!“ – ხმამღლა დასცდა, ძილ-ღვიძილს თავი გამოსტაცა და მიმოიხედა.

ის „ეშმაკის ფეხი“ ნიკა ისევ ფანჯარასთან იდგა. ამჯერად ცალი ყავარჯნისთვის ხელი გაეშვა, მთელი ძალით ფანჯრის რაფას დაყრდნობოდა და ეზოს დასჩერებოდა.

– ნიკავ, ფრთხილად, ეგ შენი ძალისძალათი „გაპაჩინკებული“ ფეხი ისევ არ მოიტეხო! – გასძახა ლამის ფანჯარას აკრულს.

– ეგღა მაკლია! – გამოსძახა იმან და გაყუჩდა. რაღაცას იყო მიყურადებული, – გინდა, ფანჯარას შევაღებ და ფაიზაღ რამეს მოგასმენინებ? – ღიმილით ჰკითხა ბოლოს.

– ინდურ სიმღერასაო, არ მითხრა, თორე, რო წამოვხტები! – მარჯვენათი ცრუ მოძრაობა გააკეთა ნუგომ.

– არ წამომხტომის?! – გაეხუმრა ნიკა.

– ბალღო, თავს არ გაგივიდეს თორე! – ისევ გულს გარეთ დაექადნა ნუგო.

– გეყო, დაშოშმინდი, აჰა, ყური დაუგდე და...

„ჯარისკაცებო, გაგიმარჯოთ! როგორა ხართ, რა გიჭირთ, რა გილხინთ, ჭრილობები ხომ არ გაწუხებთ. თქვენს ვაჟკაცობაზე ქვეყანა ლაპარაკობს, და აი, მეც თქვენთან მოვედი, რომ გაგამხნევოთ... აგე, ჩემი ფანდური, კიდევაც დაგიკრავთ და კიდევაც გიმღერებთ. თუ ვინმეს რამე სჭირდება, სიხარულით გავეგზავნები. იცით თუ არა, რომ დღეს ხარებაა, ხარებას გილოცავთ, უფალს ებარებოდეთ!..“ – ბავშვური, ტაძრის პაწაწინა ვერცხლის ზარივით წკრიალა ხმა ნიკას ხრინწში გაძვრა და ნუგოს გულს მიესალბუნა.

– ნეტა ვინაა, იქნება აქაც შემოიხედოს! – ინატრა ნუგომ.

– ერთი ბიჭია... მაგრამ პატარებს აქ რო არ უშვებენ? – იკითხა ნიკამ.

– რატო, რა, ჭირიანები ვართ რო?

– პირიქით, ვირუსი თუ რაღაც დოზანაა, არ შემოიტანონო.

– ვირუსი არა, ფლავი... ახლავე ჩადი და ამოიყვა. მთავარ ექიმთანაც რომ მოგიხდეს შესვლა, მაინც ამოიყვა, თვითონ მაგ ვირუსიანებს ასე გადაეცი, ნუგომ, არ ამაყენონ და აქაურობა არ ამაყირავებინონ-თქო!

– გეყო, გეყო, ემ საათში ჩავალ და... – აჩქარდა ნიკა და ყავარჯნების ჩლახუნით კარისკენ გაემართა.

დერეფანში ნიკას მორიგე ექთანი შემოეყარა. მთავარი ექიმია შემოვლაზე, ახლავე პალატაში შებრუნდიო, დაუცაცხანა. პასუხად ნუგოს სურვილი და მუქარა გადასცა. მორიგე ექთანმა ხელი უმწეოდ გაასავსავა, მათკენ მომავალი თეთრხალათიანების ჯგუფისკენ გაეშურა და მათ შორის როგორც ჩანდა, მთავართან ხმადაბალ დიალოგში ჩაება.

– კარგი ბატონო, როგორც კი შემოვლა დამთავრდება, ამოიყვანეთ და ვისაც სურვილი ექნება, შეახვედრეთ, – იყო იმ „მთავარის“ პასუხი.

ბიჭის გამოჩენას მთელი საათი ელოდნენ. ამასობაში იგი წუთით არ დადუმებულა, ფანჯრებს მომდგარ ავადმყოფებს ამხნევებდა, ფანდურზე უკრავდა და მღეროდა. მისი ბავშვური ხმა მკაფიოდ ისმოდა. ნუგოს უკვირდა, რომ ბიჭის ნამღერი სამარშრუტო ტაქსებსა და ბაზრობებზე მოსმენილს არ აგონებდა. ამ სუსხსა და ქარში, – ნიკას თქმით, – ცას აჰყურებდა, ფანდურის სიმებს აწკრიალებდა და პატარა მგალობელი ჩიტივით მსმენელთ ატკბობდა...

ნიკა პალატაში რომ შემოუძღვა, კართან აიტუზა და კუთხეში მწოლ ნუგოს რიდით მიესალმა. ცხრა ან ათი წლის თუ იქნებოდა. ბავშვურად გაწლიკულის ოდნავ მოგრძო, ხორბლისფერ სახეს ჯიღა თვალები უჩვეულო იერს სძენდა.

– აქეთ მოიწიე! – გასძახა ნუგომ.

ბიჭმა ორი ნაბიჯით წაიწია და შედგა.

– რაო, უკმეხიაო, ხომ არ დაგაფეთეს, ჰა?! – ღიმილით ჰკითხა ნუგომ.

ბიჭმა პალატაში საქმიანად მიმოიხედა, ფანჯარასთან მიდგმული სკამისკენ გაემართა, აიღო, შუა პალატაში დადგა, ზედ კოხტად ნათალი მომცრო ფანდური დადო, ჭრელი, კაპიუშონიანი ქურთუკი გაიხადა, სკამზე გადაკიდა, ტანზე შემოტმასნილი ნაცრისფერი სვიტერი დაბლა დაქაჩა, საყელო გულდასმით გაისწორა, გვერდზე გადავარცხნილ ღიაწაბლისფერ თმაზე ხელი გადაისვა, ქურთუკის გულისჯიბიდან „ხარების“ მომცრო ფერადი ხატი და რამდენიმე სანთელი ამოაწყო, ნუგოს საწოლთან მდგარ ტუმბოსთან მივიდა, ხატი ჭიკარტით კედელზე მიამაგრა, სამი სანთელი ტუმბოზე დაანთო, დანარჩენი იქვე დააწყო, პირ-ჯვარი გადაისახა და სკამთან დაბრუნდა.

– არავისაც არ დავუფეთებივარ... მრავალ ხარებას დაგასწროთ, ჯანის სიმტკიცეს და სულის სიმშვიდეს ზიარებოდეთ... ახლა კი, მოდით, ერთად ვილოცოთ. – არაბავშვური სიდარბაისლით წარმოთქვა და სანამ დამხვდურნი რამის თქმას მოისაზრებდნენ, პირჯვარი ხელმეორედ გადაიწერა და საუფლო ლოცვა წამოიწყო.

„ვააჰ, ეგ ვინაა, ტოო... თავი მთლად დიდი კაცივით არ უჭირავს?!“ – გაიოცა ბიჭის სიტყვებითა და საქციელით გაღიზიანებულმა ნუგომ, მაგრამ მორჩილად თავდახრილს რომ დააკვირდა, მოლბა, თავისდაუნებურად აჰყვა და როცა მის კვალდაკვალ ღვთისმშობლისადმი ლოცვა ჩაადუღუნა და პირჯვარი სამჯერ გადაიწერა, იგრძნო, რომ მის სულსა და სხეულს საოცარი სიმშვიდე და სიმსუბუქე შესდგომოდა.

– ახლა კი გავეცნოთ ერთმანეთს... მე მათე ვარ, ამ უბნის ღვთისმშობლის ტაძრის სტიქაროსანი. ჩვენი ტაძრის დეკანოზისგან კურთხევა მაქვს ვილოცო თქვენთვის და თუ რამე გჭირდებათ, ვეცდები, – თქვა და ნუგოს და ნიკას მიაჩერდა.

პალატაში უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

– ბიჭო, შენ ყოველთვის ასე იქცევი, თუ?... – წამოიწყო ნიკამ ოდნავ დაყოვნებით.

– შენ გაზრდას, მითხარი, სადაური ხარ, – შეაწყვეტინა ნუგომ.

ბიჭი შეიშმუშნა, თვალებში სევდა ჩაუდგა.

– ახალგორელი, – ჩაიბუტბუტა მოგვიანებით.

– მერედა, იმის არ იყოს, აქ რა ქარმა გადმოგაგდო...

– ქარმა არა, შარშანდელმა ომმა. აგე, იმ სახლებიდან განაპირას ერთოთახიანში დროებით შეგვასახლეს, – ხელი ბათქაშშემოძარცული ნაცრისფერი კორპუსებისკენ გაიშვირა, – დედაჩემი, მე და ჩემი პატარა ძმა ჯერ-ჯერობით იქა ვდგავართ.

– მამა?

კითხვამ შეაკრთო, იატაკს დააჩერდა.

– თუ გეუხერხულება, არ გინდა, – დაიხია ნუგომ.

– შარშანდელ ომში დაიკარგა. – დაიჩურჩულა.

– რას ამბობ კაცო! – გაიოცა ნუგომ, მაგრამ ბიჭის სახის გამომეტყველებამ მაშინვე კილო შეარბილებინა, – იცოდე, უეჭველად გამოჩნდება, ალბათ ტყვედ ჰყავთ, თორემ ნემსი ხომ არაა რო, ეგრე...

– ჩვენც მაგისი იმედითა ვართ.

– მერედა, რით არსებობთ...

– კეთილ ხალხს რა გამოლევს... ეკლესიაც გვეხმარება... მთლად სხვების შემყურე არც მე ვარ... უბანში ჟურნალ-გაზეთებს ვარიგებ, ცოტას მიხდიან, და ასე...

– სწავლობ?

– მააშ, მეხუთე კლასში. სკოლის შემდეგ გაკვეთილებს მოვამზადებ, მერე ცოტას დედაჩემს მივეხმარები, მერე ფოსტაში შევირბენ, წერილებს და ჟურნალ-გაზეთებს ჩამოვარიგებ, მერე ტაძარში მივდივარ, მერე...

– რა ყოჩაღი ვიღაცა ყოფილხარ! – შეაქო ნუგომ.

– გინდათ გიმღეროთ?.. – შეაგება პასუხად, ქებისთვის ყურადღება არც მიუქცევია, ფანდურს დასწვდა და საქმიანი გამომეტყველებით სკამზე ჩამოჯდა.

ნუგოს თავიდან ეგონა, რომ იგი ამგვარად ვინმეს რჩევით იქცეოდა, მაგრამ მალე მიხვდა, ასეთი იყო: ნაადრევად დაკაცებული პატარა ბიჭი, ოჯახის მარჩენალის მოვალეობები გამოუვალი მდგომარეობის გამო თავად რომ ეტვირთა.

ნუგოს მშობლები მეორე მსოფლიო ომის დროს, ალბათ, ამ ბიჭის ტოლები იქნებოდნენ და ბავშვობაში განცდილ შიშსა და უბედურებებზე ხშირად უყვებოდნენ; სადღაც, გადასაკარგავში ჩავლილ ომს ხელშესახებ რეალობასავით უცოცხლებდნენ და თქვენ რა გიჭირთ, ომის სუსხი არ გიგემიათო, თითქოსდა აყვედრიდნენ კიდეც... მაგრამ თვითონ აგერ, ახლახან ნახა და გამოსცადა ომი მთელი თავისი საშინელებებით. ყველა ომი თავისთავად სიცოცხლის წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ მშობლები რომ უყვებოდნენ იმ ომში საერთო მტრის ზრახვები აშკარად ჩანდა და ყოველგვარ ილუზიას გამორიცხავდა, ეს ომი კი შეფარული იყო: მოყვარედ მიჩნეული დიდმპყრობლის მზაკვრული თავდასხმა, ნგრევა, უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი...

ვინ იცის, ამ პატარამ რა შიში და ზაფრა გამოიარა, ვიღაცის სისასტიკემ თავის მყუდრო და სიყვარულით გამთბარ მშობ-

ლიურ კერას მოგლიჯა და ამ ჭრელსა და ჭიანჭველების ბუდესავით მოფუთფუთე ქალაქში გადმოისროლა.

– შენი მოსმენა როგორ არ მინდა, მაგრამ გინდა თუა არა, იმღერე-თქო, ჩემი მხრიდან რაღაც არ გამოდის... მოდი, ვისაუბროთ, შენ შენს ახალგორზე, მე ჩემს ლალისყურზე... აგე, ნიკა კიდევა, თავის ხაშმზე მოგვიყვება და ასე...

– სიმღერებს შორის რომ ვილაპარაკოთ? – გამოსავალი თვითონ ბიჭმა იპოვა, – ფანდურს დასწვდა, მოიმარჯვა, რამდენიმე მოძრაობით სიმები მომართა, მერე რაღაც არაბავშვური ძალით ჩამოჰკრა და სიმღერა დაიწყო.

სიმღერების ცალკეული სტრიქონები ნუგოს საიდანღაც ახსოვდა, თუმცა ვერაფრით იხსენებდა, საიდან. ერთ სიმღერას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, თანდათან თითქოს ყურადღებაც მოუდუნდა, მაგრამ ბოლო სიმღერამ გამოაცოცხლა:

„ხანდისხან ამიფრინდება
ჭალისპირს უცხო ციცარი,
სხვანაირ სითამამით და
ჭრელ საყელოთი ვიცანი.
მიდის და ქარში მიღელავს,
ხან ჩქერებს მისდევს მდინარის,
მოზიდული მაქვს ისარი,
მივდევ ოფლგადამდინარი.
არ ვიცი, ჩემი ბედია
თუ ზეცისაა ზიარი,
ღმერთო, არ მომაკვლევინო
ისეთი ლამაზი არი!“

– მოიხედე, ეს ლექსი საიდან?! – ნუგომ ისე მოულოდნელად და აღელვებით ჰკითხა, ბიჭს ფანდური ლამის ხელიდან გაუვარდა.

– რატო?!. – კითხვითვე მიმართა ბიჭმა და მიაჩერდა.

– ძალიან მომეწონა, – უპასუხა ნუგომ, მაგრამ შეეტყო, რომ აგრერიგად მხოლოდ ლექსს არ აუღელვებია.

– დედაჩემმა მასწავლა, – მოგვიანებით მიუგო ბიჭმა.

– ფანდურზე დაკვრაც?

– არა, პაპამ.

– აჰ... პაპა! – აღმოხდა ნუგოს და თვალწინ ვაზის თალარქვეშ მჯდომი მხცით მოსილი მოხუცი წარმოუდგა.

– პაპაშენს რა ერქვა?

– იორამი.

არა, იმ მოხუცს იობი ერქვა, თანაც ის სოფელი ახალგორიდან შორსაა, თუმცა... მართლაც იობის მოთმინებითა და სიკეთით სავსე პაპა იყო. მისი სახლის წინ ჯარისკაცები რამდენჯერაც ჩაივლიდნენ, მომცრო კალათით მწიფე ატმებსა და თაფლის სურნელოვან, გემრიელ მსხლებს დაახვედრებდა.

ერთხელაც შინ შეიწვია.

„ყველა ადრე დავკარგე... ცოლმა სულ ახალგაზრდამ დამტოვა, მერე მის კვალს სხვის ომებში ამაოდ დამაშვრალი შვილები გაუყვნენ. შვილიშვილებს აქაურობა არ უნდათ, ბალღობისას წელიწადში ერთხელ ძლივს თუ ჩამოჰყავდათ და ვერ შეიყვარეს. აი, ეს სახლი ამიშენეს და დამიმშვენეს შვილებმა. ნახე, სადღაც ახლო აღმოსავლეთში მამლუქებივით ნაბრძოლთა ნაწვალებითაა აშენებული. ვემუდარებოდი, არ მინდა, ჩემი ქოხი მაკმარეთ, იქ ვიყავი ბედნიერი, დედათქვენის სული მანდ ტრიალებს-მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა. ვითომაო, ასეთი ვაჟკაცების მამას ქოხი როგორ ეკადრებაო, და, აი, ეს სრასასახლე წამოჭიმეს, თვითონ კი სულ მალე რიგრიგობით მოუსავლეთის გზას დაადგნენ... შემოდი, ნახე, თვეები ისე ჩაივლის, მეორე სართულზე ფეხს არც ავადგამ, ან რა დამრჩენია მანდ რო, აგერ, სამზარეულოში ვტრიალებ, აქვე ვიძილღვიძილებ, დანარჩენ დროს კი ბაღ-ვენახში ვჩირთიფირთობ...“ – გაანდო.

იმ სახლივით მშვენიერი და მოხდენილად გაწყობილი საცხოვრებელი ქალაქშიაც იშვიათად ეგულებოდა ნუგოს. საშენი მასალა საუკეთესო გამოუყენებიათ, პირველ სართულს იატაკი, კიბეები და საბაზანო სპილოსძვლისფერი ფილებით ჰქონდა მოპირკეთებული, ხოლო მდიდრული ავეჯი და ფარდები გემოვნებით იყო შეხამებული. მოხუცს ეს კეთილდღეობა სულაც არ სჭირდებოდა, მაგრამ შვილებს თავიანთი მაინც გაეტანათ.

ნუგოს ყურადღება სახლის მეორე სართულზე, ვეება ზალაში, ძველებურმა, შანდლებიანმა შავმა პიანინომ და წიგნის თაროებმა მიიპყრო. მტვრით დაფარულ პიანინოზე ნოტების მთელი დასტა ეწყო, თაროები კი ნარჩევი ქართული და უცხოური ლიტერატურით იყო გამოჭედილი.

შუათანა ვაჟი და მისი ცოლი უკრავდნენ, წიგნებით კი ნაბოლარა იყო გატაცებული, ყოველ მათ ჩამოსვლაზე სოფლის ახალგაზრდობას ჩვენთან მოუხაროდა, მაგრამ ახლა არც ისინი არიან, ახალგაზრდები კი ამ ჯგლეთასა და გაუტანლობაში ან დაიხოცნენ, ან აქედან სამუდამოდ გადაიკარგნენ. თავისუფალ დროს მოდი ხოლმე, რამდენ ხანსაც გინდა, დარჩი, თუ გესიამოვნება, პიანინოზე დაუკარი, წიგნები იკითხე და ზოგჯერაც შემეხმიანეო, გაენდო მოხუცი.

პიანინოსი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ გადარბენებს შორის ორი გასაოცარი წიგნის წაკითხვა მაინც მოასწრო, ერთ-ერთ თაროზე კი შემთხვევით სქელ ბლოკნოტს გადააწყდა. ვიღაცას გაკრული ხელით, როგორც ჩანდა, თავისი საყვარელი პოეტის ლექსები ჩაეწერა. ამ ლექსებს მარტო სათაურები ჰქონდა, ავტორის ვინაობა კი, რატომღაც არსად იყო მინიშნებული. იმის მიხვედრას რა უნდოდა, ლექსების ავტორი ქალი იყო, მაგრამ მისი სითამამე და ნიჭიერება ბევრ ვაჟკაცს შეშურდებოდა.

პოეტის ფიქრები ერთთავად ქართლის მჭვირვალ ცას და მზით დაფერილ ზურმუხტისფერ ველ-მინდვრებს, მცხეთასა და ჯვარს, ბებერ ქსნის ციხეს და მის ხევ-ხუვებს დასტრიალებდა და ნუგოსთვის ეს სტრიქონები იმდენად მახლობელი აღმოჩნდა, სოფლის შემოგარენში განფენილ პეიზაჟებსა და თითქოსდა ხელის გაწვდენაზე მოკიანთე, დროდადრო ლეგა ნისლებში გახვეულ კავკასიონის დათოვლილ ქედებს მათ გაგრძელებად მიიჩნევდა...

– იცი, ეს ლექსები ვისია?

– როგორ არა, მანანასი, მაგრამ... – ბიჭი შეყოვნდა, მახსოვრობა დაძაბა და ცოტა ხნის შემდეგ გულდაწყვეტით დაამატა, – აი, გვარი კი... თუმცა, ჩვენები სახელითღა იხსენიებენ, – თავი იმართლა.

– ეგ ვინ, თქვენები...

– დედილოსები... კორინთაში ერთ სკოლაში უვლიათ, ერთ დროს ახალგორშიც უცხოვრია.

– ახლა?

– არ ვიცი, დედილოს ეცოდინება.

– ნანახი თუ გყავს?

– როგორ არა, ორჯერ!

– მაინც, როგორია?

– შავგვრემანია, თუმცა ისეთი ნათელი სახე და დიდი, ლამაზი თვალები აქ როო!..

– ოჰო, შენსავით?! – აღტაცებით გაიოცა ნუგომ.

– მე ქალი კი არა ვარ! – შედარება იუკადრისა პატარა ვაჟკაცმა, – ქმარი და მოსწრებული შვილიცა ჰყაავს, – ვითომ, სხვათა შორის დაამატა მოგვიანებით.

– მე ეგ როდის გკითხე, რო?! – ხმაში ბრაზი შეეტყო ნუგოს.

– ერთ დროს მაინც მკითხავს-მეთქი, ვიფიქრე, და... – წამოიწყო ბიჭმა ოდნავ დაყოვნებით და ნუგოს გამხდარსა და წვერ-ულვაშგაბარჯღულ ფერმკრთალ სახეზე აკვესებულ თვალებს მზერა ღიმილით გაუსწორა.

ბიჭის თამამ პასუხსა და შემოხედვაზე ნუგოს სიცილი წასკდა. სიცილი ნიკასაც გადაედო.

– კაი კერკეტი ვიღაცა კი იზრდები! – დაასკვნა გახალისებულმა ნუგომ.

– სხვა გზა მაქვს რო?! – შეეპასუხა ბიჭი.

მის სიტყვებზე ნუგოს ისევ გაეცინა.

ბიჭი ერთხანად მშვიდი გამომეტყველებით შეჰყურებდა, მერე ფანდურს დახედა და იკითხა.

– კიდე დავუკრა?

– თუ არ დაიქანცე, აუცილებლად, – უპასუხა ნუგომ.

ბიჭმა სიმებს ჩამოჰკრა და პოეტი ქალის ლექსი დაამღერა ისევ.

ნუგოს თვალწინ მოხუცი იობი და მისი სახლ-კარი დაუდგა.

სოფლის შესასვლელში მათი მისვლიდან სამ კვირაში ის დიდებული სახლი დაბომბეს. მოხუცი ამ დროს ეზოდან მოშორებით, ახოში ბალახს თიბავდა. დაუნახავს სახლი სათამაშოსავით როგორ შემხტარა და ზედ მტვრისა და შავი კვამლის უზარმაზარი სვეტი როგორ აღმართულა.

მეზობელი, დაწექიო, უყვიროდა თურმე, მაგრამ გამწარებული მოხუცი არც განძრეულა, მერე მუშტი ცისკენ შეუმართავს და მთელი გულისწყრომა მფრინავის მისამართით გადმოუღვრია. ერთხანად მტვრისა და კვამლის სვეტს გაოგნებული მისჩერებულიყო, მერე ცელი დაუგდია და იქითკენ დაძრულა. სანამ მტვერი და შავი კვამლი ნისლივით მდგარა, დაბომბილ მონაკვეთს ვერავინ მიჰკარებია, ხოლო როცა გაფანტულა, სახლის ადგილას უზარმაზარი პირდაფჩენილი ხარო და ირგვლივ მიმოფანტული ქვებისა და ახრჩოლებული ხის ნახლეჩების გროვაღა დახვედრიათ. დიდხანს ცოცხალ-მკვდარი ჩაჰყურებდა თურმე, ქვესკნელივით პირდაფჩენილ ხაროს, მერე ქოხისკენ წალასლასებულა, კუნძზე დაშვებულა და დუმილად ქცეულა.

ნუგომ რომ მიაკითხა, სიტყვა არ დაუძრავს. მეზობლებთან კი, დახეთ, ჩემი შვილების წვალებით ნაგები სახლი მტერმოყვარემ თვალის დახამხამებაში როგორ დამიქციაო, – გულს ეგღა ამოაყოლა, მერე ცალ მხარეზე გადაზნექილ თავის ქოხისკენ ხელი გაიშვირა და კაცს ამის მეტი არცრა სჭირდება, იმ ადგილას ჩემი ძველი სახლი რომ მდგარიყო, ასე საგულდაგულოდ მიზანში არავინ ამოიღებდაო, დაამატა და ისინი თავისი სიმტკიცით გააოცა...

ვაზის თალარქვეშ განმარტოებული ჭარმაგი, სიკეთით სავსე ბრძენი მოხუცი ხშირად წარმოუდგება. მის თვალებში მოყვასის მიმართ საოცარ სიყვარულსა და სიმხნევეს ჭვრეტს, რაც ხშირად უიმედობამოძალებულს უდიდეს სიმშვიდესა და ძალას ჰმატებს. ნუგოს წარმოდგენაში ამგვარი შთაგონებული სახე ექნებოდა სამყაროს შემოქმედს, როცა თავის ხატადქმნილს თიხისგან ძერწავდა. ხშირად უფიქრია, კიდევ კარგი, იგი რამე მყარი მასალისგან არ შექმნა, თორემ სიყვარულის ნიჭს ასე უხვად ვერ მიამადლებდაო...

ნუგო ნაღმის ნამსხვრევებით რომ დაიჭრა, ბიჭებმა მოხუცის ეზოთი, მოკლეზე გადაატრეს. მოხუცი გამოუდგა, მოაბრუნებინა, თალარქვეშ ხის ტახტზე დააწვენინა, გასაოცარი სიფაქიზით მობანა და დოლბანდებით შეუხვია ჭრილობები. მერე მანქანაში ჩაუჯდა და გზატკეცილამდე გააცილა. გამომშვიდობებისას, გაამხნევა და ჩამოსართმევად გაწვდილ ხელში გაზეთის ჩამონახევში გახვეული რაღაც ჩაუკუჭა. ჰოსპიტალში ყოფნისას გონისწამღებმა ტკივილებმა რომ გაუარა, ის გაზეთის ჩამონახევში გახვეული რაღაც მოიკითხა და როგორ გაოცდა, როცა შიგ გაცრეცილი, წვრილად დაკეცილი ოცლარიანი და ათლარიანი აღმოაჩინა. გაშრა. უბედურებაში მოყოლილ მოხუცს ვინ იცის, ამის გარდა იქნებ გროშიც არც ებადა, მაგრამ ჩანდა, მისთვის რამეთი მაინც ხელის გამართვა უცდია...

მაშინ გულში ამოიჭრა, თუ აქედან საღსალამათი გავიდოდა, მოხუცი მოეძებნა და სიკეთე ერთი ათად მიეგო. თუმცა აქედან „მშვიდობიანად“ გასვლა კარგა ხნით გადაიდო. თითქმის რვა თვე ხდება, რაც მის დაჩეხილსა და დასახიჩრებულ მუხლებს დოსტაქრებმა ვერაფერი მოუხერხეს და ცარიელი დაპირებებითღა სულდგმულობს...

როცა ბიჭი დაკვრას მორჩა, ქურთუკი ჩაიცვა, ფანდური აიღო, სკამი თავის ადგილზე დააბრუნა და წასასვლელად გაემზადა.

– პატივისცემა რო გეკუთვნის, ნაღდია, მაგრამ... – წამოიწყო ნუგომ.

– მე მოწყალებისთვის კი არა, თქვენს გასამხნევებლად მოვედი! – ისეთი გამომეტყველებით მოუჭრა ბიჭმა, ნუგომ და ნიკამ კინაღამ ირწმუნეს, რომ მათ წინ ათი წლის მოზარდი კი არა, ასაკოვანი კაცი იდგა.

– კი არ გეწყინოს... სხვა დროსაც შემოიხედე, – დატუქსულივით უპასუხა ნუგომ.

– ზეგისთვის უეჭველად ვეცდები.

– ისე, შენ კი გაგვეცანი, მაგრამ ჩვენი ვინაობა რომ არ იცი?

– სანამ შემოვიდოდი, თქვენზე ბევრი რამ გავიგე. ასე, რო...

სიტყვა სიცილმა გააწყვეტინა. ბიჭი გაოცებით მიაჩერდა ნუგოს.

– შენ რო გიყურებ, ჩემზე დიდი მგონიხარ.

– მერე ეს ცუდია?

– ვერაფერს გეტყვი.

– ეს სხვებმაც მითხრეს...

– კარგი ახლა, ფრთებს კი ნუ ჩამოყრი, მე ისე...

– მივხვდი.

– ახლა წადი, გეტყობა, გეჩქარება... კიდევ თუ მოხვალ, დედაშენს იმ პოეტის გვარი ჰკითხე... მერიდება, მაგრამ იქნება მისი წიგნიცა აქვს და ცოტა ხნით გვათხოვოს...

– სახლიდან უეცრად გამოვიქეცით... მაგრამ ჩვენებიდან ვინმეს ექნება და უეჭველად გიშოვით, – იყო მისი პასუხი.

– ესე იგი, მოვილაპარაკეთ, – თქვა ნუგომ და ხელი გაუწოდა.

ბიჭმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ხელი ჩამოართვა, მშვიდობა უსურვა და პალატიდან გავიდა.

* * *

...მესამე დღე ჩვეულებრივად ტაატით დაიწყო: გულისგამაწყალებელი დილის პროცედურების შემდეგ დიეტური, უგემური საუზმე, მოგვიანებით ექიმების შემოვლა, დამაიმედებელი ფრაზები და საკუთარ თავთან განმარტოება.

ცაც მოღრუბლული იყო და ქარიც ცივი ქროდა.

ფანჯარასთან მოყურყუტე ნიკას მთელი დილა და შუადღე სიტყვა არ დასცდენია. ნუგო დროდადრო გახედავდა, მაგრამ ერთხელაც არ შეხმიანებია. სხვა დროს აუცილებლად ჰკითხავდა, აივანზე „ი გოგო“ ხო არ გამოჩენილაო. ნიკა ან დაუდასტურებდა, ან ცივ წყალს გადაასხამდა, მაგრამ თვითონაც მშვენივრად იცოდა, რომ „ი გოგო“ არც არსებობდა და ნიკა იმ არარსებულ გოგოს და საავადმყოფოს უსახურ შემოგარენსაც მის გასამხნევებლად ამკობდა უბადლო სილამაზით.

ორივენი დაძაბულები იყვნენ. თუმცა ნიკას დაძაბულობა იმდენად ძნელი ასატანი არ ყოფილა, რამდენადაც ნუგოსი, რადგან სურვილი კლავდა, ჰოსპიტლის შემოგარენი რაოდენი უსახურიც არ ყოფილიყო, საკუთარი თვალით ენახა.

ეს უამური სიჩუმე, ალბათ, მთელი დღე გასტანდა, ასე, ექვს საათზე ეზოდან უცხო ხმისთვის ყური რომ არ მოეკრათ. რაღაცის ლოდინით დაქანცული ნიკა ამ დროს საწოლზე წამოწოლილიყო და თვლემას ძლივს უმკლავდებოდა, მაგრამ უეცრად გამოცოცხლდა, წამოდგა, ყავარჯნები მოირგო, ფანჯარას მკვირცხლად მიაშურა და შეაღო.

– ჯარისკაცებო, გაგიმარჯოთ, როგორა ხართ, მითხარით, რა გიჭირთ, რა გილხინთ, რით გაგახაროთ!.. – პალატაში სასიცოცხლო სუნთქვასავით შემოიჭრა ბიჭის ხმა.

ნიკა და ნუგო თავს არ უტყდებოდნენ, თორემ, მთელი დღე თურმე, ამ დამაიმედებელი ხმის მოლოდინში ყოფილან.

ნიკა ფანჯრის რაფაზე გადაიხარა და ჭრელ, კაპიუშონიან ქურთუკსა და ჯინსის შარვალში გამოწყობილი ბიჭი დაინახა. იგი ფანდურითა და იღლიაში ამოჩრილი მომცრო პარკითურთ ეზოში იდგა, საავადმყოფოს ფანჯრებს ასცქეროდა და ვიღაცებს ეხმიანებოდა.

– აი, მახარებელიც მოვიდა! – წამოიძახა ნიკამ და ტაძრის პაწაწინა ვერცხლის ზარივით წკრიალა ხმას მიყურადებულ ნუგოს გახედა ◉

ცნობილ ქართველ მხატვარს ვლადიმერ კანდელაკს 4 ივნისს 70 წელი შეუსრულდა

«გულის გეჯიდან იყო ნახატი...»

(ნ. სამადაშვილი)



ოთარ მეღვინეთუხუცესის გასვენებაში მივდიოდით... ზურაბ წერეთლის სახელობის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა ანა ოქიტაშვილმა დამირეკა: შენი წიგნი ნახა ვლადიმერ კანდელაკმა, ტელეფონის ნომერი გვთხოვა და მივეცით... ბატონ ვლადიმერს არ ვიცნობდი... საპატრიარქოში შევხვდი, რადგანაც მისი ნამუშევრები სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის რეზიდენციაში ინახება. ამჟამად, ბატონ ვლადიმერს არც სახელოსნო და არც ბინა არა აქვს...

საქართველოში ცნობილია მისი მოღვაწეობა. მასზე სტატიებს წერდნენ მწერლები, პოეტები, ხელოვნებათმცოდნეები, ჟურნალისტები. საქვეყნოდ ცნობილ ტილოს „ფარშევანგი გალიაში“ ლექსიც კი უძღვნა მორის ფოცხიშვილმა, ხოლო ჯანსუღ ჩარკვიანმა „ფარშავანგის“ დამხატველ კაცს, სამშობლოდან წასული ტალანტი უწოდა... როსტომ ჩხეიძის მოსაზრება ყოველთვის საინტერესოა მკითხველისათვის, გთავაზობთ მცირე ნაწყვეტებს მისი რეცენზიიდან, რომელიც გამოქვეყნდა ვლადიმერ კანდელაკის წიგნზე „ყვავის დამა“.

როსტომ ჩხეიძე

ბედისწერად პიკის ქალი

ეს ყველაფერი თითქოს აქამდეც წაგვიკითხავს, სად ან რატომ უნდა წაგვეკითხა? ეს ხომ ავტობიოგრაფიული თხზულებაა, დღიურის ჩანაწერები, რომელიც შეივსო, გამთლიანდა, მხატვრულ ქარგაში მოექცა და წარმოგვიდგა ვლადიმერ კანდელაკის „ყვავის დამად“ – ქართველი მხატვრის დრამატული ცხოვრების სურათებად ამერიკასა და... ლონდონის ციხეში.

კომპოზიციური ღერძი სწორედ ესაა – ლონდონის ციხე, და მხოლოდ პირად მონათხრობს ეყრდნობა, უშუალო შთაბეჭდილებებსა და განცდებს და თუ რაიმეა უცხო თხრობის ან სტილისათვის, „ლიტერატურუშჩინის“ გავლენაა.

მაშ რატომ გვიჩნდება ეჭვი, რომ ეს ყოველივე საიდანღაც ნაცნობია ჩვენთვის? არა, ეპიზოდები ახალია, ცხადია, არც უშუალო გარემო გვეცნობა, მხოლოდ შინაგანი პათოსი და ზოგადი მანერაა გონებაში საიდანღაც ჩარჩენილი. საიდან მაინც? და თუ „ლიტერატურუშჩინა“ ვერაფრის დიდებით ვერ მიესადაგება ვლადიმერ კანდელაკის მემუარულ-დოკუმენტურ სტილს, იქნებ ამოვიგდოთ ყოველგვარი ეჭვი.

ხოლო თუ ასე იოლადაც ვერ ამოვიგდებთ იქნებ ახსნა გვეცადა.

...და უეცრად გონება ნათდება.

კაფკა... ფრანც კაფკას „პროცესი“... უდანაშაულო დამნაშავის დრამატული ხვედრი, ამაო შერკინება ბედისწერის ავ თამაშთან. ამაოების განცდა იქაა თავისი ტრაგიკული დასასრულით. ვლადიმერ კანდელაკის ხვედრი გადარჩენილა იმგვარ ფინალს და ციხიდან თავის თავის დაღწევაც მოუხერხებია, განსხვავებით კაფკას პერსონაჟის – იოზეფ კ.-სგან. არადა, როგორ დაემგვანა იმ პერსონაჟს, და მისი ცხოვრების გამაოგნებელი მოულოდნელობა იმ ბიოგრაფიის თავისებური განმეორება აღმოჩნდა: მოულოდნელად გამოუცხადებენ, რომ დაპატიმრებულია. ვერასდიდებით ვერ გაურკვევია რა ბრალი მიუძღვის. არც არავინ განუმარტავს და ისე მოექცა რკინის გისოსებს იქით, ლამის ხელი ჩაიქნიოს და შეეგუოს აბსურდული პერსონაჟის ბედს.

თავისას ყვება ვლადიმერ კანდელაკი, თავის მღელვარე თავგადასავალს გადმოგვიშლის შეუფერადებელი სიმართლით, კაფკა იქნებ გახსენებითაც არ გახსენებია, არც დღიურების შედგენისას და არც მათი გამთლიანებისას, მაგრამ ისე კი მოხდა, რომ მისი ეს სრულიად დამოუკიდებელი, თავისთავადი თხზულება ძალაუნებურად იმ თვალსაჩინო რომანს დაემსგავსა, რომლის კითხვის დროსაც მეგობართა წრეში თავად მწერალიც იცინოდა და მისი მსმენელიც...

...იცინოდა, რათა გული არ გახეთქოდა მტანჯველი განცდებისაგან.

უდანაშაულო დამნაშავის ბედიც თავის თავზეც გამოეცადა და მძაფრი მხატვრული წარმოსახვებითაც ავსებდა – სულიერ პლანში თვითონვეა „პროცესის“ მთავარი გმირი და ეპიზოდების შეთხზვა მარტოოდენ გარეგანი მოვლენებია ტრაგიკული არსის შესაცნობად მკითხველისათვის.

ვლადიმერ კანდელაკს სწორედ ამ ეპიზოდების შეთხზვა სჭირდება, საკმარისია მხოლოდ, რომ არ გამოტოვოს ერთი ერთმანეთზე გამაოგნებელი ამბები და მათ მიღმა ძალდაუტანებლად გამოიკვეთოს ის უხილავი ხელი, ასე საბედისწეროდ, რომ გადაუქცია სრულიად უხიფათო გაფრენა ამერიკაში...

...მაგრამ ეს თემა უკან გადაიწევს, ვლადიმერ კანდელაკის თავზე ისეთი წისქვილის ქვა დატრიალდება.

დანაშაული არ ჩაგიდენია და... გაპატიმრებენ. თავს ვერ იცავ, საადვოკატო სისტემა ისე უცნაურადაა მოწყობილი (სულ ახალ-ახალი ადვოკატები ჰკითხავდნენ ციხის კედლებში და ყველასთვის თავიდან უხდებოდა თავისი თავგადასავლის მოყოლა, ერთი გაერკვევა საქმის ვითარებაში... და მეორე მოადგება). დრო კი ჭიანურდება და ჭიანურდება და კინაღამ სიგიჟემდე შეიძლება მიგიყვანონ. სიგარეტის შოვნაც უძნელდება და მისი მთელი მცდელობა იქითაა მიმართული, საკანში შედარებით ასატან ტუსაღებთან მოხვდეს, თორემ პროვოკაციას იქაც ისევე მოუწყობენ, როგორც თვითმფრინავში, ამერიკის ნაცვლად ციხეში რომ ამოაყოფინეს თავი...

...მალე კი ყურს მოვკრავ: დაუპატიმრებიათ, მთვრალს თვითმფრინავში სტიუარდესასთვის აურევიაო.

თურმე „არევა“ რა ყოფილა:

თავისი ალბომები დაუთვალიერებინებია და როდესაც სტიუარდესას დიდი ინტერესი გამოუჩენია და მთელი საათი ლამის ვერ მომწყდარა მის ნახატებს, აღტაცებულ მხატვარს, კიდევ ერთი დამფასებელი გამომიჩნდაო, მადლიერების ნიშნად ხელსა და ლოყაზე უკოცნია. თანაც უთხოვია, ენობრივი ბარიერის გამო იქნებ რეგისტრაციისა და დეკლარაციის შევსებაში დამეხმაროო. სტიუარდესას ამბორი ისე მიუღია, როგორც კეთილგანწყობილი ადამიანური ჟესტი და თავაზიანად გამომშვიდობებია, თვითმფრინავიდან ჩამოსულ მხატვარს კი გზის გაგრძელების ნებას აღარ დართავენ და ლონდონის აეროპორტიდან ციხეში უკრავენ თავს...

...მერე და მერე თვითონაც მიხვდება და, ზოგადი ფონის გათვალისწინებით, მკითხველიც ირწმუნებს, რომ მისი დაპატიმრება კარგად ორგანიზებული აქცია იყო – თბილისიდან დაგეგმილი და ბრალი მისი ფონდის არსებობას მიუძღოდა...

...სასამართლო გამამართლებელ გადაწყვეტილებას გამოიტანს: „...გათავისუფლდეს სამხილის უქონლობის გამო და საწინდარად ჩადებული თანხა დაუბრუნდეს“.

...თუ ყველაფერი ასე უბრალოდ გადაწყდებოდა, რაღად გვაწვალებდნენ, გვამცირებდნენ მეც და სხვებსაც, ვინც ამდენი დრო და ძალა დამახარჯა, – სინანულით დასძენს მხატვარი და აწ უკვე პროზაიკოსი...

...„ყვავის დამა“ თითქოს „პროცესის“ დოკუმენტური მასალა იყოს – არადა, რვა ათეული წელი აშორებს...

*

2001 წლის ნოემბერში, ჯანაშიას სახ. მუზეუმში, ვლადიმერ კანდელაკის კოლექცია – უნიკალური კავკასიური იარაღი – გამოიფინა.

„ჩემთვის, ამ ნივთების შეგროვება, ჩემს შემოქმედებაზე, ჩემს ნამუშევრებზე მუშაობის ტოლფასია. ძველი ნივთები ჩემთვის მუზაა... სასაცილოა, აქედან ამერიკაში მიაქვთ, მე კი იქ ვყიდულობ და აქ ჩამომაქვს... თითოეული ნივთი უნიკალურია, ყველას თავისი ისტორია აქვს. ერთხელ ხევსურეთში ვარ, ვხედავ, სოფლის ღობეზე მშვენიერი ჯაჭვის პერანგი ჰკიდია. მაშინვე გამოველაპარაკე პატრონს, – ქვაბების სახეხად გვჭირდებაო... თავდაპირველი ფუნქცია უკვე არავის აინტერესებდა, ...სიამოვნებით დამითმეს. სტუდენტობიდანვე ვაგროვებდი ნივთებს, ჩემს მუზებს... მცირე თანხით შეიძლებოდა უნიკალური ნივთის შეძენა... იარაღს არ ვატარებ და არც არასდროს მიტარებია. ერთხელ ამერიკაში ერთმა მითხრა: – ტლაპოდან ამოგიყვანეთო... ძალიან გამაბრაზა... „რა, ე.ი. ჩემი სამშობლო ტალახია?“, ის კაცი ჩემს ხმალს თეძოთი წამოეგო, თუმცა როგორ მოახერხა დღემდე ვერ ვხდები“ – ყვება ვლადიმერ კანდელაკი.

„აქ წარმოდგენილი კოლექცია ჩემთვის კარგადაა ცნობილი. ბატონი ვლადიმერ კანდელაკის თხოვნით ყველა ნივთი მე აღვწერე. ეს არის ერთ-ერთი უძვირფასესი კოლექციაა, განძი ჩვენი ერისა...

იგი მრავალმხრივაა აღსანიშნავი: სახელმწიფო მუზეუმის ამ დარბაზში სვანეთის და ხევსურეთის ეთნოგრაფიულ ექსპოზიციასთან ერთად იარაღიც იყო წარმოდგენილი, გარდა ამისა, როდესაც ივანე ჯავახიშვილმა შოთა რუსთაველის ეპოქის გამოფენა მოაწყო, იარაღიც თან დაურთო, ოღონდ ფრესკებიდან შესრულებული ნახატის სახით. ამგვარად, ეს ექსპოზიცია დიდი ტრადიციის გაგრძელებაა. ამიტომაც, მრავალმხრივაა ასე მნიშვნელოვანი და საინტერესო“ – განაცხადა გახსნაზე იარაღის ცნობილმა სპეციალისტმა კონსტანტინე ჩოლოყაშვილმა.

უნიკალური ხანჯლები, ულამაზესი ხმლები, დამბაჩები, თოფები, პისტოლეტები, საპირსაწამლეები, მახვილები, ფარები... საოჯახო ინვენტარი – ტანსაცმელი, აბჯარ-უნაგირი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ვერცხლის ქამრები, ძვირფასი ქვებით შემკული, ოქროთი, ვერცხლით, სპილოს ძვლით... ხატები, ჩიჩილაკები, საკისრეები, საყბეურები, სკივრები, ზარდახშები, თასები, ყანწები, აკვნები, საყვირები, დურბინდები...

იარაღები იტალიიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, თურქეთიდან, გერმანიიდან, იაპონიიდან, ინდოეთიდან და რუსეთიდან...

ექსპონატების რაოდენობა იმდენად დიდია, შეუძლებელია მისი განთავსება... ცალკე, მუზეუმი სჭირდება...

ამერიკელმა პოეტმა პეტრე ვეგინმა იხუმრა თურმე: – ვლადიმერის კოლექცია კავკასიას განაიარაღებსო...

ვლადიმერ კანდელაკის კოლექცია გაცილებით მრავალფეროვანი, მრავალრიცხოვანი და ძვირფასია, ვიდრე მუზეუმის...

თანაც ძირითადად, ქართველთა იარაღია...

მუზეუმის დირექციამ საჯაროდ განაცხადა ეს ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმის ექსპონატების შეკრებას სჭირდებოდა მთელი ექსპედიციების მონაწილეობა, ბიუჯეტიდან ამ მიზნით სოლიდური თანხები იხარჯებოდა , ვლადიმერ კანდელაკი ამ საქმეს მარტო აკეთებდა, ჩუმად, უხმაუროდ...

მუზეუმის ექსპოზიცია „რუსული იარაღის დიდება“, რომელიც „ცისფერ გალერეაში“ იყო განთავსებული, ლიკვიდაციის შემდეგ კოლექცია ჯანაშიას სახელობის მუზეუმს გადაეცა. ეს კოლექცია შეგროვილი იყო მრავალთა მიერ, ვლადიმერ კანდელაკი კი მარტო აკეთებდა ამ მამულიშვილურ საქმეს. „მოსკოვსკაია ორუჟეინაიას“ კავკასიური იარაღის განყოფილებასაც კი არ აქვს ასეთი კოლექცია: აზერბაიჯანი, დაღესტანი, ჩეჩნეთი, ოსეთი, სომხეთი...

*

1990 წელს ვლადიმერ კანდელაკი ამერიკის შეერთებულ შტატებში კონტრაქტის საფუძველზე მიიწვიეს, რაც მისი შემოქმედების ვიზუალიზაციას ითვალისწინებდა, მაგრამ არც ერთი გათვალისწინებული პუნქტი არ შეუსრულებია ამერიკულ მხარეს. თითქმის 3 წელი სრულ იზოლაციაში იყო. ამერიკელები ცდილობდნენ ეშოვნათ სპონსორი და რაც შეიძლება დაბალ ფასში გაეყიდათ ნამუშევრები... ინგლისური არ იცოდა და კომუნიკაცია უჭირდა. ერთხელ, გზა აებნა და ერთი უბნიდან მეორეში ვეღარ აგნებდა გზას... გამვლელებს სთხოვდა დახმარებას, მაგრამ უშედეგოდ, არავინ დაინტერესებულა რა სჭირდა, არავინ უგდებდა ყურს. აღარ იცოდა რა ექნა... და უცბად სადღაც აგური იპოვა და მაღაზიის ხუთმეტრიანი ვიტრინა ჩაამტვრია... სიგნალიზაცია ჩაირთო და პოლიცია სასწრაფოდ მოვიდა... უცნობი მხატვარი უცნობი უბნიდან სიგნალებით წაიყვანეს... მეორე დღეს მეკითხებოდნენ, ამერიკაში აგურები სად იპოვნე?

მიუხედავად ყველაფრისა ვლადიმერ კანდელაკმა შეძლო თავისი ნამუშევრები ამერიკული საზოგადოებისათვის ეჩვენებინა, წარმატება და აღიარებაც მოვიდა... ნონკონფორმისტული ხელოვნების ცნობილი კოლექციონერი ნორტონ დოჯი მოიხიბლა მისი შემოქმედებით... ისინი მალე მეგობრები გახდნენ... „ნონკონფორმისტული ხელოვნება ყოფილი საბჭოთა კავშირიდან“, ასე ერქვა ნორტონ დოჯის კოლექციას, რომელშიც ვლადიმერ კანდელაკის 50 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარია დაცული.

ერთი მეორეს მოჰყვა ცნობილი ტილოები: „ბანქოს სახლი“, „ილიჩის ნათურა“ „ჯვრის პროცესია“, „ფარშევანგი გალიაში“ და ა.შ.

„ეს არის შერწყმა ავანგარდის და ეთიკის... ალბათ უფრო ნაციონალური მხატვარი ვარ... ის, რაც, გაკეთებული მაქვს– პაროდიაა საბჭოთა დროზე, ეს

ალბათ უფრო სიურეალიზმია“... (ვლადიმერ კანდელაკი)

ამერიკაში, მიღებებზე ჩოხაში დადიოდა, ნორტონ დოჯიც გამოაწყო ჩოხაში...

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორმა, კენედის უნივერსიტეტის პროდიუსერმა რიჩარდ სკვამ, ფილადელფიის მერიაში გამოფენის დათვალიერების შემდეგ მოძებნა ვლადიმერ კანდელაკი და რეპროდუქციების გამოყენების უფლება სთხოვა, ამერიკა-ინგლისის ერთობლივი წიგნი ორი ქვეყნის წამყვანი კოლეჯებისათვის, ნიუ-იორკში დაიბეჭდა მისი თანხმობით.

ვლადიმერ კანდელაკმა გამოსცა სერგო ქობულაძის უნიკალური ნაშრომი „ოქროს კვეთა“. აგრეთვე „ქართული კულტურა“ ინგლისურ ენაზე.

*

ვლადიმერ კანდელაკის დაარსებული ფონდიდან, 800 000 დოლარი „გაქრა“... დღეს არც ბინა აქვს, არც სახელოსნო...

„ძმის ხორცი როგორა ვსჭამო?“... ხშირად უკითხია – ამ კითხვაში მოექცა მისი როგორც ადამიანის პიროვნული მეობის, პიროვნული ღირსების, მისი როგორც ადამიანის ყოფნა-არყოფნის ალტერნატივა... „ურჩხულის მკვლელიც ურჩხულია“, იდეა მხოლოდ იდეით უნდა დაამარცხო... თამარ მეფეს კი მოღალატეთა მიმართ ასე უბრძანებია – „გულბოროტნი ეკლესიიდან გააძევეთ“...

ამ კოლექციის პატრონს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა სამშობლოსათვის ესეც სავსებით ეყოფოდა ქართველი ხალხის წინაშე ვალის მოსახდელად.

ამ კეთილშობილურ ტვირთს ადრე თუ გვიან მაინც აიტანს აღმართზე... ეს მისი არჩევანია... რწმენის რაინდივით არის... საიდუმლოს რწმენა გმირობაა და თავდადება, ამიტომ არ იძლევა არავითარ გარანტიას...

საუკუნეთა მიერ დაგროვილი უძვირფასესი კულტურული მემკვიდრეობის შეგროვებას შეალია მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება... ის იყო და რჩება ქართული საგანძურის შეუპოვარ მცველად... თავდაჯერებით იკვლევდა გზას, მისხალ-მისხალ გამოჰქონდა უძვირფასესი მადანი... რა თქმა უნდა საქართველოს და ქართული ისტორიის კარგი მცოდნეა, და მხოლოდ მცოდნე? მცოდნე ცოტას ნიშნავს, ვინაიდან ყოველგვარი ცოდნა მხოლოდ საფეხურია, მხოლოდ საყრდენია მასზე ბევრად მნიშვნელოვანი ჭეშმარიტების მოსაპოვებლად, იმ ჭეშმარიტებისა რომელიც ასაზრდოებს რწმენას და სიყვარულს სამშობლოსას...

ციცაბოზე რამდენი იარა, რამდენჯერ ჩარჩენილა წვიმასა და თქეშში, და მაინც მიდიოდა, მიდიოდა რათა არ გაფანტულიყვნენ უპატრონოდ მისი მუზები...

მუზები კი მის მსოფლმხედველობრივ თვალსაზრისს განუყრელად ასულდგმულებდნენ საკვანძო იდეალთან – სამშობლოსთან...

ღრმად წინააღმდეგობრივი და თანაც არტისტული ბუნებით, მდიდარი ფანტაზიით, მაძიებლის შეუპოვარი გუმანით დაჯილდოებულმა ქართველმა მამულიშვილმა „ცხენის უნაგირით ისევ შეამკო და მოკაზმა“ ჩვენი ხალხის სულიერი და ნივთიერი ბიოგრაფია...

ესეც ეყოფოდა მის ბიოგრაფიას...

მაგრამ გალიაში დამწყვდეული ფარშავანგები არ ისვენებენ, ფრიალებენ, შრიალებენ, ჩქარობენ, ფერებს აფრქვევენ, კივილით ოქროს კვამლში ეხვევიან... ვლადიმერ კანდელაკი კი გალიასთან დგას...

გაუშვებს?

გაფრინდებიან?

მოამზადა

ნათელა კობიაშვილმა

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველს“!

მის რედაქტორს, ბ-ნ თამაზ წივწივაძეს!

რედაქციის მეტად განსწავლულ და კეთილმოსურნე ყველა წევრს!

ვულოცავ!

აღორძინებას. თქვენ გაგახარათ ღმერთმა! ვერც კი წარმოიდგენთ, გაზეთის დახურვის შემდეგ როგორი შემოტევა მქონდა შეკითხვებით: „რატომ აღარ წერ? იცი, რამდენი რამეა დასაწერი?“.

ჩემი პასუხი: „ლიტერატურული საქართველო აღარ გამოდის“.

ვულოცავ საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც ასე განიცდიდა მათთვის საყვარელი გაზეთის დაკარგვას. ვპირდები მკითხველს, რომ არ მოვანატრებ ჩემს წერილებს.

უსათაურო

ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში მოხვედრას ლევანს უნდა ვუმადლოდე. რაც უფრო მეტად უვლი ბავშვს და უფრთხილდები, რაც უფრო მეტად ასტერილებ და ასუფთავებ მის ნივთებს, მით უფრო მეტია შანსი დიზენტერიის. ასეა და არავინ შემედავოს. ჩემი სულკურთხეული დედამთილი სულს უბერავდა ლევანს, უსაზღვროდ უყვარდა და უვლიდა. სწორედ ლევანს დაემართა დიზენტერია. და ძალიან მძიმე მდგომარეობაში მიგვიყვანეს ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში. მთავარი ექიმი ბ-ნი დავით იაშვილი იყო, მამას ახლობელი და ამიტომ, ცალკე შესასვლელიან ბოქსში მოგვათავსეს. ლევანი რომ გამოკეთდა და ეზოში ჩავიყვანე, იქ შემხვდა დოდო. ხომ შეიძლებოდა მთელი ცხოვრება არ შევხვედროდით, – რომ არა ლევანის ავადმყოფობა. ახლა ეს ძნელად წარმომიდგენია, იმიტომ, რომ ის, ვისზედაც მე ვწერ, არის ჩემი სულისა და ხორცის განუყოფელი ნაწილი.

დავინახე აშოლტილფეხებიანი, დიდი მკერდით, წელწვრილი დედა და ქერათმიანი, ზუსტად ლევანის ხნის ბავშვი. ბავშვებმა თამაში დაიწყეს და ჩვენ ლაპარაკი. არ მახსოვს, რით დაიწყო ჩვენი საუბარი. თავიდანვე ვაჟას და გალაკტიონს ხომ არ ვეცემოდით, მაგრამ ითქვა იქ ისეთი და იმგვარად, რომ ორივე მივხვდით. ეს იყო შეხვედრა ბოლომდე.

საავადმყოფოს მერე სურვილი ერთად ყოფნის იმდენად დიდი იყო, რომ სახლებში მიდი-მოდის გარდა შემდეგ კიდევ რჩებოდა ბევრი რამ სათქმელი. კიკეთმა დიდი საქმე გვიქნა. ჩვენ, უფრო სწორად, ნიკო ბაბუას, სახელმწიფო აგარაკს აძლევდნენ სამტრესტის აგარაკებში. დიდი კარგი რამე იყო ეს აგარაკები. ერთსართულიანი, წინ და უკან აივნიანი, წყალი ეზოში, ფეხსალაგიც, მაგრამ ჩვენთვის ეს ვერსალი იყო. დიდ მინდორზე გაბნეული ეს აგარაკები ლამაზი სანახავი იყო. ახალგაზრდები ვიყავით, წყლის ამოტანას რა უნდოდა. ბავშვებს ტუალეტი სახლში არ ჰქონდათ და იქვე ლამაზად შეფუთულის ჩატანაც ფეხსალაგში არ იყო ძნელი. მთავარია ერთად ვიყავით და ჩვენთან იკრიბებოდნენ ნაცნობები სხვა აგარაკებიდან. რა გვქონდა ამდენი სათქმელი და სასაცილო – არ ვიცი. ბავშვები – თამუნა (3 წლით უფროსი დანარჩენებზე), დოდოს ლაშიკო და ჩემი ლევანი. ამ მინდორში დარბოდნენ ბიჭები, თამუნას რაღაცას ვუკითხავდი, იყვნენ ლაღად, ბედნიერად. დედებს მეტი რა გვინდოდა. ვაკეთებდით სადილს, თუ ვახშამს – როგორც ვიცოდით და როგორც შეგვეძლო. თბილისიდან ამოსული თამარა ბებოს ნამცხვრები თუ სხვა რამ, საშა ბაბუს ამოტანილი ხილი, გელა ბაბუს ამოტანილი ხორაგი და ბოლოს შეკითხვა: „რა გინდებიათ ჩემგან კიდევ?“ – იქცეოდა სიხარულის და სიცილის მიზეზად. ჩვენ არ ვიყავით უპატრონოდ – ეს იშვიათი გრძნობაა. ნიკო ბაბუს ამოსვლა ხომ ზეიმი იყო.

გურამი ხშირად ამოდიოდა და აივანზე ვაწვენდით. ბავშვებს რომ „მივახაზირებდით“, როგორც გურულები ამბობენ (დოდო შუმი გურულია), მე გავიდოდი და გურამთან საწოლზე ჩამოჯდომას ვითხოვდი. ქმართან დალაპარაკება, რაღაცის შეკითხვა მინდოდა, დიდი-დიდი მკლავზე ხელის დადება, მაგრამ... კატეგორიული ტონით ისმოდა გურამის მოგუდული ხმა: „სირცხვილია, რას იფიქრებს დოდო“. დოდოს ესმოდა და სიცილით კვდებოდა.

დოდო და ლაშიკო მწერალთა სახლში ისვენებდნენ, მე ქვიშხეთში. ჯიმშერ მუჯირის გვერდზე შესანიშნავ სახლში, დიდი აივნით, სადაც საპირფარეშო იყო მეტად ეგზოტიკური: ბებერ, მსუქან ხეში იყო გაკეთებული. სულ მინდა გავიხსენო, რა გვქონდა ამდენი სალაპარაკო და სასაცილო. რაც მთავარია, დოდო და ლაშიკო ჩვენთან ჩამოვიდნენ და დათმეს კეთილმოწყობილი მწერალთა სახლი თავისი სასადილოთი. ერთ საღამოს, უკვე ნალაპარაკები და დაღლილები დანოლას ვაპირებთ და თამუნა, რომელიც დიდი მორალისტი იყო, გვეუბნება: „მამაჩემი ჩამოვა და მე ყელაფერს ვეტყვი“. ჩვენ ჯერ გაგვეცინა, მაგრამ ვიცი-რა გურამის ოტელოს სინდრომი – შევშფოთდი. დოდო ეკითხება: „ თამუნა რას ეტყვი, რას ვაშავებთ?“ პასუხი: „თქვენ სულ ლაპარაკობთ, და ბევრს იცინით და ყველას ესმის“. „მაინც ვის?“ „აი, მარი დმიტრევნას ესმის“. შვებით ამოვისუნთქეთ. ეს ქალბატონი ჩვენი ახლობლის დედა იყო. კარგად გვიცნობდა.

ჩემთვის დაკარგული იყო დრო, თუ დოდო და ლაშიკო ჩვენთან ზაფხულში არ იყვნენ. შემოდგომაზე, გურამმა თვითმფრინავით წაგვიყვანა გაგრაში. აი, აქ უნდა გენახათ გურამის სახე და რეპლიკები: „ეს რა მივქარე, აწი, თქვენი წამომყვანის“, და ა. შ. საქმე იმაშია, რომ თვითმფრინავი ძალიან ირწეოდა და ბავშვები რიგ-რიგობით პაკეტებში არწყევდნენ. თან ამ პაკეტებს დავარბენინებდით მე და დოდო და თან ჩუმად ვიცინოდით გურამის რეაქციაზე. ეს ცარიელი სიტყვები იყო. წამოგვიყვანდა, აბა რას იზამდა.

ისეთი ლამაზი შემოდგომა „გაგრიფშის“ სასტუმროში – მე სხვა დროს არ მინახავს. ფერების ფესტივალი იყო, ბუნების ზეობა, ჩვენი ბედნიერი ბავშვები ამ სილამაზეში და ზღვის კენჭებში – რა უნდა მეტი ორ ერთი ჭკუის, ერთი განწყობის და მსგავსი ხასიათის ახალგაზრდა ქალს, დედას. შვილები – კარგად არიან, ჩვენ ერთად – სალაპარაკოს რა გამოლევს. ერთ საღამოს ბავშვები დავბანეთ და ჩვენ რესტორანში მშვიდად სავახშმოდ შევედით. ორკესტრი უკრავდა. ცოტა ხანში გაიღო ფართოდ კარები და ვაი, სირცხვილო: ორი პატარა ბიჭი, ფეხშიშველი, მარტო ტრუსებში, შემოდიან და ერთმანეთს ეპატიჟებიან სცენაზე: „ამოდი ბიჭო, იცი რა კარგია?“

არ ყოფილა ცხოვრება ისეთი, მე რომ მეგონა შვილები კარგები მყავს და ყურადღებიანი, მაგრამ ის მოთხოვნილება, რაც ორივე მხარეს – გაღმა ვაკეში და აქეთ საბურთალოში ჩნდება, რომ გავიგონოთ ერთმანეთის ხმა, გავიგოთ სატკივარი, წნევა, მაჯა, გული, სახსრები... ეს სულ სხვაა.

დოდომ იმდენი იშრომა, ბარე ორი კაცი ვერ დაიკვეხნის. ლაშამ თავისი ნიჭი გამოამზეურა. ბიჭები კარგად გაზრდილი, რძალი – ძვირფასი მეოჯახე.

თქვენ უნდა გენახათ, რა ხდებოდა პიონერთა სასახლის დარბაზში დოდოს რომ შემოქმედებითი საღამო გადაუხადეს. ტევა არ იყო. კარები ღია იყო და სარკეებიანი დარბაზიდან ისმენდა ხალხი – ვინ არის დოდო. ვინ ისმენდა? მისი მოსწავლე, ამ მოსწავლის დედა და მისი ბებია, ან მამა – სამი თაობა მისი გამოზრდილი და მადლიერი მოსწავლეებისა. მეგობრებს არ გვიკვირდა, გვახარებდა მხოლოდ, რომ ეს ყველაფერი დაინახეს და დაფასდა.

დოდომ ბევრი იავადმყოფა, მე – არა ნაკლები. ახლა მოგვემატა თემები განსახილველი. დოდო კონკურსგარეშე მასწავლებელია. ის მარტო ქართულ ლიტერატურას კი არ ასწავლის, ათვინიერებს ურჩებს, ინტერესს უჩენს ინერტულ ბავშვებს, დოდო ბავშვებისათვის – დოდოლეა, მის კოცნაში ეჯიბრებიან ერთმანეთს და ეჭვიანობენ – ვინ როდის და მეტი აკოცა.

ჩემთან ამოსვლა უჭირს... მეხუთე სართულია. დაღამებული დღე დოდოს ზარს ელოდება, თუ არა – იწყება განგაში. რა მოუვიდა, რაშია საქმე. ისე მატყობს ხმაზე, როგორ ვარ და რა მიჭირს – „რა იყო, გაწყენინეს ხომ? აბა რატომ ხარ ცუდად. არ ღირან ეგენი სუყველა შენ ფასად“ აი, ფსიქოთერაპია. ის იქით, გაღმა, დაღლილი გაკვეთილებით, წამოწოლილია. აქეთ მე – დაღლილი გულის ცუდი თამაშით – გურამის გვერდით ვარ მოკალათებული. ყველა თავის სახლშია, ყველა კარგადაა. მე დავრეკე – არ იყო. მერე – დოდო მე მირეკავს – „ახლა მოვედი, ხომ მშვიდობაა“. თუ რამე წავიკითხე ან მოვისმინე – კარგი ლექსი თუ ნათქვამი – დოდოსთვის მინდა, პირველად იმას უნდა ვუთხრა, ის შეაფასებს საუბრის ბოლოს „აბა, შენ იცი!“ – მეუბნება ავადმყოფობებით დატვირთული მეგობარი და მე ამ შემოძახების მერე უკეთ ვარ. ვინ გაგიგებს ასე, ვინ ელოდება შენს ხმას ასე?.. ჰოდა, როგორც დოდო ამბობს, „ერთი დღეც ნუ მამყოფა ამ ხმის გარეშე“. თურმე, ასეთი მეგობრობაც შეიძლება.

თამილა მაკარიძე

მეოცე საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მესვეურნი

დაპირისპირება მწერალთა კავშირში 2004-2011 წლებში

„მწერალთა კავშირში არსებულ პრობლემებზე მე ერთ-ერთმა პირველმა დავწერე ჯერ კიდევ 2004 წელს, გაზეთ „ლიტერატურულ ქრონომეტრში“, რიგგარეშე ყრილობის ჩატარებისთანავე. მე თუ მკითხავთ, სწორედ იმ ყრილობიდან დაიწყო ყოველგვარი უკულმართობა“ – ამბობს პოეტი და რედაქტორი **შარლოტა კვანტალიანი** იმ ყრილობიდან 6 წლის გასვლის შემდეგ, 2011 წელს **ვახტანგ ხარჩილავას „საერთო გაზეთის“** ორ ნომერში (6 და 7) გამოქვეყნებულ ვრცელ ინტერვიუში **„ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოყოლილი დოკუმენტური ამბები მწერალთა კავშირში წლების განმავლობაში მიმდინარე უმსგავსობების შესახებ“** და კიდევ ერთხელ გვიხატავს ნამდვილ სურათს:

„იმ ყრილობაზე ყველაფერი თავდაყირა დადგა: მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ რეზო ჭეიშვილი იყრიდა კენჭს, თავმჯდომარის სკამზე კი მაყვალა გონაშვილი დაჯდა, რომელიც მოადგილედ იყრიდა კენჭს“.

„...კრება მიჰყავდა ავადსახსენებელ გურამ გოგიაშვილს... გვერდით კი ოთარაშვილი ედგა და კარნახობდა, რა დროს რა ეთქვა... ოთარაშვილი ლაპარაკს არ აცლიდა, ბოლოს გოგიაშვილმა უთხრა – ან შენ ილაპარაკე ან მე მათქმევინეო, მაგრამ, ეტყობა, ასე არ იყვნენ შეთანხმებული და გოგიაშვილმა დაუთმო, კარგი, ორივემ წავიყვანოთო ყრილობა (?). აქედან დაიწყო ყველაფერი, დასახელდნენ კანდიდატები, ოთარაშვილმა გამოაცხადა, მართალია თავმჯდომარეს და მოადგილეებს ცალ-ცალკე ბიულეტენებით უნდა მისცეთ ხმა, მაგრამ მოდით, ქაღალდი დავზოგოთ, ერთ ფურცელზე ჩამოვწეროთ ყველა, თავში ჩავწეროთ თავმჯდომარე, ქვეშ დანარჩენები. ვირჩევთ ერთ თავმჯდომარეს და სამ მოადგილესო. ე. ი. უნდა მოგეხაზა რეზო ჭეიშვილი და სამი მოადგილე. ყრილობას ესწრებოდა 202 დელეგატი... რეზო ჭეიშვილს 102 ხმა სჭირდებოდა, რომ თავმჯდომარე გამხდარიყო. შემდეგ ცალ-ცალკე უნდა დაგვეთვალა მოადგილეების ხმები და სამი შეგვერჩია. ბატონმა რეზო ჭეიშვილმა 202-დან 170-მდე ხმა მიიღო, ის უკვე თავმჯდომარე იყო“.

„რეზო ჭეიშვილმა, როგორც თავმჯდომარემ მიიღო 170 ხმა, მაყვალამ, როგორც მოადგილემ – 180, თუ ყრილობას 202 დელეგატი ესწრებოდა, რატომ უდრის 170+180 350-ს და არა 202-ს“.

ანუ ორივეს თავმჯდომარეობაზე რომ ეყარა კენჭი, მათი ხმების საერთო რაოდენობა არ უნდა გადასცილებოდა 202-ს და რადგანაც რეზო ჭეიშვილმა 170 ხმა მიიღო, ცხადია, მასზე მეტ ხმას ვერავინ მიიღებდა. ეს ინტერვიუ ყველაზე სანდო საბუთია, რადგან ქალბატონი შარლოტა იმ მოვლენათა უშუალო და ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი იყო **(„მე ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარედ დამასახელეს, თუმცა მდივნად დავრჩი“).**

ერთხელ უკვე ვთქვი: თვით უკანონო გზებით 2004 წელს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში მოსული „გუნდის“ წევრებშიც არ იყო დიდი სიამტკბილობა და ამას არ შეეძლო დროთა განმავლობაში განხეთქილება არ გამოეწვია.

და აი, 2010 წლის მიწურულს საზიზღრად დაერივნენ ერთმანეთს...

მწერალთა კავშირი 2004-2011 წლების პრესაში

XXI საუკუნის საქართველოს მწერალთა კავშირში ხელმძღვანელების მხარდამჭერთა გაიოლებული მიღებით გაბერილმა უმრავლესობამ, მათდა სამარცხვინოდ, ღირსებასა და სამართლიანობას არა და არ გაამარჯვებინა.

2004 წ.

შ. კვანტალიანი – „ლიტერატურული ქრონომეტრი“;

ნ. კობერიძე – „ლს“, თებ.-მარტი

2006 წ.

ნ. კობერიძე – „ლს“, ოქტომბერი, მწერალთა კავშირის ყრილობა თუ კომპარტიის აქტივის კრება.

2008 წ.

ნ. კობერიძე –„მწერლის გაზეთი“ №3, ფილმი – მიზანმიმართული მცდელობა ქართველი მწერლების დისკრედიტაციისა.

მ. ჩხეტიანი – „კალმასობა“, №1, მწერალთა კავშირის ზნეობრივი მარცხი.

2009 წ.

„საერთო გაზეთი“

ყრილობის წინ

№23 – მწერლები მწერალთა კავშირში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის წინ.

ინტერვიუში მონაწილეობდნენ: **ბ. არაბული, კ. არაბული, ლ. ბრეგვაძე-კახიანი, ზ. კალანდია, შ. კვანტალიანი, ი. ქადაგიძე, ნ. ქუთათელაძე, ვ. ხარჩილავა, თ. ხმალაძე.**

ყრილობის შემდეგ

№25 (24.VI)

ა) **ა. აბულაშვილი** – („ხალხმა რეაგირებაც ვერ მოასწრო, ისე გამოაცხადა გოგიაშვილმა მაყვალა გონაშვილი თავმჯდომარედ... გოგიაშვილმა უზნეობა ჩაიდინა“... „ბევრ ყრილობას მოვესწარი, მაგრამ მსგავსი არ მინახავს, პირდაპირ ვუთხარი თავმჯდომარეს, სირცხვილი ხარ-მეთქი. უმრავლესობა ამ ხელმძღვანელობის არჩევის წინააღმდეგი იყო. მათი ბნელი საქმეები უკვე მწერლობის უმრავლესობისათვის გახდა ცნობილი. თანამდებობის გამოყენებით აგლეჯვას, რაც არ გეკუთვნის და მიითვისებ, ამას განა ქურდობა არ ჰქვია?“

ბ) **ლ. ბრეგვაძე-კახიანი** – ბარაბას გზა ღმერთთან არ მიდის (ღია წერილი საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის არალეგიტიმურ თავმჯდომარე, მაყვალა გონაშვილს).

გ) **ლ. ჯაფარაშვილი** – რატომ ვერ შეელია სამეული სკამებს („ამ ეგრეთ წოდებულმა სამეულმა, ხელის აწევით ჩატარებულმა „არჩევნებმა“ და მწერალთა კავშირის ხელძღვანელების საქმიანობის შესახებ გამოთქმული პრეტენზიების მიფუჩეჩებამ, მათ მიმართ ეჭვი და უნდობლობა გააძლიერა“).

№26 (I.VIII) –

ა) **ზ. კალანდია** – ღია წერილი მაყვალა გონაშვილს...

ბ). **ბ. შალვაშვილი** („16 ივნისს ჩატარებული მწერალთა ყრილობა კომუნისტების დროინდელ კოლექტივის საერთო კრებას ჰგავდა“)

„ასავალ-დასავალი“

№25 (22-28.VI) – რა მოხდა 15 ივნისს საქართველოს მწერალთა ყრილობაზე

ა) **ლ. ბრეგვაძე-კახიანი** – „ყრილობაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილმა და მისმა მოდგილე ვაჟა ოთარაშვილმა ქართველ მწერლებს თვალში ნაცარი შეაყარა და მესამე ვადით მოაკვარახჭინეს მესვეურობის უზურპაცია“.

ბ) **მზია ჩხეტიანი** - „არ შეიძლება ადამიანს მწერალი ერქვას და ქართულ მწერლობას ღირსება აყაროს“.

„გუმბათი“

№27 (19.VII) – **ზ. კალანდია** „სად წაიღო მაყვალა გონაშვილმა მილიონნახევარი დოლარი, რომელიც „მერანიდან“ აიღო“.

„კალმასობა“

№1 – **მ. ჩხეტიანი** – „ქრისტეს საცოლის“ ანუ „წმიდა მაყვალას“ ცდომილებანი.

2010 წ.

„რეზონანსი“ №347 (24.XII)

ა) **ვ. ოთარაშვილი** – მოძულეთა და მაჭირვებელთა ჩემთა (წერილში წამოყენებულია ბრალდებები).

ბ) **მ. გონაშვილი** – სამწუხაროდ ოთარაშვილი ძალიან ცუდი გზით წავიდა.

გაზეთის კორესპონდენტის კითხვაზე – როგორ თვლით, რა მოყვება ამ ამბებს, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ასეთი პასუხი გასცა: „ერთადერთი გამოსავალი რიგგარეშე ყრილობაა“.

როგორც ვიცით, რიგგარეშე ყრილობა არ გამართულა...

2011 წ.

„საერთო გაზეთი“

№4 – რუბრიკით „ცოდვები, მონანიება, შერიგება“;

ა) **რ. ამაშუკელი, ზ. კალანდია. ე. საღლიანი, ვ. ხორნაული** – მოკლე ინტერვიუები.

ბ) **კ. არაბული** – რა ხდება ბოლო ფაზაში პატრიარქთან, რას არკვევენ „გახლეჩილი“ მწერლები.

გ) **ნ. კობერიძე** – წინამასწარა

№6 და 7 – **შ. კვანტალიანი** – ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოყოლილი დოკუმენტური ამბები მწერალთა კავშირში წლების განმავლობაში მიმდინარე უმსგავსოების შესახებ.

№8 – **მ. ჩხეტიანი**, „ქუცი, ქუცი, კუდქიცინა მურია“.

№13 – **ნ. კობერიძე**, ეს ის ზაზა ბურჭულაძე არ არის, ბენ ლადენისგან შვილი უნდა გავაჩინოო, რომ ამბობდა?

ეს მასალა იმ იმედით აღინუსხა, რომ მომავალ თაობებს მაინც შევუწყოთ ხელი იმის განსჯაში – ვინ იყო მართალი და ვინ ტყუოდა უსირცხვილოდ.

რევაზ კვერენჩხილაძე

ადამიანისმაგვართა

მინაწერი ლევან ბებურიშვილის წიგნზე – „მწერალთა მოთვინიერება გრძელდება“

შენ როცა გიჭირს, მამულო,
მეც, რა თქმა უნდა, ავად ვარ,
ბედნიერება მაოცებს,
ადამიანისმაგვართა...

ნისლებში მოსჩანს მერმისი,
წარსული ხსოვნას ჩაბარდა,
აწმყოში ზეობს ლექს-ლიბრი,
ადამიანისმაგვართა...

ჯერ კიდევ ნაგვის ურნებში,
ვეძებთ საკვებს და სამართალს,
ხორცს მიძიძგნიან სულები,
ადამიანისმაგვართა...

„ცუდას რად უნდა მტერობა“ –
თავის დასაცავ აბჯრად მაქვს
და მიდის “სირთა სერობა”,
ადამიანისმაგვართა...
ვის გავას მთვარემ აკოცა,
ვინ დედას ნამუსს თავად ხდის
და წერენ „ანტიტყაოსანს“,
ადამიანისმაგვარნი...

ზოგს ცოლის საშო უყვავის,
ზოგს ფეხებშუაგაჩრილი,
ზეობენ წიგნის ყუაში,
ადამიანისნაირნი...

ზოგებმა ღმერთსაც შეჰბედეს,
საფლავზე მოსულ ყოილთაც,
ჩემო სამშობლოვ, შენს შემდეგ,
ქვა ქვაზეც ნულარ ყოფილა!..

„წყალნი წავლენ და წამოვლენ“,
თქვენ ჩათლახები, ჩარჩები,
უფლის ბოძებულ ამ სოფელს,
ქვიშადაც არსად დარჩებით...

ადამიანში ღმერთია,
ღმერთშია მთელი სამყარო,
თქვენში ვინ არის, თქვენ ვინ ხართ,
ადამიანისმაგვარნო?!.

რა დედამ გშობათ, ან და რა
შვილები უნდა დაზადრდოთ,
ადამიანისმაგვართა,
ადამიანისნაგვარნო?!.

შენ როცა გიჭირს, მამულო,
მეც, რა თქმა უნდა, ავად ვარ,
ბედნიერება მაოცებს,
ადამიანისმაგვართა...

ჯუბა ღებელი

ფუნაგორია

არცთუ ისე უცნობ №-ს

ლადოსებურად

ვინ იკადროს, რომ პრემია
ხელთ შენსავით ნაგლად იგდოს!
დღეს, ვინმემ რომ ყური გიგდოს,
გასული ხარ, ვითომც, დიდგორს,
მაგრამ კაცმან ვით იფლიდოს,
იმდენად არ ისინდისოს,–
შენს ნაწერს რომ თვალი ჰკიდოს,
ფეხებზე არ დაიკიდოს!
....
ვინმემ მართლა ყური გიგდოს?
ნუმც მოგვასწროს ღმერთმა იმ
დროს!

ჯერსახარ შებრიყვოშვილი

P.S.

ვისაც შენ ფიქრობ, ის არ ვარ!
ეშმაკის არა, ღვთისა ვარ!
მიდი, მეძებე, „ცნობარში,“
კაი ორმოცი წლისა ვარ.

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესექსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ წივწივაძე

E-mail: litsaqartvelo@yahoo.com

გამოდის პარასკეობით